ვაჟიტრა მედია

ლაღი

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

11 ნოემბერი **პარასკევი** 2011
№266 (13563) ფასი 80 თეთრი

ანწყო არ გვწყალობს, მომავალი ბნელია

ახალგაზრდული ნაკრები შვეიცარიაშიც შერცხვა

2

იქნებ, წელიწადი მოგებით დავასრულოთ

2

დღეს 18:00 მიხეილ მესხის სტადიონზე
საქართველო-მოლდოვა

დღეს, 23:00

ბოსნია
პორტუგალია

ბოსნია (სავარაუდო): ჰასაგიჩი - ბეშიჩი, სპაჰიჩი, მრავაცი, იაჰიჩი - რაჰიმიჩი, მედუნიანინი - პიანიჩი, მიშიმოვიჩი, ლულიჩი - ჯეკო.

პორტუგალია (სავარაუდო): რუი პატრისიო - ჟ. პერეირა, ბრუნო ალვეში, პეპე, კოენტრაო - მარტინში, მეირელეში, მოუტინიო - ნანი, პოშტიგა, რონალდო.

დღეს, 23:05

თურქეთი
ხორვატია

თურქეთი (სავარაუდო): ბალბანი - ბოლნული, სერჯეთი, ეგემენი, ბაკენ ბალთა - ბამით ალთინტოპი, ს. შაჰინი, ინანი, ემრე, არდა თურანი - ბურაკი.

ხორვატია (სავარაუდო): პლეტიკოშა - ჩორლუკა, შიმუნიჩი, ვიდა, პამიჩი - სრნა, მოდრიჩი, ვუკოევიჩი, პერიშიჩი - ედუარდო, ოლიჩი.

ევრო 2012. ბლეი ოფი. პირველი მატჩები

დღეს, 23:15

ჩეხეთი
ჩერნოგორია

ჩეხეთი (სავარაუდო): ჩეხი (ან დრობნი) - შივოკი, სელასიე, რ. ჰუბნიკი, კადლეცი - მატეიოვსკი, კოლარი - ჟირაჩეკი, როსიცკი, პლაშილი - ბაროში.

ჩერნოგორია (სავარაუდო): მ. ბოჟოვიჩი - ზვეროტიჩი, ძუდოვიჩი, სავიჩი, ვ. ბოჟოვიჩი - პეკოვიჩი, კასელანი - ვუკჩევიჩი, იოვეტიჩი, ბოშკოვიჩი - ვუჩინიჩი.

დღეს, 23:45

ესტონეთი
ირლანდია

ესტონეთი (სავარაუდო): პარეიკო - იაგერი, ტენისტე, ბარენგრუბი, კლავანი - სტეპანოვი - ვუნკი, დმიტრიევი, პური, კინკი - აჰიუპერა.

ირლანდია (სავარაუდო): გივენი - კელი, დანი, სენტ ლედჯერი, უორდი - მაკგიდი, უელანი, ენდრიუზი, დაფი - კინი, უოლტერსი.

მთავარი კითხვა: იქნება ჩეხი?

ჯეკო VS რონალდო ზენიცაში



9

ცოგაც და...

ევროლიგის მორიგ ტურში თორნიკე შენგელიას „შარლერუა“ ბოლომდე თანაბრად ებრძოლა ჯგუფის ფავორიტ „მილანს“. ბელგიელები სირენამდე 3 წუთით ადრე 6 ქულით იგებდნენ, მაგრამ ჯერ ფოცისმა და ნიკოლასმა ჩააგდეს სამქულიანები, შემდეგ გალინარიმ 4 საჯარიმო გამოიყენა და სასწორის პინა იტალიელთა მხარეს გადახარა - 81:76.

ქართველმა ფორვარდმა თორნიკე შენგელიამ 18 წუთი ითამაშა, 7 ქულას 5 მოხსნა და 2 პასი მიამატა.

საინფორმაციო პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ეროვნული ნაკრები



ამხანაგური, ოღონდ მნიშვნელოვანი

თანაც უფასო

დღეს, 18 საათზე მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე საქართველოს ეროვნული ნაკრები მოლდოვას ამხანაგურად უმასპინძლებს.

გუშინ, საღამოს, **თემურ ქეცბაიამ** გუნდი "მიხეილ მესხზე" ავარჯიშა. მოედანზე ნაკრებში გამოძახებული 24-ივე ფეხბურთელი იყო, ყველა ჯანმრთელად არის და სრულადაც დაიტვირთნენ.

შეხვედრას აზერბაიჯანელ მსაჯთა ბრიგადა მოემსახურება **ვუსალ ალიევის** ხელმძღვანელობით. ალიევი გამოცდილი რეფერია, მეხუთე წელია, ფიფას არბიტრია.

მატჩის პირდაპირ რეპორტაჟს "საზოგადოებრივი მაუწყებელი" გადასცემს.

ფეხბურთის ფედერაციის ცნობით, თამაშზე დასწრება უფასოა.

მერაბ მამულაშვილი

● U21. შესარჩევი მატჩი

10.11. ლუგანო. პორნარედო. 2 420 მაყურებელი

შვეიცარია	5
საქართველო	0

1:0 ცუბერი (8), 2:0 ბენ ხალიფა (13), 3:0 ცუბერი (33), 4:0 ცუბერი (42), 5:0 რ. კოხი (64)

შვეიცარია	საქართველო
4-4-2	4-5-1
ბიურკი	მაკარიძე
ძსაკა	კანდელაკი.
დაპრელა	მ. კობახიძე
რ. კოხი	კვირკველია
ფ. კოხი	იოსელიანი
გაშა	ჯილაური
ბენ ხალიფა	კვეკვესკირი
ტოკო	თარხნიშვილი
კასამი	ოქრიაშვილი
ცუბერი	ძალამიძე
სეფეროვიჩი	შეყილაძე
მწვრთნელი	მწვრთნელი
პ. ტაბი	ს. ქედია

შვეიცარია

61. დაპრელა – **მუბანჯე**
68. ბენ ხალიფა – **ვიუტრიხი**
80. ძსაკა – **ვისი**

სათადარიგოები: ზიგრისტი, კამბერი, ბუფი, დრმიჩი

საქართველო

46. კანდელაკი – **აფაქიძე**
56. შეყილაძე – **საბანაძე**
80. ჯილაური – **სიხარულია**

სათადარიგოები: შეროზია, კალანდაძე, ბეგლარიშვილი, გუგუჩია

გაფრთხილება: **კასამი (89), კობახიძე (90)**
არბიტრი: **ს. ცინკევიჩი (ბელარუსი)**

2012: უინტრიგო და თითქმის ამხანაგური

აწმყო არ გვწყალობს, მომავალი ბნელია

გუშინ ლუგანოში გასაკვირი არაფერი მომხდარა – საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები შვეიცარიის ძლიერ გუნდთან დამარცხდა. ამ მატჩის წინ დადებითი შედეგის დიდი იმედი ნამდვილად არ გვქონია, მაგრამ იმის დაჯერება კი ძალიან გვინდოდა, რომ ესპანეთთან ქუთაისში ნაწვნევი 2:7 მიმდინარე შესარჩევ ციკლში ჩვენი 21-წლამდელებისთვის ბოლო სირცხვილი იქნებოდა. სამწუხაროდ, მწარედ შევცდით და შვეიცარიის ახალგაზრულმა ნაკრებმა, რომელმაც ერთი თვის წინ თბილისში მხოლოდ მინიმალურად მოიგო, გუშინ **სოსო ჭედიას** გუნდს შავი დღე აყარა. კიდევ კარგი, შესვენების შემდეგ მასპინძლებს საგოლე მადა დაუქვეითდათ, თორემ ესპანელთა შედეგსაც გააუმჯობესებდნენ.

წინა შესარჩევი ციკლი გამონაკლისი იყო და საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსს ბოლო ტურებამდე ინარჩუნებდა. შესარჩევი რაუნდის გადალახვას ჩვენი ახალგაზრდულისგან არც ამჯერად ვითხოვდით, მაგრამ იმის იმედი მაინც გვქონდა, რომ უაღრესად რთული მეტოქეების მიუხედავად, საქართველოს ნაკრები მათ ღირსეულ წინააღმდეგობას გაუწევდა და თუ ვერ აჯობებდა, მოედანს შერცხვენილი მაინც არ დატოვებდა. საუბედუროდ, ეს მოკრძალებული ოცნებაც აუსრულებელი დაგვრჩა...

რა უნდა თქვა მატჩზე, რომელშიც შენი ქვეყნის გუნდი 0:5 მარცხდება? სიტყვების პოვნა ძნელია და ასეთ დროს, ალბათ, ცხელ გულზე ბევრი მსჯელობაც არ არის აუცილებელი. ყველაზე მთავარი და დამთრგუნველი შეგრძნება, რასაც ასეთი შეხვედრები აჩენს, ის არის, რომ მხოლოდ ერთი კონკრეტული მატჩი კი არ წაგვსიგია, საქართველოს ეროვნული ნაკრები, რომელიც დღეს ბევრის ვერაფრის მაქნისია, ხვალინდელი დღისთვის სრული კატასტროფის წინაშე დგას!

სხვა რა გითხრათ წუხანდელ საშინელებაზე? ქართველ ქომაგს მატჩი არ უნახავს, ინტერნეტით მხოლოდ გოლების ფრაგმენტები გავრცელდა, სადაც ვნახეთ, თუ რა საცოდაობა ტრიალებდა საქართველოს ნაკრების საჯარიმოში და როგორ აპამპულავებდნენ მასპინძელთა შემტევები სტუმართა მცველებს. **სტევენ ცუბერმა** პირველივე ტაიმში ჰეთთრიქი გაიფორმა, მანამდე კი **პიერ-ლუიჯი ტაიმის** გუნდმა ქართველები ორი სწრაფი გოლით გატეხა. შესვენების შემდეგ შვეიცარიელებმა ტემპი დააგდეს და საკუთარი უპირატესობა კიდევ ერთი ბურთით განიმტკიცეს, სტუმრებს კი პრესტიჟის გოლიც არ გაატანინეს.

ჯგუფში მესამე ადგილზე კი დავრჩით, მაგრამ ხორვატიასა და ესტონეთს ჩვენზე ნაკლები მატჩები აქვთ ჩატარებული და 14 ნოემბერს მათი ურთიერთშეხვედრა აუცილებლად მეოთხეზე ჩაგვაჩოჩებს. ჯგუფის ორივე ფავორიტთან შეხვედრები უკვე მოვილიეთ და მომავალი წლის ივნისამდე შესარჩევი მატჩები აღარ გველის, თუმცა თუ პოპულარულად ქცეულ გამოთქმას მოვიშველიებთ, ისღა დაგვრჩენია, ისინი მომავალი ციკლისთვის მოსამზადებლად გამოვიყენოთ.

დაბოლოს, ფაქტი უკომენტაროდ: შვეიცარიის ახალგაზრდული ნაკრები ევროპის გასული ჩემპიონატის ფინალისტია და გუნდის ღირსებას დღეს ევროპის ვიცე-ჩემპიონი რამდენიმე ფეხბურთელი იცავს. თუმცა ევროპული ვერცხლის მომპოვებელი გუნდის ბირთვს, უმეტესად, ის მოთამაშეები შეადგენდნენ, რომლებმაც წინა შესარჩევში საქართველოს ნაკრებს შვეიცარიაში მინიმალურად სძლიეს, თბილისში კი 0:0-ს დასჯერდნენ.

ეს იმათ გასაგონად, ვინც 0:5-ის ასახსნელად არგუმენტებს დაეძებს...

ესპანეთი-ესტონეთი 6:0

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ესპანეთი	4	4	0	0	17-2	12
2. შვეიცარია	4	3	1	0	10-0	10
3. საქართველო	5	1	0	4	3-15	3
4. ხორვატია	4	1	0	3	1-7	3
5. ესტონეთი	3	0	1	2	0-7	1

მოგზაურული ტური

14 ნოემბერი

ესპანეთი-შვეიცარია
ხორვატია-ესტონეთი

ლევან ჯანეზაშვილი

● ლეგიონერები

მარცვალაძე ვოლგაში დღემდე საუკეთესოა

ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგა" ხუთ ფეხბურთელთან კონტრაქტის განყვეტას აპირებს. მათ შორის არიან ქართველები - **გოგიტა გოგუა, ლაშა სალუქვაძე** და **გოჩა ხოჯავა**.

"სპორტ-ექსპრესი" იუწყება, რომ ნიჟნელთა ახალი სპორტული დირექტორი **დმიტრი პოლიაცკინი** ხელშეკრულების გაწყვეტის პირობებზე ქართულ სამეულს დეკემბრამდე შეუთანხმდება.

სხვათა შორის, "ვოლგასთან" პრობლემები მხოლოდ ქართველებს არ შეუქმნიათ: ბოსნიელმა ლეგიონერმა **მირსუდინ ახმეტოვიჩმა** რუსეთის საფეხბურთო კავშირის დავების მოგვარების პალატას მიმართა სარჩელით, გაერკვიათ, რატომ უგვიანებენ ხელფასს.

როგორც "სპორტ-ექსპრესი" წერს, ნიჟნინოვგოროდელების ფინანსური პრობლემები ივლისიდან დაიწყო და ქართველებს ამიტომაც შეელივნენო.

"მოთამაშეებს დავალიანებას დეკემბრამდე გაუსტუმრებენ, ახლა კი ისინი აგვისტოსა და სექტემბრის ხელფასს ელიან. ამ მიზნით კლუბმა ბანკიდან კრედიტიც გამოიტანა" – წერს "სპორტ-ექსპრესი".

არადა, კლუბს არ უნდა უჭირდეს, რადგან ნიჟნი ნოვგოროდის ადმინისტრაცია და "გაზპრომის" რეგიონული წარმომადგენლობა პატრონობენ.

"სპორტ-ექსპრესის" ვერსია ნაკლებად სარწმუნო ჩანს. "სოკერ.რუ" იუწყება, რომ ქართველთა სამეულის წასვლის მიზეზი გუნდის ხელმძღვანელობასთან კონფლიქტი გახდა. სხვათა შორის, სალუქვაძემ არც დამალა, უმადურად მომექცნენ და ასეთ ხალხთან ურთიერთობის გაგრძელება აღარ მსურსო.

ოთარ მარცვალაძე (მარცხნივ) და ლაშა სალუქვაძე

"ხოჯავას, გოგუასა და სალუქვაძეს ახალ ხელმძღვანელობასთან კონფლიქტი ჰქონდათ. ისინი ძირითად შემადგენლობაში არ თამაშობდნენ და ფორმის შესანარჩუნებლად დუბლებში ვარჯიშობდნენ. ეს თეთრაძის ხალხია, მაგრამ კარგი ფეხბურთელები არიან" - ასეთი პარადოქსული რამ წერია "სოკერ.რუ"ზე. ანუ მთავარია, ვისი კაცი ხარ, შემდეგ უყურებენ შენს ფეხბურთელობას. მაგრამ 21-ე საუკუნეში მსგავსი დამოკიდებულება მხოლოდ რუსეთში არ არის, საქართველოშიც შეინიშნება და ძნელია, მარტო რუსები გაამტყუნო.

"სოკერ.რუ" მიიჩნევს, რომ "ვოლგას" ყველაზე დიდი დანაკლისი "კრასნოდარში" გადასული **ოთარ მარცვალაძეა:** *"ნიჟნელებისთვის ახლებს დიდი სარგებლობა არ მოუტანიათ, ასე რომ, მხოლოდ ახალგაზრდების გაზრდა საკმარისი არ არის, გუნდს მაღალი კლასის თავდამსხმელი სჭირდება. მარცვალაძის დონის ფორვარდის გარეშე ამ ამოცანის გადაჭრა შეუძლებელია"*.

"სპორტბიზ.რუც" ამავეს ამტკიცებს და საინტერესო ფაქტზე ამახვილებს ყურადღებას: *"მარცვალაძის წასვლის შემდეგ "ვოლგაში" თავდამსხმელებს აღარ გაუტანიათ. სხვა კლუბში გადასვლის მიუხედავად, „ვოლგას" საუკეთესო ბომბარდირად დღემდე ქართველი რჩება"*.

"სპორტბიზნესკონსალტინგმა" რუსეთის პრემიერლიგის ყველაზე ეფექტური მოთამაშეების რეიტინგი გამოაქვეყნა და მოუხედავად უთამაშებლობისა, "ვოლგას" დაწუნებული ქართველი პლეიმეიკერი **გოჩა ხოჯავა** 24-34-ე პოზიციაზეა, მარცვალაძე კი - მე-20-23-ეზე.

მერაბ მამულაშვილი



დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:15

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა გეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

● ინტერვიუ

ინტერესი №1 საქართველო

გურამ კაშია ჰოლანდიურ „ვიტესში“, რომლის მფლობელიც მერაბ ჟორდანიაა, გასული წლის სექტემბერში ჩაირიცხა, ერედივიზიონში დასარჩენად მებრძოლი გუნდისთვის მნიშვნელოვანი გოლებიც გაიტანა და „ვიტესი“ დაბალ ლიგაში დაქვეითებისგან სხვა თანაგუნდელებთან ერთად იხსნა. წლეულს კი თვითონაც და კლუბიც „სხვა რანგში“ არიან: 24 წლის ქართველმა მცველმა ჰოლანდიური კლუბის კაპიტნის სამკლავური მოირგო, „ვიტესი“ კი 12 ტურის შემდეგ მეოთხე ადგილზეა.

- მეორე სეზონია, ჰოლანდიაში თამაშობ, წინაში შენი გუნდი ძლივს გადაურჩა გავარდნას, ახლა კი მეოთხე ადგილზე ხართ. შემთხვევითობაა, „აიაქსსა“ და „ფეიენოორდს“ რომ უსწრებთ?

- ჯერ დასაწყისია და ძნელია ამაზე ლაპარაკი, სეზონის ბოლოს „აიაქსზე“ წინ ვიქნებით თუ არა, ამაზე ვერაფერს ვიტყვი. მწვრთნელი შეიცვალა, ახალი ფეხბურთელები მოვიდნენ, ახლებურად მოსამზადებლად საკმარისი დრო გვქონდა. ახლა, რომ იტყვიან, კარგ ტალღაზე ვართ, ოღონდ, როგორ გაგრძელდება, არ ვიცი, თუმცა პოზიციების შენარჩუნებაზე ვიზრუნებთ.

- პირველადგილსან „ალკმაარს“ 10 ქულით ჩამორჩებით, ამ სხვაობის შემცირების იმედი თუ გაქვთ და ჩემპიონობაზეც ხომ არ ფიქრობთ?

- არა, ეს ურთულესი საქმეა, მით უმეტეს, ისეთი გრანდების კომპანიაში, „აიაქსი“, „ეინდჰოვენი“, „ალკმაარი“ და სხვები რომ არიან. ჩემპიონობაზე ამ სეზონში ნამდვილად არ ვფიქრობთ. ევროპის ლიგაზე მოხვედრა იდეალური ვარიანტი იქნებოდა და სწორედ ესაა ჩვენი მიზანი. არც ის ვიცი, რა იქნება მომავალ სეზონში, მაგრამ ერთ-ორ წელიწადში უკვე შეგვეძლება ჩემპიონობაზე ფიქრი.

- წლეულს გუნდის კაპიტნად აგირჩიეს. რას ნიშნავს ეს შენთვის, ამას ხელი იმანაც ხომ არ შეუწყო, რომ კლუბის პრეზიდენტი ქართველია?

- მერაბისგან არანაირი პრივილეგია არ მაქვს, ასე რომ, არც ღირს ამაზე ლაპარაკი. მწვრთნელის საქმეში ვერავინ ჩაერევა, ვერც პრეზიდენტი და ვერც სხვა. ეს არც არავის აინტერესებს, ყველა თავის საქმეს აკეთებს. დაინახა მთავარმა მწვრთნელმა ჩემში რაღაც, კაპიტნობასაც ხომ უნარი სჭირდება. მისი ინიციატივა იყო, ბიჭებთანაც ისაუბრა და ასე გადაწყდა ეს საქმე. მგონი, კარგად ვართმევ თავს მოვალეობას და ყველა კმაყოფილია.

- მახსოვს, საქართველოში თამაშისას ხშირად ამბობდი, აქ კაპიტნობას ფასი არ აქვს, მოედანზე მსაჯთან დალაპარაკება შეუძლებელიაო. ჰოლანდიაში რა პრივილეგიას განიჭებს კაპიტნობა?

- აქ ნამდვილად ასე იყო, კომუნიკაცია ჭირდა პრეზიდენტთანაც, მწვრ-თნელთანაც, ყველასთან. ჩემი აზრით, როდესაც სამკლავური გიკეთია, თანაგუნდელებიც სხვანაირად გიყურებენ, შენს სიტყვას პატივს სცემენ. თუ უკმაყოფილო ხარ, უნდა თქვა ყველაფერი, ბიჭებს დაელაპარაკო, მერე მწვრთნელს უთხრა. ჰოლანდიაში მოედანზე მსაჯი და ფეხბურთელი ერთმანეთს პატივს სცემენ. არ მინდა, ცუდი ვთქვა ჩვენს მსაჯებსა და ჩემპიონატზე, მაგრამ სხვადასხვა ვითარებაა. გაოცებული ვარ იმით, რაც მე ჰოლანდიაში ვნახე და კარგი იქნება, თუ საქართველოშიც შეიცვლება სიტუაცია. წარმოუდგენელია, მსაჯისთვის რამის თქმა გინდოდეს და არ უთხრა. შეცდომას ყველა უშვებს, უშეცდომო არავინაა, გინდა რაღაცის ახსნა და თქმა, როგორც შენ უსმენ მსაჯს, ისევე უნდა მოგისმინოს მანაც. იმედია, საქართველოშიც მეტი კომუნიკაცია დამყარდება, წინ წავალთ და შეიცვლება რაღაცები.

- რამდენიმე ტურის წინ „ვიტესმა“ არნემულ-ნეიმეგენური დერბი გიორგი ჭანტურიას გოლით მოიგო, მაგრამ ამ შეხვედრაში ის გააძევეს კიდეც. აძლევ თუ არა მას რჩევებს, რომ მოედანზე უფრო მშვიდი და გაწონასწორებული იყოს?

- ეს დერბი დაახლოებით ისეთივე მნიშვნელობისაა, როგორიც საქართველოშია „დინამოსა“ და „ტორპედოს“ დაპირისპირება. აქაურებისთვის ეს თამაში ძალიან ბევრს ნიშნავს. ერთი თვით ადრე იწყება მზადება, ხალხი გიჟს ჰგავს, გარეთ ვერ გახვალ, ზოგიერთი გულშემატკივარი ისეთ ჭკუაზეა. გიორგი ჯერ პატარაა და ემოციური, მისი ასაკისა მეც ემოციური ვიყავი, თუმცა ასე ძალიან არა. გიორგი ცხოვრებაშიც ასეთია. შენიშვნებს ვერიდები, მაგრამ როცა საჭიროა, ვეუბნები, რჩევებსაც ვაძლევ. ემოციას ყველა თავისებურად გამოხატავს, წითელი ბარათის შემდეგ ვილაპარაკეთ, ნერვებს მოვთოკავო, დამპირდა.

საერთოდ, შეცდომებზე უნდა ისწავლო და გიორგიც ცდილობს. ბევრს ვესაუბრები და ხვდება, რას ვითხოვ მისგან. ნიჭიერია, საქართველოს გამოადგება, თანახმაა, ყველგან ითამაშოს, ახალგაზრდულშიც, 19-წლამდელებშიც. ფეხბურთი ემოციური სპორტია და თუ ფეხბურთელს ემოცია არ აქვს, ის ფეხბურთელი არ ყოფილა. ყველა ემოციას გაგება, ახსნა და დალაპარაკება სჭირდება.

- ბოლო პერიოდში თემურ ქეცბაია ნაკრებში სისტემატურად გიძახებს. მისგან ხშირად გვესმის, ნაკრებს „იმ დონის“ ფეხბურთელები არ ჰყავსო. მართლა არ გვყავს იმ დონის ფეხბურთელები, მალტასა და ლატვიას რომ მოუგონ?

- მაღალი დონის ფეხბურთელები არ ვართ, ყველა საშუალო დონის ევროპულ გუნდში ვთამაშობთ, ოღონდ, საშუალო დონეში იმას ვგულისხმობ, რომ მალტის ნაკრებს მართლაც უნდა ვუგებდეთ. იმ თამაშის შემდეგ იმედგაცრუებული ვიყავი, ჩემთვის დიდი სირცხვილი იყო, რომ ვერ მოვიგეთ. თუმცა ახლა ისეთი დროა, ყველა ნაკრებმა ისწავლა დაცვაში კარგად თამაში და მეტ-ნაკლებად ყველა თამაშობს თანამედროვე დონის ფეხბურთს. როდესაც ქვეყნის ნაკრებში თამაშობ, ესე იგი, უკვე იცი ფეხბურთი და მოედანზე შენი დავალება. საქართველოს ნაკრებს ახლა ჩავარდნა აქვს, ფეხბურთელებს ეძებენ. მეც ახლა დავიწყე სისტემატურად თამაში ნაკრებში. თემურს კარგი გუნდის დაყენება უნდა, ამისთვის ყველა ყველაფერს აკეთებს. როდესაც ნაკრებში ჩამოვდივარ, იმის ინტერესი კი არ მაქვს, ფული ვიშოვო, მოედანზე საქართველოს ღირსებისთვის გავდივარ. ბევრი კრიტიკა მესმის, უფრო სწორად, სულ კრიტიკა, მხოლოდ ცუდზეა ლაპარაკი. როდესაც აგებ, ყველა გაკრიტიკებს, როცა იგებ, ყველა ჩუმადაა. ერთი წელი კარგი თამაშებიც ხომ იყო, მარტო იმას ამბობენ, ცუდი ფეხბურთელები გვყავს, ცუდი დონეაო.

- ეროვნული ნაკრების წარუმატებლობა უმთავრესად ფეხბურთელებს ბრალდებათ. მარტო ფეხბურთელები აგებთ თამაშებს?

- არა, თამაშს მთელი გუნდი აგებს, მასაჟისტებიც კი, იმიტომ, რომ ყველა ერთად ვემზადებით. მოედანზე როდესაც გავდივარ, ვაკეთებ ყველაფერს, რაც შემიძლია, კარგად თუ ცუდად, ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია. შეიძლება, თამაში არც გამომივიდეს. მოკლედ, ფეხბურთში ასეთი წესია - აგებს მთელი გუნდი, გამორჩევა, ამან მოიგო, იმან ნააგო, არასწორია.

- 11 ნოემბერს მოლდოვასთან ამხანაგური მატჩია, მოახერხებთ ნავსის გატეხას?

- ნავსი მართლაც უნდა გავტეხოთ, მოვიგოთ და წელი მოგებით უნდა დავასრულოთ. ამხანაგურია თუ ოფიციალური, სულერთია, სანაკრებო დონეზე ყველა თამაში მნიშვნელოვანია.

მაგდა კლდიაშვილი

● იუბილე

ისე, როგორც კოტე მახარაძეს ეკადრება

17 ნოემბერს სახელოვანი ქართველი მსახიობისა და კომენტატორის, კოტე მახარაძის დაბადებიდან 85 წელი შესრულდება და ამ თარიღის აღსანიშნავად არაერთი კულტურული და სპორტული ღონისძიებაა დაგეგმილი. ერთ-ერთია კოტე მახარაძის სახელობის ტრადიციული ტურნირი, რომელიც 11-16 ნოემბერს "ქარიშხალასა" და სკა-ს სპორტულ კომპლექსებში გაიმართება.

ამ შეჯიბრებასთან დაკავშირებით გუშინ თბილისის ფეხბურთის ფედერაციაში გაიმართა პრესკონფერენცია, სადაც მედიის წინაშე წარდგნენ ტურნირის ორგანიზატორები. პრესკონფერენციას კოტე მახარაძის მეგობარი და კოლეგა ჯამლეტ ხუხაშვილი უძღვებოდა.

ჯამლეტ ხუხაშვილი:

- ბრწყინვალე კომენტატორს, მსახიობსა და პიროვნებას, კოტე მახარაძეს, 17 ნოემბერს 85 წელი შეუსრულდებოდა. ამ შესანიშნავი თარიღის აღსანიშნავად მთელი საქართველო ემზადება, განსაკუთრებით კი, ბუნებრივია, ხელოვნებისა და სპორტის სამყარო აქტიურობს. კოტე ხომ საქართველოში და არა მარტო ჩვენს ქვეყანაში ძალიან უყვარდათ და უყვართ.

მოხარული ვარ, რომ მისი სახელობის ტურნირი საერთაშორისო გახდა. დარწმუნებული ვარ, შეჯიბრება უმაღლეს დონეზე ჩაივლის და იქ მისული მაყურებელი არ ინანებს.

მადლობა ყველას, ვისაც ტურნირის ორგანიზებაში მიუძღვის წვლილი – თბილისის ფეხბურთის ფედერაციას, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, თბილისის მერიას, რადიო "ჯაკოს", საფეხბურთო კლუბ "ალგეთს" და, რასაკვირველია, კოტე მახარაძის ოჯახსა და მეგობრებს.

გრიგოლ ცაავა,

თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი:

- ამ ტურნირს საფუძველი ჯერ კიდევ მაშინ ჩაეყარა, როცა ბატონი კოტე ცოცხალი იყო და მოხარული ვარ, ეს შესანიშნავი ტრადიცია რომ გრძელდება. კარგია, რომ ტურნირზე საქართველოს არაერთი რეგიონის გუნდი იქნება წარმოდგენილი და აზერბაიჯანიდანაც გვესტუმრებიან.

■ ■ ■

ტურნირი 1999 წელს დაბადებულ ბავშვთა შორის გაიმართება და მასში 16 გუნდი იასპარეზებს.

A ჯგუფი: 35-ე საფეხბურთო სკოლა-99, ჩემპიონი, ნორჩი დინამო-1, ნორჩი დინამო-99;
B ჯგუფი: ჩემპიონი-2000, ადელი (ბათუმი), ალგეთი, გორი;
C ჯგუფი: 35-ე საფეხბურთო სკოლა-1, ალჯანა (ბაქო, აზერბაიჯანი), მერანი-1, თენგიზ სულაქველიძის აკადემია-2;
D ჯგუფი: თენგიზ სულაქველიძის აკადემია-1, მერანი-2, ნორჩი დინამო-2, 35-ე საფეხბურთო სკოლა-2.

11, 12 და 13 ნოემბერს ჯგუფური ეტაპის შეხვედრებია, 14 ნოემბერს - მეოთხედფინალი, 15 ნოემბერს - ნახევარფინალი, 16 ნოემბერს კი – მატჩი მესამე ადგილისთვის და ფინალი.

დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი კი 17 ნოემბერს **მერაბ ბერძენიშვილის** კულტურულ ცენტრ "მუზაში" გაიმართება, სადაც 19 საათიდან სხვა არაერთი საინტერესო ღონისძიებაცაა დაგეგმილი.

სტუმრები იხილავენ კლიპს კოტე მახარაძის ყველა როლით, უჩვენებენ უკრაინელთა მიერ რუსულ ენაზე გადაღებული დოკუმენტური ფილმს "კოტე მახარაძის ეპოქა" და მოეწყობა კოტე მახარაძის წიგნის, "ორი ბატონის მსახურის" განახლებული ვერსიის პრეზენტაცია.

საიუბილეო ღონისძიებების ორგანიზატორები საპატიო სტუმრებს, ცნობილ სპორტსმენებსა და მსახიობებს რუსეთიდან, უკრაინიდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან ელიან.

ლევან ჯანეზაშვილი

ქართული ფეხბურთი

● დაუვიწყარი თარიღი

1978 წელს თბილისის „დინამო“ მეორედ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. იმ სეზონის ბოლო მატჩი თბილისში, 11 ნოემბერს ჩატარდა და მოსკოვის „ტორპედოს“ წინააღმდეგ თბილისის „დინამო“ უკვე ჩემპიონის რანგში გამოვიდა! „დინამოს“ სტადიონზე შეკრებილი 60000 გულშემატკივარი ოვაციებით შეეგება სეზონის ტრიუმფატორებს — იმ თაობამ ხომ, ფაქტობრივად, ყველაფრის მოგება მოახერხა. სწორედ იმ საჩემპიონო სეზონს ეძღვნება ეს წერილი, რომელიც ცნობილ ვეტერან ჟურნალისტს გარუნ აკოფოვს ეკუთვნის („ცნობარი — დინამო თბილისი“, 2002).

მეორე ტრიუმფი – ვადამდე!

ბურთით რამაზ შენგელია

დინამოს სამწვრთნელო შტაბი. მარცხნიდან: ნოდარ ახალკაცი, კახი ასათიანი, სერგო კუტივაძე

სსრ კავშირის ორმოცდამეერთე ჩემპიონატი თბილისის „დინამოს“ ვადამდე გამარჯვებით აღინიშნა, და ამდენად, იგი სრულიად დამაჯერებელი იყო. მთელი სეზონის განმავლობაში — აპრილიდან ნოემბრამდე ჩვენი გუნდი ლიდერობდა ტურნირს და ოქროს მედლების მოპოვების ყველაზე რეალურ პრეტენდენტად მიიჩნეოდა. ფინიშამდე ხუთი ტურით ადრე ოთხი ქულით უსწრებდა უახლოეს მეტოქეს, სამ ტურამდე - ექვსით! ამ დროისათვის ლიდერს ქულაც ჰყოფნიდა, მიუწვდომელი რომ გამხდარიყო მდევართათვის. ამოცანა, უნდა ითქვას, არცთუ ისე რთული გახლდათ, ისე რომ, გამარჯვებულის საკითხი, პრაქტიკულად ჯერ კიდევ ოქტომბერში გადაწყდა, მას შემდეგ, რაც თბილისელებმა ზედიზედ სამი გამარჯვება იზეიმეს — „არარატთან“, „ზარიასთან“ და ცსკა-სთან შეხვედრებში.

კანონზომიერი იყო დინამოელთა ეს გამარჯვება. იგი შრომატევადი მუშაობისა და ძიების დაგვირგვინება გახლდათ, რომელიც დაიწყო ორი წლის წინათ, როცა გუნდში მთავარ მწვრთნელად **ნოდარ ახალკაცი** მივიდა. აღმავლობა ბრინჯაოს მედლებისა და სსრ კავშირის თასის მოპოვებით დაიწყო, საკავშირო ჩემპიონატში კიდევ ერთი საფეხურით აიწია, 24-წლიანი შესვენების შემდეგ ვერცხლის მედლებს დაეპატრონა, მომდევნო სეზონი კი ჩემპიონის ოქროს მედლებით დაამთავრა.

ჩემპიონი მრავალი მაჩვენებლით გახლდათ წლის საუკეთესო გუნდი და ღირსეულად ერგო სპეციალური პრიზების უმრავლესობა. თბილისელებმა ყველაზე მეტი გამარჯვება მოიპოვეს (17), ყველაზე ცოტა წაგება ჰქონდათ (5), გაიტანეს ყველაზე მეტი გოლი (45), ბრწყინვალედ გამოვიდა მათი დუბლ-შემადგენლობა. მასაც პირველობა ხვდა ტურნირში, ქვეყნის ნაკრებში მიავლინეს ხუთი ფეხბურთელი, ხოლო წლის „33 საუკეთესოთა“ შორის აღმოჩნდა რვა დინამოელი. დაბოლოს, ისევე როგორც წინა წელს, ყოველკვირეული „ფუტბოლ-ჰოკეის“ რეფერენდუმის შედეგად წლის მთავარ ლაურეატად — №1 ფეხბურთელად — დაასახელეს ქართველი გარემარბი **რამაზ შენგელია.**

ასე გამოიყურება დინამოელთა გამარჯვების არითმეტიკული მონაცემები. მაგრამ ამ მონაცემების უკანაა მთელი წლის დაუღალავი შრომა და ძიება, მიგნებები და დანაკარგი, სიხარული და სინანული. წინა წლები აღინიშნებოდა შემადგენლობისა და თამაშის საკუთარი სტილის ძიებით, შემსრულებელთა შერჩევით, რომლებიც უპასუხებდნენ თანამედროვე საფეხბურთო მოთხოვნებს, ვისაც შესწევდა უნარი ახალ, გართულებულ პირობებში შეენარჩუნებინა და განევითარებინა დამახასიათებელი განსაკუთრებულობა, რაც ნიადაგ ჰქონდა საქართველოს საუკეთესო გუნდს.

მართლაც ბევრი სიძნელე იყო. გავიხსენოთ, რომ იმ წლებში დაამთავრეს გამოსვლა, აგრეთვე სხვადასხვა მიზეზის გამო წავიდნენ გუნდიდან ფეხბურთელები, რომლებიც მის ბირთვს წარმოადგენდნენ — **მურთაზ ხურცილავა, გივი ნოდია, კახი ასათიანი, რევაზ ძოძუაშვილი, გოჩა გავაშელი, ვახტანგ ჭელიძე, ზორბეგ ებრალიძე, ლევან ნოდია** და სხვები.

მათ ნაცვლად მოდიოდა ახალგაზრდობა. ყოველი სეზონი ახალ სახელებს გვთავაზობდა: 1974 წელს — **ალექსანდრე ჩივაძე** და **ვახტანგ კოპალეიშვილი,** 1975-ში — **ვიტალი დარასელია** და **ნოდარ ხიზანიშვილი,** 1976-ში — **რევაზ ჩელებაძე** და **გიორგი ჭილაია,** 1977-ში — **თამაზ კოსტავა** და **რამაზ შენგელია,** და ბოლოს 1978-ში — **თენგიზ სულაქველიძე** და **ილია რუხაძე.** იყვნენ სხვა დებიუტანტებიც, მაგრამ აქ ყველაზე გამორჩეულები დავასახელეთ.

ჩვეულებრივ თაობათა ცვლა - გარდუვალ მტკივნეულ პროცესადაა მიჩნეული. ამით აიხსნება გუნდის წარუმატებლობაც. მაგრამ თბილისის „დინამოში“ ახალბედების მოსვლამ ერთგვარად შეადუღაბა კოლექტივი, გაამდიდრა მისი სახე ახალი თვალსაჩინო შტრიხებით. ასე ნაბიჯ-ნაბიჯ იქმნებოდა ანსამბლი, რომელიც დამაჯერებლად მიიწევდა გამარჯვებიდან გამარჯვებამდე. ჯერ იყო 1976 წლის თასის გათამაშება, რომლისკენაც დინამოელთა ოთხი თაობა ოთხ ათეულ წელიწადს მიიწევდა, შემდეგ წარმატება ჩემპიონატში (1978 წელს), რამაც თბილისის „დინამო“ საბჭოთა ფეხბურთის ერთპიროვნულ ლიდერად აქცია.

სეზონი კი ხომ არც ისე იოლი გამოდგა. მოთამაშეებს თან სდევდა ტრავმები, ზოგიერთი კარგა ხნით გამოვიდა მწყობრიდან, რის გამოც მწვრთნელებს თავსატეხი გაუჩნდათ შემადგენლობის უდანაკარგოდ გადასახალისებლად ახალი მოთამაშეების შეყვანისას. ალბათ ბევრს ახსოვს: მხოლოდ პირველი წრის ბოლოს ჩადგა მწყობრში დარასელია, მეორე წრის დასაწყისში — კოსტავა, მეთორმეტე ტურში მძიმე ტრავმის გამო გუნდს კარგა ხნით გამოაკლდა ხიზანიშვილი, არ გაუმართლა ახალგაზრდა, უდავოდ პერსპექტიულ ილია რუხაძეს, დაშავდნენ **ხინჩაგაშვილი, ყიფიანი, გუცაევი.** თუ წინა ჩემპიონატში გუნდი 19 მოთამაშით იბრძოდა, ამჯერად ძირითად შემადგენლობაში მათმა დენადობამ 24-ს მიაღწია, მათ შორის 11 მცველი იყო: დაცვის ხაზმა ყველაზე მეტი დანაკლისი განიცადა, რის გამოც ხშირი იყო მისი მოდიფიკაცია: ოთხეულს, რომლითაც სეზონი დაიწყო (ხიზანიშვილი, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი), მარტო ერთი შემორჩა ფაქტობრივად. სწორედ ამ ძნელი ვითარების გამო აიხსნება ის, რომ ნახევარმცველებმა ჩივაძემ და **გოჩა მაჩაიძემ** დაცვაში დაიხიეს. საბედნიეროდ, ეს გადაადგილება გუნდისათვის და მოთამაშეებისთვისაც მეტად უპრიანი აღმოჩნდა, ახლებურად წარმოჩნდა მათი შესაძლებლობები,

საერთოდ, სეზონი თბილისელთათვის საკმაოდ ხვავიანი აღმოჩნდა დებიუტების მხრივ, ძირითად შემადგენლობაში პირველად სცადა ძალა ექვსმა მოთამაშემ — ზემოთ დასახელებული სულაქველიძისა და რუხაძის გარდა, ესენი იყვნენ **ტარიელ დურდიაძე, ამირან მინაშვილი, ნოდარ ბაზაზაშვილი** და **დიმიტრი გოგოლაძე.**

სათადარიგო შემადგენლობათა გათამაშებაში პირველი ადგილი დაიკავეს თბილისის „დინამოს“ დუბლიორებმაც.

გუნდის საუკეთესო ბომბარდირი გახდა რამაზ შენგელია — 28 თამაშში მან 15 გოლი გაიტანა.

„33 საუკეთესოთა“ სიაში დაასახელეს ყიფიანი, მ. მაჩაიძე, გუცაევი, გოგია (№1), დარასელია, შენგელია (№2), კანთელაძე (№3).

სსრ კავშირის ნაკრებში გამოვიდნენ ყიფიანი, გუცაევი, დარასელია, კოსტავა.

ჩატარებული მატჩები, გატანილი გურთები

(გამოყოფილია ოქროს მედლის მფლობელები)

ვახტან ქორიძე — 30 (8), **მანუჩარ მაჩაიძე** — 30 (2), **რამაზ შენგელია** — 28 (15), **ვლადიმერ გუცაევი** — 26 (4), **ფირუზ კანთელაძე** — 26, **ალექსანდრე ჩივაძე** — 26, **დავით ყიფიანი** — 25 (7), **დავით გოგია** — 24, **გოჩა მაჩაიძე** — 23 (1), **შოთა ხინჩაგაშვილი** — 21, **ვიტალი დარასელია** — 18 (5), **ნოდარ ხიზანიშვილი** — 15, **დავით მუჯირი** — 15, **თამაზ კოსტავა** — 14, **რევაზ ჩელებაძე** — 12 (3), ოთარ გაბელია — 9, თენგიზ სულაქველიძე — 8, ვახტანგ კოპალეიშვილი — 6, ილია რუხაძე — 4, ტარიელ დურდიაძე — 3, ნოდარ ბაზაზაშვილი — 3, ამირან მინაშვილი — 3, გიორგი ჭილაია — 1, დიმიტრი გოგოლაძე — 1.

მცირე ოქროს მედლებით დაჯილდოეს დუბლშემადგენლოგის ფეხბურთელები: *ოთარ გაბელია, იური მამინაშვილი, გიორგი ჭილაია, დავით მუჯირი, ვლადიმერ ახობაძე, ტარიელ დურდიაძე, გოჩა ჯოხაძე, ნუკრი კაკილაშვილი, რამაზ მუმლაძე, ნოდარ ბაზაზაშვილი, რევაზ ჩელებაძე, ამირან მინაშვილი, ვახტანგ კოპალეიშვილი, დიმიტრი გოგოლაძე*

● ამბავი ოვნული ბიბლიოთეკა

დინამო პრემიას ბურის მატჩით უბრუნდება

თბილისის "დინამო" ეროვნულ სტადიონს 20 ნოემბერს დაუბრუნდება — ამ დღეს თბილისური კლუბი ეროვნული ჩემპიონატის მატჩში ქუთაისის "ტორპედოს" უმასპინძლებს.

სტადიონზე შეიცვალა საფარი და განათების სისტემა. ბალახი უკრაინულია და, როგორც ამბობენ, მძიმე კლიმატურ პირობებსაც უნდა გაუძლოს. მნიშვნელოვნად გაძლიერდა განათება — 2000 ლუქსი მაღალი რანგის მატჩების სამასპინძლოდ საესებით საკმარისია.

ამით სამუშაოთა პირველი ეტაპი დასრულდა. მეორე ეტაპი კი 18 დეკემბრიდან დაიწყება, კიდევ ბევრი რამ შეიცვლება და ევროპულ სტანდარტებს მიუახლოვდება.

მაგალითად, შეიცვლება პრეს და ვიპლოჟები, აშენდება საკლუბო მაღაზია, მოეწყობა სპორტული ცენტრები, რესტორანი, პარკინგისთვის გამოიყოფა მეტი ადგილი...

მერაბ მამულაშვილი

ალექსიძის კიდევ გოლი

ვეტერანმა ქართველმა ფორვარდმა თავი ამჯერად უნგრეთის ლიგის თასზე გამოიჩინა, სადაც მისმა "დიორი ეტომ" სტუმრად "ჰალადაშს" 2:1 სძლია. **რატი ალექსიძემ** 36-ე წუთზე ანგარიში გახსნა, 33 წლის ქართველი ლეგიონერი 70-ეზე კი შეცვალეს.

უნგრეთის ლიგის თასზე ამჟამად ჯგუფური ეტაპის მატჩები მიმდინარეობს. ბოლო ტურის ნინ "დიორი ეტო" ჯგუფში მეოთხედფინალში გამსვლელ მეორე ადგილზეა და ამ გამარჯვებით "ჰალადაშს" ორი ქულით გაუსწრო.

ჩემპიონატში კი "დიორი ეტო" 34 ქულით მეორე ადგილზეა და ერთპიროვნულ ლიდერ "დებრეცენს" 3 ქულით ჩამორჩება.

ლევან ჯანეზაშვილი

რატი ალექსიძე

ამჯერად ფრე

საქართველოს 15-ლამდელთა ნაკრებმა აქ შეკრებაზე მყოფ აზერბაიჯანელ თანატოლებთან მეორე ამხანაგური მატჩი ჩაატარა და თუ "მიხეილ მესხზე" მეზობლებს 3:0 მოუგო, ამჯერად რუსთავის "ფოლადზე" ფრეს დასჯერდა – 1:1.

ნოდარ აკობიას გუნდი **გურამ გოშთელიანის** გოლით დანინაურდა, თუმცა აზერბაიჯანელებმა შეხვედრის მიწურულს გათანაბრება შეძლეს. ორივე გოლი მეორე ტაიმში გავიდა.

ლევან ჯანეზაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისის ნაკრები

კაპელო თავს იზღვევს

ინგლისის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფავორიტთა სიიდან თავად მისმა მწვრთნელმა, **ფაბიო კაპელომ** წაშალა. ხვალ ინგლისელები „უემბლიზე“ მსოფლიოს ჩემპიონ ესპანეთს მასპინძლობენ. ეს ამხანაგური თამაშია, რომელიც მასპინძლებს გამოცდად მიაჩნიათ — ესპანელები გამოაჩენენ, სინამდვილეში რისი მაქნისია მათი გუნდი. თუმცა, კაპელომ გამოცდის გარეშეც იცის, რომ მისი შეგირდები ციდან ვარსკვლავებს ვერ წყვეტენ და ამის მიზეზი პრემიერლიგაში ინგლისელთა ნაკლებობაა.

ასეთი განცხადება კაცისგან, რომელიც წელიწადში 6 მილიონ ფუნტს ანუ 7,2 მილიონ ევროს იღებს და დიდი გასამრჯელოს მიუხედავად, შარშან, ზაფხულში, მსოფლიოს ჩემპიონატი ჩააფლავა, ბუნებრივია, ბევრს აღიზიანებს. მაგრამ იტალიელი უკან არ იხევს და ამბობს, რომ იმ კონტინგენტით, რომელიც მის განკარგულებაშია, კიდევ კარგად გამოდის. მეორე მხრივ, გულშემატკივრისთვის ძნელია შეჩვეულთან გადაჩვევა — ფანებს სურთ გუნდი ყველა ტურნირზე უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოდეს.

„ეს დრო წარსულს ჩაბარდა. ვფიქრობ, რაც ინგლისის ნაკრების სათავეში ვარ, კარგად ვიმუშავე. ყველაფერი კი იმის ბრალია, რომ ინგლისის პირველობაზე ძალიან ცოტა ინგლისელი ფეხბურთელი თამაშობს. მათი რაოდენობა 33 პროცენტია“ — თქვა კაპელომ და დასძინა, რომ მისი მოთამაშეების მხრიდან ესპანელების სტილის მიბაძვა დიდი შეცდომა იქნებოდა:

„თავადაც გვყავს კარგი მოთამაშეები, თუმცა მათი ოსტატობა ისე მაღალი ნამდვილად არ არის, ესპანური სტილის კოპირება რომ დაიწყონ. ბურთის ერთი შეხებით გათამაშებას განსაკუთრებული დონე სჭირდება“.

არადა, ჯერ ნოემბერია. 2012 წლის ევროპის ჩემპიონატამდე შვიდი თვეა და ასე ადრე წუწუნი ინგლისელმა ჟურნალისტებმა ამთავითვე თავის მართლებად აღიქვეს. როგორ გინდა შეეგუო აზრს, რომ ივნისში ფეხბურთელები დაღლილები იქნებიან და ცუდად ითამაშებენ.

„ნოემბერში მოთამაშეები ფიზიკურად კარგ ფორმაში არიან, მაგრამ ინგლისურ ფეხბურთს ერთი დიდი პრობლემა აქვს: ზაფხულის დასაწყისში ყველა დახოცილია. პრემიერლიგაში ხომ სირბილი, ორთაბრძოლები და დაძაბულობა მთელი სეზონის განმავლობაში წამით არ ნელდება“.

შემდეგ კაპელომ თავისი კოლეგა, ესპანეთის ნაკრების თავკაცი **ვისენტე დელ ბოსკე** შეაქო:

„ვისენტე მარტო დიდი მწვრთნელი და კარგი ადამიანი კი არა, ძალიან ჭკვიანი პიროვნებაცაა. როდესაც ის ესპანეთის ნაკრებს სათავეში ჩაუყენეს, იმ წუთას მიხვდა რა უნდა გაეკეთებინა. ის უდიდესი ფსიქოლოგია. მან ხომ 2008 წელს ევროპის ჩემპიონი გუნდი ჩაიბარა, მაგრამ საქმე ისე წაიყვანა, რომ ტრიუმფატორ ფეხბურთელებს კიდევ უფრო მაღალი მიზნებისთვის დააწყებინა ბრძოლა“.

ინგლისელ ფეხბურთელებს ესპანეთის ნაკრებისგან ბევრი ერთვის, ოღონდ ეს ერთვის ბევრ ფულს ნიშნავს. ესპანეთის ნაკრებში ბევრ ბარსელონელ ფეხბურთელს ვხედავ, ინგლისურ ნაკრებში ბევრ ინგლისელ ფეხბურთელს ვხედავ, ეს ორი ერთმანეთისგან ძალიან განსხვავებული ფენომენია. ინგლისელ ფეხბურთელებს ბევრ ფულს ვერ ვიხდიან, ესპანეთში ბევრ ფულს იხდიან, ამიტომ ესპანეთში ბევრ ბარსელონელ ფეხბურთელს ვხედავ, ინგლისში ბევრ ინგლისელ ფეხბურთელს ვხედავ. ეს ორი ერთმანეთისგან ძალიან განსხვავებული ფენომენია.

უცხოური ფეხბურთი

პასი ამერიკიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

● არგენტინა. აპერტურა. XIV ტური

წინ ჩემპიონის ტიტულისკენ: შეტევაშია ბოკელი არაუხო

ბოკას შეეძლო ყველაფერი დაეგმთავრებინა

არ უყურით, საშიშია

ოლ ბოისი-ინდეპენდიენტე 2:2

გოლები: 0:1 დეფედერიკო (9), 1:1 მატოსი (18), 1:2 ხ. პერესი (53), 2:2 მატოსი (60)

აზლეტიკო-ბელგრანო 0:0

გაძევება: რ. როდრიგესი (61. ბელგრანო)

ოლიმპო-სან ლორენსო 1:1

გოლები: 0:1 კალინსკი (3), 1:1 ფურხი (73)
გაძევება: სალგეირო (31. სან ლორენსო)

ტიგრე-კოლონი 2:1

გოლები: 1:0 ლუნა (36), 2:0 კარასკო (73), 2:1 მორენო ი ფაბიანესი (74)

გოლოი კრუსი-ესტუდიანტესი 3:1

გოლები: 1:0 როხასი (4), 2:0 რ. რამირესი (16), 2:1 კურბელო (45 ს.კ.), 3:1 კუპერი (77)
გაძევება: ლ. ბენიტესი (90. ესტუდიანტესი)

რასინგი-არხენტინოსი 1:0

გოლი: 1:0 მორენო (54)

ბანფილდი-ლანუსი 1:2

გოლები: 1:0 გოლეი (6 ს.კ.), 1:1 პავონე (26), 1:2 ისკიერდოსი (35)
გაძევება: დელფინო (90. ბანფილდი)

სანტა ფე-ნიუელსი 2:1

გოლები: 1:0 ბარალესი (48),1:1 ტონსო (76), 2:1 ბოლონია (87)
გაძევება: ვილიალბა (45. ნიუელსი), მუნიოსი (53. ნიუელსი), ფერაკუტი (85. ნიუელსი)

არსენალი-სან მარტინი 2:0

გოლები: 1:0 სელაია (2), 2:0 კაფა (52-პენ)
გაძევება: ნუნიესი (68. სან მარტინი)

ველესი-ბოკა 0:0

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბოკა	14	9	5	0	17-3	32
2. რასინგი	14	5	9	0	11-4	24
3. ლანუსი	14	6	5	3	17-11	23
4. ათლეტიკო	14	7	2	5	20-19	23
5. ტიგრე	14	5	6	3	16-13	21
6. ბელგრანო	14	5	6	3	13-10	21
7. ველესი	14	6	3	5	14-12	21
8. კოლონი	14	5	6	3	12-11	21
9. სანტა ფე	14	5	6	3	13-13	21
10. გოდოი კრუსი	14	5	5	4	24-19	20
11. არსენალი	14	5	5	4	16-13	20
12. ინდეპენდიენ.	14	4	4	6	11-15	16
13. სან ლორენსო	13	4	3	6	12-15	15
14. სან მარტინი	14	3	6	5	11-14	15
15. ოლიმპო	14	2	8	4	15-18	14
16. ოლ ბოისი	13	2	7	4	13-19	13
17. ნიუელსი	14	1	9	4	10-14	12
18. არხენტინოსი	14	2	6	6	12-20	12
19. ესტუდიანტესი	14	2	4	8	15-22	10
20. ბანფილდი	14	3	1	10	9-16	10

ბომბარდირები: 10 - რ. რამირესი (გოდოი კრუსი); 7 - მატოსი (ოლ ბოისი); 6 - განდინი (ათლეტიკო), როლე (ოლიმპო).

გამოტოვებული მატჩი

12 ნოემბერი: **სან ლორენსო-ოლ ბოისი.**

მომდევნო ტური

18 ნოემბერი: **სან მარტინი-ოლ ბოისი, ნიუელსი-ტიგრე.**

19 ნოემბერი: **არხენტინოსი-გოდოი კრუსი, ბელგრანო-ველესი, ინდეპენდიენტე-ოლიმპო.**

20 ნოემბერი: **ბოკა-რასინგი, კოლონი-ათლეტიკო, სან ლორენსო-სანტა ფე.**

21 ნოემბერი: **ლანუსი-არსენალი, ესტუდიანტესი-ბანფილდი.**

აპერტურას მე-14 ტურში ბევრი საინტერესო რამ მოხდა, რომელთაც ქვემოთ გაგაცნობთ.

ტურის მოვლენები

მიგელ ანხელ რუსომ „ესტუდიანტესის“ ხელმძღვანელობების იმედები ვერ გაამართლა და „გოდოი კრუსთან“ დამარცხების შემდეგ თანამდებობიდან გაუშვა. რუსოს, რომელსაც ეროვნული პირველობაც მოუგია და ლიბერტადორესის თასიც, საშინელი წელიწადი დაუდგა - 2011-ში უკვე მეორედ მოხსნეს. პირველად ის „რასინგმა“ გააგდო. რუსოს სურდა დაემტკიცებინა, რომ ეს შეცდომა იყო, მაგრამ „ესტუდიანტესშიც“ ჩაფლავდა, მან „სტუდენტები“ კრიზისიდან ვერ გამოიყვანა.

„ბოკას“ ჰანდიკაპი მდევრებთან ცოტათი შემცირდა. არადა, **როლანდო სკიავის** პენალტი რომ გაეტანა „ველეს სარსფილდის“ კარში, გუნდი ფაქტობრივად გადაწყვეტდა ჩემპიონობის საკითხს. თუმცა, ჩემპიონატის დასრულებამდე 5 ტურით ადრე 8-ქულიანი უპირატესობაც ვეებერთელაა.

ხუთი ფრის შემდეგ, როგორც იქნა, მოიგო „რასინგმა“. საოცარია პირდაპირ - გუნდი იშვიათად იგებს, მაგრამ მე-2 ადგილზეა - ერთობ უცნაური აპერტურა გამოდგა. „არხენტინოს ხუნიორსის“ კარში ერთადერთი გოლი **ჯოვანი მორენომ** თავით გაიტანა.

კლასიკო დელ სური ვერ გამოდგა ისეთი კარგი, როგორსაც ელოდნენ - „ბანფილდი“ ცუდ ფორმაშია და „ლანუსთან“ ვერას გახდა, არადა, სამხრეთული კლასიკო ზედიზედ ოთხი თამაშია, არ ნაეგო.

„სანტა ფეს“ მეკარე **ენრიკე ბოლონია**, რომელიც სხვათა შორის, დიდი ვერაფერი გოლკიპერია, სეზონში მეორედ გახდა გოლის ავტორი. პირველად (რასინგთან) მან თავისსავე გაცუდებულ თერთმეტმეტრიანს დაამატა, ახლა კი პენალტი უნაკლოდ დაარტყა.

ტურის ციფრები

22 გოლი ტურში დიდი ვერაფერი მაჩვენებელია, თუმცა წლეულს არგენტინის ჩემპიონატი გოლებით არ გვანებივრებს. 14:8 სტუმართა სასარგებლოდ. **მაურო მატოსმა** (ოლ ბოისი) „ინდეპენდიენტეს“ კარში დუბლი შეასრულა.

ტურის მატჩი

ბანფილდი-ლანუსი

ტურის გმირი

ხერმან მონტოია (ველესი)

ხერმანმა პირველი მეკარის სტატუსი გუნდში მას მერე დაკარგა, რაც მარტინ პალერმომ 40 მეტრიდან გაუტანა. მაგრამ წინა ტურში „ველესის“ ძირითადი გოლკიპერი **მარსელო ბაროვერო** გააძევეს. „ბოკასთან“ მატჩში მონტოია ბრწყინვალე იყო, როლანდო სკიავის პენალტიც აიღო.

ტურის ტრავმა

უფრო წლის ტრავმა: „სანტა ფესა“ და „ნიუელს ოლდ ბოისის“ მატჩის 53-ე წუთზე მასპინძელმა **მარსელო სარმიენტომ** საშინელი ტრავმა მიიღო. ის **ფაბიან მუნიოსმა** მოიხეა. თუკი სუსტი გული გაქვთ, ამ ტრავმის ამსახველი კადრები არ ნახოთ.

ტურის გოლი

ივან პერესი (ინდეპენდიენტე)

ვინ ვარდება

20. სან მარტინი - 1,07; 19. ტიგრე - 1,14; 18. ოლიმპო - 1,19; 17. ოლ ბოისი - 1,25

● ბრაზილია. სერია A. XXXIII ტური

ჩემპიონი გაცოცხლდა, ვიცე-ჩემპიონი ვარდება

ბრაზილიაში ყველა მატჩს ოქროს ფასი აქვს

ბოტაფოგო-ფიგეირენსე 0:1

გოლი: 0:1 ჟულიო სეზარი (6)

ატლ. მინეირო-გრემიო 2L:0

გოლები: 1:0 ანდრე (41), 2:0 მარკინიოსი (76)
გაძევება: ნეტო (53. ატლეტიკო)

ბაია-სან პაულუ 4:3

გოლები: 0:1 ველინგტონი (21), 1:1 სოუზა (46), 1:2 ლუკას სილვა (48), 1:3 სისერო (60), 2:3 ლულინია (68), 3:3 ფაელი (73), ლუიზ ედუარდო (83 ს.კ.)

სანტოსი-ვასკუ და გამა 2:0

გოლები: 1:0 ნეიმარი (3), 2:0 ბორჟესი (74)

ფლამენგო-კრუზეირო 5:1

გოლები: 0:1 ანსელმო რამონი (23), 1:1 დეივიდი (36), 2:1 დეივიდი (48), 3:1 ტიაგო ნევესი (54), 4:1 ტიაგო ნევესი (58), 5:1 ტიაგო ნევესი (70)
გაძევება: ანსელმო რამონი (74. კრუზეირო)

ავაი-სპარა 1:2

გოლები: 0:1 ტიაგო უმბერტო (15), 0:2 ფელიპე აზევედო (57), 1:2 ვილიამი (60)

ამერიკა-კორინთიანსი 2:1

გოლები: 1:0 ფაბიო ჟუნიორი (34-პენ), 1:1 ჩიკაო (45-პენ), 2:1 ამარალი (87)

პალმეირასი-კორიტიბა 0:2

გოლები: 0:1 დავი (23), 0:2 ლეონარდო (56)
გაძევება: ჟოაო ვიტორი (78. პალმეირასი)

ინტერნასიონალი-ფლუმინენსე 1:2

გოლები: 0:1 რაფაელ მოურა (17), 1:1 ოსკარი (37), 1:2 რაფაელ სობისი (45)
გაძევება: ჟუანი (82. ინტერნასიონალი)

ატლ. პარან.-ატლ. გოიანიენსე 2:1

გოლები: 0:1 ანსელმო (26), 1:1 ნიეტო (47), 2:1 ნიეტო (56)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. კორინთიანსი	33	17	7	9	47-34	58
2. ვასკუ	33	16	10	7	49-37	58
3. ფლუმინენსე	33	18	2	13	48-42	56
4. ბოტაფოგო	33	16	7	10	49-38	55
5. ფლამენგო	33	14	13	6	57-44	55
6. ფიგეირენსე	33	14	11	8	43-38	53
7. ინტერნასიონ.	33	13	12	8	53-40	51
8. სან პაულუ	33	13	11	9	48-42	50
9. სანტოსი	33	14	6	13	49-46	48
10. კორიტიბა	33	13	9	11	52-38	48
11. გრემიო	33	13	7	13	40-44	46
12. ატლ. გ.	33	11	9	13	42-40	42
13. პალმეირასი	33	9	14	10	37-36	41
14. ატლ. მ.	33	11	6	16	41-49	39
15. ბაია	33	9	12	12	39-44	39
16. სპარა	33	9	8	16	39-55	35
17. კრუზეირო	33	9	7	17	38-47	34
18. ატლ. პ.	33	8	10	15	33-50	34
19. ავაი	33	7	8	18	44-69	29
20. ამერიკა	33	5	13	15	43-58	28

მატჩის გმირები. მარცხნიდან: **რონალდინიო, დეივიდი და ტიაგო**

ბომბარდირები: 23 - ბორჟესი (სანტოსი); 15 - დეივიდი (ფლამენგო); 14 - ვილიამი (ავაი).

მომდევნო ტური

12 ნოემბერი: **სან პაულუ-ავაი, ფლუმინენსე-ამერიკა, ფიგეირენსე-ატლ. მინეირო.**

13 ნოემბერი: **კორინთიანსი-ატლ. პარანაენსე, სპარა-სანტოსი, კორიტიბა-ფლამენგო, გრემიო-პალმეირასი, ვასკუ და გამა-ბოტაფოგო, კრუზეირო-ინტერნასიონალი, ატლ.გოიანიენსე-ბაია.**

დასასრულს 5 ტური უკლია და ბრაზილიურ სერია A-ში საოცარი სიტუაციაა: სატურნირო მდგომარეობა პირველიდან ბოლო ადგილამდეა დაძაბული და ყოველ დარჩენილ მატჩს ოქროს ფასი აქვს. ამ ტურში ყველაზე საინტერესო კი ის მოხდა, რომ ყველა (თითქმის) ლიდერმა წააგო! ამით კი მოქმედ ჩემპიონ „ფლუმინენსეს“ ტიტულის შენარჩუნების შანსი გაუჩნდა. არადა, თითქოს, გამოტირებული ჰქონდა.

უკვე შაბათს დაიწყო უცნაურობები, როცა „ბოტაფოგომ“ „ფიგეირენსესთან“ 0:1 წააგო. პარალელური მატჩი კი მთლად საოცარი გამოდგა - „ბაია“ „სან პაულუს“ მასპინძლობდა. გუნდებს სხვადასხვა ამოცანები აქვთ გადასაჭრელი. სტუმრები ჯერ **ველიგტონის** ბრწყინვალე გოლით დანინაურდნენ, შემდეგ მეორე ტაიმში კიდევ ერთხელ გავიდნენ წინ, როცა **ლუკასმა** შორიდან გაუტანა მასპინძლებს, **სისერომ** კი იქვე ერთი გოლიც დაამატა. თითქოს, სამი ქულა მოპოვებული იყო, მაგრამ „ბაია“ არ დანებდა და ზედიზედ 3 გოლი გაუტანა ბრაზილიური ფეხბურთის ერთ-ერთ გრანდს. ჯერ ერთ დროს ძალზე პერსპექტიულმა **ლულინიამ** გაიტანა, შემდეგ **ფაელმა** გაათანაბრა და ბოლოს სტუმართა მცველმა საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. არადა, ამ გოლებს შორის **ლუიშ ფაბიანომ** და **დაგობერტომ** ისეთები აცილეს... „სან პაულუ“ ლიბერტადორესის თასის საგზურისთვის ბრძოლას აგებს.

კვირას კიდევ უფრო ძნელადდასაჯერებელი ამბები მოხდა ბრაზილიაში - ორივე ლიდერი დამარცხდა. თუკი „ვასკუ და გამას“ წაგებას „სანტოსთან“ (0:2) ახსნა კიდევ მოეძებნება, საოცარია, როგორ წააგო „კორინთიანსმა“ ბოლოადგილოსან „ამერიკასთან“, რომელსაც სასწაულიღა თუ იხსნის გავარდნისაგან. პირველ ტაიმში გუნდებმა პენალტებით გაიტანეს, მეორეში კი აუტსაიდერმა საჯარიმო დარტყმის წყალობით მოიგო. მოკლედ, ღია თამაშში ამ მატჩში გოლი არ გასულა. „სანტოსმა“ კი **ნეიმარისა** და ბომბარდირ **ბორჟესის** გოლებით მოიგო. ტურის შემდეგ ვარსკვლავთბიჭუნამ „სანტოსთან“ 2014 წლის ბოლომდე გააგრძელა კონტრაქტი. თუმცა მაინც ნაკლებად დასაჯერებელია, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტალანტი ევროგრანდებმა კიდევ სამი წელი დატოვონ ოკეანის გაღმა. უბრალოდ, „სანტოსმა“ თამასა უფრო მაღლა აწია.

„ფლამენგომ“ საქვეყნოდ შეარცხვინა „კრუზეირო“ - 5:1 მოუგო და ვიცე-ჩემპიონი გასავარდნ ზონაში მოისროლა. არადა, „რუბრო-ნეგრომ“ პირველმა გაუშვა. ამის შემდეგ ფორვარდ **დეივიდისა** და ნახევარმცველ **ტიაგო ნევესის** ფანტასტიკური დუეტი ამოქმედდა - პირველმა დუბლი მიითვალა, უკანასკნელმა - სულაც ჰეთ თრიკი. ბუნებრივია, თავისი წვლილი მოგებაში **რონალდინიომაც** შეიტანა.

„ინტერიც“, „სან პაულუსი“ არ იყოს, ლიბერტადორესის თასის საგზურისთვის ბრძოლაში მარცხდება. გუნდმა შინ 1:2 წააგო ჩემპიონ „ფლუმინენსესთან“. „ფლუმ“ ამ მოგებით მე-3 ადგილზე გადაინაცვლა, პირველ ადგილამდე სულ რაღაც 2 ქულა რჩება!

● MLS.

ბექჰემი და კინი დინამოს წინააღმდეგ

კონფერენციის 1/2 ფინალები. საპასუხო მატჩები

ქანზას სიტი-კოლორადო 2:0 (2:0)

გოლები: 1:0 კოლინი (38), 2:0 საპონგი (76)

სიეტლი-რეალ სოლტ ლ. 2:0 (0:3)

გოლები: 1:0 ოსვალდო ალონსო (56-პენ), 2:0 ნიგლი (61)

ჰიუსტონი-ფილადელფია 1:0 (2:1)

გოლი: ჩინგი (45)

ლოს ანჯ.-ნიუ იორკი 2:1 (1:0)

გოლები: 0:1 როჯერსი (4), 1:1 მეგი (42), 2:1 დონოვანი (75-პენ)

კონფერენციის ფინალები

ქანზას სიტი-ჰიუსტონი 0:2

გოლები: 0:1 აინო (53), 0:2 კოსტლი (87)

ლოს ანჯ.-რეალ სოლტ ლეიკი 3:1

გოლები: 1:0 დონოვანი (22-პენ), 1:1 საბორიო (24), 2:1 მეგი (58), 3:1 კინი (68)

თასის ფინალი

21 ნოემბერი: **ლოს ანჯელეს გელექსი - ჰიუსტონ დინამო**

მარცხნიდან: **რობი კინი, დევიდ ბექჰემი და ლოსანჯელესელთა მცველი ოდ დანივენტი ფინალში გასვლას ზეიმობენ**

ამერიკის საფეხბურთო ლიგაში (MLS) გადამწყვეტი მატჩიღა დარჩა - 21 ნოემბერს ფინალში ერთმანეთს **დევიდ ბექჰემის, ლენდონ დონოვანისა** და **რობი კინის** „ლოს ანჯელეს გელექსი“ „ჰიუსტონ დინამოს“ დაუპირისპირდება. კონფერენციის ფინალებში მათ (შესაბამისად) „რეალ სოლტ ლეიკ სიტი“ და „სპორტინგ კანზას სიტი“ დაამარცხეს.

ლოსანჯელესელებმა 23-ე წუთზე გახსნეს ანგარიში - ყველაფერი ბექჰემის კუთხურს მოჰყვა, ის იყო მცველ **ომარ გონსალესს** თავური უნდა დაერტყა, რომ მას ხელი შეუშალეს, პენალტი კი დონოვანმა გაიტანა. სოლტლეიკსიტელებმა უმალვე უპასუხეს **ალვარო საბორიოს** გოლით. ლოსანჯელესელებმა მეორე ტაიმში ორი უპასუხო გოლი გაიტანეს, ბექჰემმა **მაიკ მეგის** თავზე „დაასვა“ ბურთი, შემდეგ კი თავისი გოლი კინმა გაიტანა.

ჰიუსტონელები ბოლო 6 წელიწადში მესამედ გავიდნენ MLS-ის თასის ფინალში, მათ სტუმრად 2:0 მოუგეს „კანზას სიტის“, გოლები კანადელმა **ანდრე აინომ** და ჰონდურასელმა **კარლო კოსტლიმ** გაიტანეს.

გვერდი მოამზადა **ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარი სენ-ჟერმენი

პარიზელთა ამბიცია

კარლო ანჩელოტის შეიძლება პარი სენ-ჟერმენი ჩააბარონ

"პარიზიენის" მტკიცებით, **კარლო ანჩელოტი** ამ კვირაში პარიზში იმყოფებოდა და ოთხშაბათს "პარი სენ-ჟერმენის" პრეზიდენტ **ნასერ ალ-ჰელაიფისა** და კლუბის სპორტულ დირექტორ **ლეონარდოს** შეხვდა. სენიორ კარლომ პარიზში სულ ორი დღე გაატარა. როგორც გამოცემა ამტკიცებს, მასპინძლებმა იტალიელ სპეციალისტს კლუბის განვითარების გეგმა დაწვრილებით გააცნეს და კონტრაქტის პირობებზეც დაელაპარაკნენ. თუკი შეთანხმება შედგა, კარლიტო "პარკ დე პრენსზე" მომდევნო სეზონიდან იმუშავებს. რაც შეეხება **ანტუან კომბუარეს**, მას მადლობასთან ერთად კონტრაქტით გათვალისწინებულ სამმილიონევროიან კომპენსაციას გადაუხდიან და გაათავისუფლებენ.

"პარიზიენისგან" განსხვავებულ ინფორმაციას ავრცელებენ ინგლისური წყაროები. მათი მტკიცებით, ანჩელოტისა და პსჟ-ის ხელმძღვანელთა შეხვედრა უშედეგოდ დამთავრდა. იტალიელი ამიერიდან ყურადღებას ისევ ინგლისურ ვარიანტებს მიაპყრობსო. მომდევნო სეზონიდან მას თურმე "ტოტენჰემი" სთავაზობს მთავარი მწვრთნელის პოსტს. რას ერჩის პრესა "მამლების" წარმატებულ დამრიგებელ **ჰარი რედნაპს**? არც არაფერს, მასმედია რედნაპს ევრო 2012-ის დასრულების შემდეგ ინგლისის ნაკრებში **ფაბიო კაპელოს** ყველაზე რეალურ მემკვიდრედ განიხილავს.

იანვრის სატრანსფერო ბაზარზე "პარი სენ-ჟერმენის" ხელმძღვანელობას დიდზე დიდი ამბიციები აქვს. თუმცა, ყველაფერი რომ მათზე არ არის დამოკიდებული, ამას აღიარებენ. **დევიდ ბექჰემის** შესახებ აგორებული ხმები ყველას მოგეხსენებათ. ინგლისელი სუპერვარსკვლავი ფრანგებთან კონტრაქტს ხელს მოაწერს თუ არა, მალე გაირკვევა. ამას გარდა "ლურჯ-წითლებს" ნახევარდაცვისა და შეტევის კიდევ უფრო გაძლიერება სურთ. ამ მიზნით მათ "ნაპოლიდან" 24 წლის **მარეკ ჰამშიკის** გადაბირება სურთ. აქვე მოგახსენებთ, რომ იტალიური მედიის ცნობით, ჰამშიკის აგენტი ამ დღეებში ნეაპოლელებთან ახალ კონტრაქტზე იწყებს მოლაპარაკებებს, რაც ფრანგულ კლუბს მიზანს ბევრად გაურთულებს. ამას გარდა, გაზეთები ამტკიცებენ, პარიზელთა სამიზნეში მოხვდნენ ჰამშიკის თანაგუნდელი, 24 წლის **ედინსონ კავანი** და ამავე ასაკის მაროკოელი ცენტრალური მცველი, უდინეზელი **მეჰდი ბენატია**.

დაბოლოს, 27 ნოემბერს დიდი ფრანგული დერბია. ერთმანეთს ლიგა 1-ის მე-15 ტურში "პარი სენ-ჟერმენი" და "მარსელი" შეხვდებიან. ამ გუნდების გულშემატკივართა დაპირისპირებას კლუბების მეტოქეობაზე არანაკლებ მდიდარი ისტორია აქვს. საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ დღისთვის ყოველთვის განსაკუთრებულად ემზადება ხოლმე. ამჯერად პროფესიული ფეხბურთის ლიგამ და პოლიციამ გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად გადაწყვიტეს, პარიზელ ფანებს "ველოდრომზე" მოხვედრის უფლება არ დართონ. ანალოგიურად მოიქცევიან 8 აპრილის მატჩისთვის, "პარკ დე პრენსს" პროვანსელ გულშემატკივარს არ გააკარებენ.

ლევან ბიბილაშვილი

სავარაუდო ტრანსფერები

მვილა აუცილებლად წავა

მგია და ლისანდრო კი ბრუნდებიან



იან მვილას ამბიციურ კლუბში თამაში უნდა

"რენის" 21 წლის საყრდენი ნახევარმცველი **იან მვილა** აცხადებს, რომ ევრო 2012-ის დასრულების შემდეგ "რენს" აუცილებლად დატოვებს. *"ჩემს მომავალ საკლუბო კარიერასთან დაკავშირებით გარკვეული ჯერ არაფერია. ევროპის ჩემპიონატამდე აუცილებლად "რენში" დავრჩები, შემდეგ კი საინტერესო წინადადებებს აუცილებლად განვიხილავ. ვფიქრობ, რომ კარიერაში შემდგომი ნაბიჯისთვის უკვე მზად ვარ,"* – თქვა მარვინმა. **ლორან ბლანის** ერთ-ერთმა უსაყვარლესმა შეგირდმა სანაკრებო თემატიკაზეც ილაპარაკა: *"უპირველესად ის უნდა ვთქვა, რომ მოხარული ვარ, ევროპის ჩემპიონატის საგზური პირდაპირ რომ მოვიპოვეთ. ბოსნიელებმა საკმაოზე მეტად გვანერვიულეს. მათ შეეძლოთ ჩვენ პლეი ოფების მატჩებში გავეშვით. ამის მიუხედავად, დარწმუნებული ვარ, რომ კონტინენტის პირველობაზე წარმატებულად გამოვალთ. ჩვენ იქ ღირსშესანიშნაობების დასათვალიერებლად კი არა, ტურნირის მოსაგებად მივდივართ".*

"მარსელის" 25 წლის ცენტრალურმა მცველმა **სტეფან მბიამ** 14 აგვისტოს ლიგა 1-ის II ტურის შეხვედრაში "ოსერის" წინააღმდეგ (2:2) ტერფის ძვლების მოტეხილობა მიიღო. ამ ადგილას კი, მოგეხსენებათ ბევრი წვრილ-წვრილი ძვალია, რაც ტრავმის მკურნალობას ძალიან აძნელებს. პროვანსელთა ექიმების პროგნოზით, კამერუნელის მკურნალობას დაახლოებით 5-6 თვე უნდა დასჭირვებოდა. მათდა საბედნიეროდ, პროგნოზი არ გამართლდა. ფეხბურთელმა ტრავმა 2,5 თვეში მოირჩინა და მინდორზე დასაბრუნებლად უკვე ემზადება. დღეს ის "მარსელისა" და "არლის" ამხანაგურ შეხვედრაში მიიღებს მონაწილეობას. **დიდიე დეშამის** გუნდი ქვედალიგელს ნაკრებებში მივლენილი ფეხბურთელების გარეშე დაუპირისპირდება. რაც შეეხება XIV ტურში "მონპელიესთან" გასვლით შეხვედრას, სტეფანი განაცხადში მოხვდება, დანარჩენი კი დეშამის გადასაწყვეტია.

"ლიონის" თავდასხმის ლიდერ **ლისანდრო ლოპესს** უბედურება სტეფან მბიას ტრავმიდან ცოტა ხანში ეწვია. ეს 27 აგვისტოს "მონპელიესთან" IV ტურის მატჩში მოხდა. ფეხბურთელმა მუხლი დაიზიანა. ვარჯიში არგენტინელმა ორიოდე დღის წინ დაიწყო. *"როგორც იქნა, ლისანდრო გამოჯანმრთელდა. მუხლის ტკივილი მეტად აღარ აწუხებს. დატვირთვებში ხელს აღარაფერი უშლის და საერთო გუნდურ ვარჯიშებს მალე შეუერთდება. სანაკრებო პაუზების შემდეგ, იმედია, "რენთან" 18 ნოემბერს გასამართ შეხვედრაში მას უკვე შეეძლება გუნდის დახმარება,"* – განაცხადა "ლომების" დამრიგებელმა **რემი გარდმა**.

ამ დღეებში ესპანური პრესა წერდა, სეზონის დასრულების შემდეგ "სოშოს" 23 წლის ნახევარმცველი **მარვინ მარტენი** კარიერას ლა ლიგაში განაგრძობს, რადგან საამისოდ არაერთი წინადადება აქვსო. "სოშო" ფეხბურთელს კონტრაქტის გახანგრძლივებას სთავაზობს, მაგრამ მარვინი უარზეა, რადგან ხვდება, რომ მის პროფესიულ ზრდას ეს არ წაადგება. *"სეზონის დასრულების შემდეგ "სოშოს" დატოვებას ვაპირებ. ესპანეთის ჩემპიონატი ძალიანაც მომწონს, მაგრამ მირჩევნია, საფრანგეთში დავრჩე, თუკი ჩვენი ჩემპიონატის წამყვანი კლუბები ჩემით დაინტერესდებიან,"* – განუცხადა ფეხბურთელმა "ეკიპს". ეს გარკვეულწილად შეიძლება მინიშნებადაც მივიჩნიოთ, რომ მას "პარი სენ-ჟერმენში" გადასვლა სურს. სეზონის დაწყებამდე ხომ დედაქალაქელებს მისი ხელში ჩაგდება ძლიერ ენადათ, მაგრამ ამის საშუალება კლუბმა არ მისცა. "სოშომ" კარგადაც გათვალა, რადგან საფრანგეთის ნაკრებში ფანტასტიკური დებიუტის შემდეგ (უკრაინასთან 4:1-ზე 2 გოლი და 1 შედეგიანი გადაცემა) მისი ფასი ლამის გაორმაგდა. მარტენი ლიგა 1-ში წელსაც მშვენივრად გამოიყურება – 11 შეხვედრაში მან 1 გოლი და 4 საგოლე პასი გააკეთა.

ლევან ბიბილაშვილი

ყაჩაღი ფეხბურთელი

მანქანის გამგაცებელი

კრისტიან ბენკეტე

ბელგიური პოლიციის ცნობით, "გენკის" 20 წლის ცენტრალური თავდამსხმელი, კონგოური წარმოშობის **კრისტიან ბენკეტე** ორ მეგობართან ერთად ავტომანქანის გატაცებასა და მისი მესაკუთრის სასტიკად ცემაშია ბრალდებული. სამართალდამცავებმა პირველ ეტაპზე ის მხოლოდ მოწმის სტატუსით დაკითხეს. იმავე დღეს კრისტიანი კლუბის ვებგვერდზე ამტკიცებდა, არაფერ შუაში ვარ, აქ რაღაც გაუგებრობაა, მაგრამ ამ ამბებიდან 24 საათში ბაზაზე მას გამომძიებელი ესტუმრა, ვინც მას უფლებები გააცნო, ხელბორკილები დაადო და წინასწარი დაკავების საკანში უკრა თავი. გაიმართა წინასწარი სასამართლო მოსმენა, სადაც მოსამართლემ მას ქალაქიდან გაუსვლელობის ხელწერილი დაადებინა და გირაოს თანხის შეტანის შემდეგ გაათავისუფლა.

ბუნებრივია, რომ თუკი ბენკეტეს წინააღმდეგ ნაყენებული ბრალდება დამტკიცდა, ეს მის კარიერას სერიოზულ დაღს დასვამს. ჯერჯერობით უცნობია, რამდენი ხნით მოისურვებს პროკურატურა საზოგადოებისგან ფეხბურთელის იზოლირებას. ექსპერტები კრისტიანს დიდ მომავალს უწინასწამეტყველებდნენ. მის ანგარიშზე ბელგიის ასაკობრივ ნაკრებებში ჩატარებულ 28 შეხვედრაში გატანილი 19 გოლია.

ლევან ბიბილაშვილი

გამოხმაურება

ასე გამოიყურებოდა ნევენ სუბოტიჩი კირიაკოსის ფოლის შემდეგ

SMS-ით ბოდიში არ ყმარა!

სუბოტიჩი კირიაკოსს ვერ პატიობს

ბუნდესლიგის გასულ ტურში, „ვოლფსბურგის" მცველმა **სოტირიოს კირიაკოსმა** დორტმუნდელ კოლეგა **ნევენ სუბოტიჩს** იდაყვი სახეში ისე მაგრად უთავაზა, რომ სერბ მცველს სახეზე სამმაგი მოტეხილობა ჰქონდა და საკმაოდ დიდხანს ცალი თვალით ვერაფერს ხედავდა. სუბოტიჩი კლინიკიდან სამშაბათს გაწერეს და „ბორუსიას" მცველმა პირველი კომენტარისთვისაც მოიცალა.

„მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ასეთი ბრუტალური საქციელი საჭირო არ იყო. ფეხბურთელი ორთაბრძოლისას ასე სასტიკად არ უნდა იქცეოდეს. მჯერა, რომ ეს განგებ არ უნდოდა, ბოლოს და ბოლოს, არანორმალური ხომ არ არის, მაგრამ ფაქტია, რომ ორთაბრძოლის დროს იდაყვი ასე სასტიკად არ უნდა მოიქნიო. კირიაკოსმა ტექსტური შეტყობინებით მომიბოდიშა, მაგრამ ჩემი აზრით, ასეთი საქციელის შემდეგ ბოდიშის SMS-ით მოხდა საკმარისი არ არის," - აცხადებს სუბოტიჩი, რომელიც „ვოლფსბურგის" ბერძენი მცველის საქციელის გამო ფეხბურთს იანვრამდე ვეღარ ითამაშებს.

გოტფრიდ ლენცი

ტრაგედია

ორი წელი რობერტის გარეშე

ანდრეას ბერგმანი დღეს „ბოხუმის" მთავარი მწვრთნელია, **ჰანო ბალიტში** „ლევერკუზენის" ნახევარმცველი, **ფლორიან ფრომლოვიტცი** კი „დუისბურგის" კარს იცავს, მაგრამ სამივეს ერთი რამ, ორი წლის წინ მომხდარი ტრაგედია აერთიანებს. გუშინ, ყოფილმა ჰანოვერელებმა სხვებთან ერთად, **რობერტ ენკეს** საფლავი მოინახულეს და კიდევ ერთხელ მიაგეს პატივი მის ხსოვნას. ჰო, იმ დღიდან, როცა გერმანიის ნაკრებისა და „ჰანოვერის" მეკარემ თავი მოიკლა, ზუსტად ორი წელი გავიდა – 2009 წლის 10 ნოემბერი კი გერმანიაში არავის ავიწყდება.

მაშინ, დეპრესიებით გატანჯულმა ცნობილმა მეკარემ სასტიკი სუიციდი განახორციელა – მატარებელს ჩაუვარდა და საფეხბურთო სამყარო შოკში ჩაადგო. ენკეს ფსიქიკური პრობლემების შესახებ ძალიან ცოტა ადამიანმა იცოდა – რობერტს ამ ყველაფრის შესახებ ღიად საუბარი ერიდებოდა, შინაგანი სისუსტის გამჟღავნების ეშინოდა.

ენკეს თვითმკვლელობამ ბევრი რამ შეცვალა. მას მერე რამდენიმე ფეხბურთელი ღიად ალაპარაკდა დეპრესიებზე და დროულად დაიწყო მკურნალობა. უახლოესი მაგალითი ისევ „ჰანოვერის" მეკარე **მარკუს მილერია**, რომელმაც დეპრესიის პირველივე სიმპტომების შემდეგ ექიმებს მიმართა, თვენახევრის მანძილზე იმკურნალა და ცოტა ხანში ჩვეულებრივ ყოველდღიურობას გამოჯანმრთელებული დაუბრუნდება.

გოტფრიდ ლენცი

რობერტ ენკეს სახელობის ქუჩა ჰანოვერში

● გერმანიის ნაკრები. უკრაინასთან მატჩის წინ

ჰუმელსი და კოლეგიალური ხუთთაბრძოლა

ლიოვი: ჩემი გუნდი დღეს გაცილებით უკეთაა შეთამაშებული, ვიდრე ორი წლის წინ

ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე შვიდი თვეა დარჩენილი და გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** გუშინწინ გამართულ პრესკონფერენციაზე მთელი გერმანიის გულისდასაამებელი განცხადება გააკეთა. *„გუნდი ძალიან კარგადაა შეთამაშებული,* - განაცხადა იოგიმ, - *გაცილებით უკეთ, ვიდრე ორი წლის წინ იყო.“*

თუმცა ზუსტად ისე, როგორც ორი წლის წინათ, ბუნდესგუნდში დღესაცაა პოზიცია, სადაც ჯერ კიდევ არაფერია გამოკვეთილი. რაც ყველაზე საინტერესოა, ეს ისევ დაცვის ცენტრს ეხება, სადაც ფავორიტი და შეუცვლელი დუეტი ისევ არ არის ნაპოვნი. გერმანიის ნაკრების დაცვის ცენტრში ორი თავისუფალი ადგილის დასაკავებლად ერთდროულად ხუთი ფეხბურთელი იბრძვის, რომელთაგან ერთი სავარაუდო, ოფიციალურად დაუდასტურებელი ფავორიტია – დორტმუნდის „ბორუსიას“ 22 წლის მცველ **მატს ჰუმელსს** ვგულისხმობთ. ეს უკანასკნელი ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად გაჩაღებულ ხუთთაბრძოლას მშვიდად უყურებს.



დიდი შანსია, რომ ევროპის ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრების დაცვის ბურჯი მატს ჰუმელსი იყოს

ამგვარი კონკურენცია თავის მხრივ კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ გერმანიის ნაკრების სამწვრთნელო შტაბს დიდი არჩევანი აქვს. ვინ უნდა დადგეს დაცვის ცენტრში სავარაუდო ფავორიტის, ჰუმელსის გვერდით - გამოცდილი, 27 წლის **პერ მერტეზაკერი**, რომელმაც ლონდონის „არსენალს“ მიაშურა, დღესდღეობით კარგ ფორმაში მყოფი **ჰოლგერ ბადშტუბერი** (22 წლის), „ბაიერნში“ მოძლიერებული **ჟერომ ბოატენგი** (23) თუ მრავალმხრივი, მაგრამ შედარებით არასტაბილური **ბენედიქტ ჰიოვედესი** (23)? თანაც, თავის მხრივ, ისინი ჰუმელსისთვის არა მარტო პოტენციური მეწყვილეები, არამედ კონკურენტებიც არიან, რადგან დორტმუნდელსაც არაფერი აქვს გარანტირებული.

თუკი ბუნდესგუნდის წინა ხუთ მატჩს გადავხედავთ, გარკვეული დასკვნების გაკეთება შეგვეძლება. ლიოვმა დაცვის ცენტრში მერტეზაკერი ხუთჯერ ათამაშა, ჰუმელსი კი ორჯერ. ჰიოვედესი და ბოატენგი უმეტესად მარჯვენა მცველებად გვევლინებოდნენ. თუკი შალკელს განსაკუთრებული პრეტენზიები არ აქვს და ამბობს, სადაც ლიოვი გამამწესებს, იქ ვითამაშებო, ბოატენგი გულახდილად აცხადებს, რომ ცენტრში თამაში ურჩევნია. ჟერომი ფიქრობს, რომ მოახლოებული ორი ტესტმატჩიდან, იოგი მას ერთში მარჯვენა ფლანგზე გაამწესებს, მეორეში კი ცენტრში მოსინჯავს. ბოატენგს ცენტრში თამაში კი ურჩევნია, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ ფლანგზე გაცილებით ცოტა კონკურენტი ჰყავს - მხოლოდ ჰიოვედესი და **კრისტიან ტრეში**.

ფაქტი ის არის, რომ 2010 წელს ლიოვს ძალიან დიდი დრო დასჭირდა იმისათვის, რომ დაცვის ცენტრის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება მიეღო. იოგიმ სულ ბოლოს, უშუალოდ მუნდიალის დაწყების წინ გადაწყვიტა, რომ ამ ძალიან საპასუხისმგებლო ორ პოზიციაზე მერტეზაკერისა და **არნე ფრიდრიხის** წყვილს მიენდობოდა. ჩვენი გერმანელი კოლეგების აზრით, დიდია იმის შანსი, რომ ამჯერადაც ასე მოხდეს. თავად ჰუმელსი ამ ყველაფერს მშვიდად უყურებს და პრეტენზიული განცხადებებით არ გამოირჩევა. მეტიც, დორტმუნდელი ამბობს, დაცვაში კონკურენცია კოლეგიალური და თითქმის მეგობრულიაო.

არადა, მატს ჰუმელსი გერმანიაში ყველას ბუნდესგუნდის დაცვის ბურჯობის მთავარ კანდიდატად მიაჩნია, რადგან დორტმუნდელმა წინა სეზონი უმაღლეს დონეზე ჩაატარა, გერმანიის ჩემპიონი გახდა, მერე ჩემპიონთა ლიგის ჰაერიც ჩაისუნთქა და ყველაფერთან ერთად, გერმანიის ნაკრებსაც გაუშინაურდა. თვითონვე ამბობს, 2011 წელი ჩემს ჯერ კიდევ ახალგაზრდა კარიერაში საუკეთესო იყოო.

მიიღებს თუ არა დღეს, უკრაინასთან ამხანაგურ მატჩშიც შესაძლებლობების გამოვლენის მორიგ შანსს, ეს ჰუმელსმა ჯერ თვითონაც არ იცის. ჩვენი გერმანელი კოლეგები კი ამტკიცებენ, ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ უკრაინასთან დაცვის ცენტრში ჰუმელსისა და ბადშტუბერის ტანდემს ვიხილავთო. ასეთ შემთხვევაში, ევროპის ჩემპიონატის მასპინძლის წინააღმდეგ ჰიოვედესი მარჯვენა ფლანგზე უნდა ვიხილოთ, ბოატენგს და მერტეზაკერს კი ლიოვი ოთხი დღის შემდეგ, ჰოლანდიასთან გამოცდის.

„იმედი მაქვს, რომ ვითამაშებ და უკრაინის ნაკრებში ანდრეი შევჩენკოს ვიხილავ. მის წინააღმდეგ თამაში ჩემთვის განსაკუთრებული მოვლენა იქნება, რადგან ბავშვობაში შევჩენკოს ფანი ვიყავი,“ - ჰუმელსს კინაღამ ოფიციალურად წამოსცდა ისიც, რომ დღეს უკვე 35 წლის **შევჩენკოს** გარდა, ბავშვობაში „მილანის“ ქომაგიც იყო...

● პროტესტი

თომას მიულერი, მისი მეუღლე ლიზა და ლაბრადორი მიკი

მიროსლავ კლოზე და მისი დოგი „ალია“

გერმანიის პროტესტი უკრაინას

უკრაინაში ევროპის ჩემპიონატისთვის მაწანწალა ძაღლებს სასტიკად ხოცავენ

რამდენიმე თვეა, რაც უკრაინაში მაწანწალა ძაღლების სასტიკად გაჟლეტის პროცესი დაიწყო – ათასობით ქუჩის ძაღლი მონამლეს, დახვრიტეს და დაწვეს. ეს ყველაფერი კი მხოლოდ იმისთვის კეთდება, რომ ევროპის ჩემპიონატის მასპინძელი უკრაინა ამ დიდ საფეხბურთო ზეიმს სათანადოდ მომზადებული შეხვდეს და უნაკლო მასპინძლის სახელი დაიმკვიდროს. მას მერე, რაც ეს ინფორმაცია გერმანიაშიც გავრცელდა, გერმანიის ნაკრების ფეხბურთელებმა ამ ამაზრზენ ფაქტს პროტესტი გამოუცხადეს. შეგახსენებთ, რომ დღეს კიევში უკრაინისა და გერმანიის ნაკრებ გუნდებს შორის ამხანაგური შეხვედრა გაიმართება.

მიროსლავ კლოზე, რომელიც ამ შეხვედრას ტრავმის გამო დააკლდება და რომელსაც დოგი „ალია“ ჰყავს, ამბობს: *„თუ ეს საშინელება სიმართლეს შეესაბამება და ეჭვი მაქვს, რომ ასეცაა, მე, როგორც ცხოველების მოყვარულს და უსაყვარლესი ძაღლის მფლობელს, მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია: ეს კატასტროფაა! მირჩევნია, ევროპის ჩემპიონატის დროს მასპინძელი ქვეყნის ქალაქების ქუჩებში უპატრონო ძაღლები დაწანწალებდნენ, ვიდრე მათი ასე უმონყალოდ და სასტიკად დახოცვის შესახებ ვიცოდე. დანრმუნებული ვარ, რომ ამაში ყველა ნორმალური ადამიანი დამეთანხმება.“*

ლუკას პოდოლსკი (26 წლის, ჰყავს ლაბრადორი): *„დაუჯერებელია! მიჭირს იმის გაცნობიერება, რომ ადამიანებს ასეთი სისასტიკის ჩადენა შეუძლიათ. ნუთუ უკრაინაში არავის უჩნდება პროტესტის განცდა?“*

ცხოველების დაცვის ორგანიზაცია „პეტამ“ უკვე დაიწყო ბრძოლა. ეს ამბავი მთელ ევროპას მოედო. მაწანწალა ძაღლების მასობრივი ხოცვაჟლეტა მხოლოდ იმ ქალაქებშია გააქტიურებული, სადაც ევრო 2012-ის თამაშები უნდა გაიმართოს – კიევში, დონეცკში, ლვოვსა და ხარკოვში. *„ჩემი თვალით ვნახე სისხლიანი ქუჩები! ვერ წარმოიდგენთ, ბოლო დროს იქ რა ხდება. მიხარია, რომ გერმანიის ნაკრების ფეხბურთელებმა პროტესტი გამოხატეს,“* - აცხადებს „პეტას“ მდივანი **ანდრეა მიულერი**.

ამ ამბავზე კომენტარი გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა **თეო ცვანციგერმაც** გააკეთა. მისი თქმით, გერმანიის საფეხბურთო კავშირმა უკვე მიმართა უეფას. *„ჩვენ ამ ამბავს ძალიან სერიოზულად მოვეკიდეთ და უეფას უკვე არაერთხელ ვთხოვეთ ამაზე რეაგირება,“* - აცხადებს ცვანციგერი.

„უკრაინაზე დღემდე მხოლოდ კარგი მსმენია, ახლა კი ვიგებ, რომ იქ ადამიანები ცხოველებს სასტიკად უსწორდებიან. იმედია, რომ ეს საშინელება მალე შეწყდება. ძალიან არ მინდოდა, რომ უკრაინაზე შთაბეჭდილება წამხდომოდა, მაგრამ უკვე წამიხდა,“ - ეს კი **თომას მიულერის** სიტყვებია.

● ვერდერი

ვიზე უნდა გაიყიდოს?

ალოფსი: ნებისმიერს გავყიდი პისაროს გარდა

მიუხედავად იმისა, რომ „ვერდერი“ 2010/2011 წლების სეზონს 8.2 მილიონი ევროს ოდენობის სუფთა მოგებით ამთავრებს, ბრემენული კლუბის ხელმძღვანელების განცხადებით, ისინი მაინც იძულებულები არიან, რომ ფული დაზოგონ. „ვერდერის“ ფინანსური დირექტორის, **კლაუს ფილბრის** თქმით, ეს იმის ბრალია, რომ გუნდი ადრე ჩემპიონთა ლიგაში რეგულარულად თამაშობდა, რასაც „ვერდერისთვის“ ყოველწლიურად მინიმუმ 25 მილიონი ევრო მოჰქონდა, ახლა კი ევროპის ელიტარული საკლუბო ლიგის მიღმაა დარჩენილი – ეს იმ დროს, როცა სახელფასო ფონდი პროპორციულად არ შემცირებულა. ფულის დაზოგვის ერთადერთი გზა კი ამ შემთხვევაში ერთი ან რამდენიმე ფეხბურთელის გაყიდვაა.

„საკმაოდ ბევრი ფეხბურთელი გვყავს და რამდენიმე მათგანის გასხვისებაზე მართლაც ვფიქრობთ. თუ ვინმე უკმაყოფილოა, ახლავე მოვიდეს ჩემთან და ტრანსფერზე სიამოვნებით დავაყენებ. ერთადერთი ფეხბურთელი, რომელსაც ეს არ ეხება, კლაუდიო პისაროა, რომელსაც არაფრისდიდებით არ გავყიდი,“ - აცხადებს „ვერდერის“ სპორტული დირექტორი **კლაუს ალოფსი**.

ჩვენი გერმანელი კოლეგების აზრით, გაყიდვის უპირველესი კანდიდატი მეკარე **ტიმ ვიზეა** და მასთან ერთად, იანვარში ბრემენული კლუბი შესაძლოა, **ვესლიმ** და **სანდრო ვაგნერმაც** დატოვონ. ვიზეს „მუსიკოსებთან“ კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება და თუ მას მსურველი გამოუჩნდება, ალოფსი ტიმს იანვარში უპრობლემოდ შეელევა. სხვათა შორის, წინა ზამთარში „ვერდერმა“ სწორედ ასე გაყიდა პორტუგალიელი თავდამსხმელი **უგო ალმეიდაც**.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ამბები

პასუხი შეკითხვებზე

ჰოლანდიური პრესა ეს დღეები აღფრთოვანებული წერს **ბერტ ვან მაარვიკის** მიერ ფეხბურთის ფედერაციასთან თანამშრომლობის შესაძლო ოთხი წლით გახანგრძლივებაზე. ჟურნალისტებმა მოახერხეს მასთან დაკავშირება. გთავაზობთ მის კომენტარს: *"ამ წუთას მოლაპარაკებები ჩვენთვის სასურველ მიმართულებით მიდის. ჯერჯერობით ხელშეკრულებაზე ხელის მოწერაზე ლაპარაკი ნაადრევია, მაგრამ იმედია, ყველა შეკითხვას პასუხი უახლოეს მომავალში გაეცემა".*

კანალ პლუსი უარზეა

ლიგა 1-ის ტრანსლაციების ძირითადი უფლების მფლობელი, ფრანგული "კანალ პლუსი" პროფესიული ფეხბურთის ლიგას კატეგორიულ უარს ეტყვის, თუკი ის, საფრანგეთის ნაკრების ინტერესებიდან გამომდინარე, ტრანსლაციების განრიგის შეცვლაზე წინადადებით მიმართავს. კომპანიას ეს უზარმაზარ ნაგებას მოუტანს. მსგავსი იდეა "სამფეროვანთა" დამრიგებელ **ლორან ბლანს** მოუვიდა. ჟურნალისტებს მან შესჩივლა კიდეც, ჩემპიონატი 20 მაისს მთავრდება, რაც ნაკრების ფეხბურთელებს პრაქტიკულად არ უტოვებს ევროპის ჩემპიონატამდე დასვენების საშუალებასო. *"გარწმუნებთ, ჩვენ გვესმის შექმნილი მდგომარეობის მთელი სირთულე, მაგრამ მატჩების შედარებით ადრე დანიშვნამ შეიძლება ლიგის მაყურებელთა რაოდენობა შეამციროს, რადგან თამაშები ნაკლებად საინტერესო გახდება, რაც ლოგიკურად აისახება ჩვენს კომპანიაზე,"* - განუცხადა "ეკიპს" "კანალ პლუსის" ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა **სირილ ლინეტმა**.

სასჯელი ერივის ილეთებისთვის

"ფეიენოორდის" 25 წლის თავდამსხმელი **გუიონ ფერნანდესი** უახლოესი 2,5 თვე ველარ ითამაშებს, მაგრამ, ტრავის გამო კი არა, იმიტომ, რომ ამხელა კაცს ჯერ ვერ უსწავლია, მოედანზე ფეხბურთის სათამაშოდ უნდა გავიდეს და არა საჩხუბრად და მუშტების უადგილო ადგილას საქნევად. მე-12 ტურში "ნაიმეგენის" (0:1) წინააღმდეგ მეტოქეს მან მუშტი ორჯერ უთავაზა. მსაჯმა **ტომ ვან ზიხემმა** ეს ეპიზოდი ვერ დაინახა, მაგრამ არაფერი გამოპარვიათ კამერებს. სადისციპლინო კომიტეტის ნევრებმა ფერნანდესს შარშან "ექსელსიორში" თამაშის დროს ჩადენილი ანალოგიური საქციელიც გაუხსენეს, როცა ასევე მუშტებით გაუმასპინძლდა ალკმაარელ მეტოქეს, რისთვისაც 3 მატჩით დასაჯეს. რახან ქმედება განმეორებითია, ამჯერად ფეხბურთელს 6 ტურის გამოტოვება მოუწევს. პირველი წრის დასრულებამდე კი სულ 5 ტურია დარჩენილი, რის შემდეგაც გუნდები საშობაო-საახალწლო შვებულებაში გადიან. ჩემპიონატი 22 იანვარს განახლდება. ერთ მატჩს ის მეორე წრეშიც გამოტოვებს. თამაშის უფლება ფერნანდესს მხოლოდ მე-19 ტურში მიეცემა "აიაქსთან" 29 იანვარს დანიშნულ საშინაო შეხვედრაში.

ლევან ბიგილაშვილი

● ევრო 2012 ჯლეი ოფების I მატჩების წინ

დღეს, 23:00

ბოსნია
პორტუგალია

ბოსნია (სავარაუდო): ჰასაგიჩი - ბეშიჩი, სპაჰიჩი, მრავაცი, იაჰიჩი - რაჰიმიჩი, მედუნიანინი - პიანიჩი, მიშიმოვიჩი, ლულიჩი - ჯეკო.

პორტუგალია (სავარაუდო): რუი პატრისიო - ჟ. პერეირა, ბრუნო ალვეში, პეპე, კოენტრაო - მარტინში, მეირელეში, მოუტინიო - ნანი, პოშტიგა, რონალდო.

დღეს, 23:05

თურქეთი
ხორვატია

თურქეთი (სავარაუდო): ვოლკანი - გონული, სერვეთი, ეგემენი, ჰაკან ბალთა - ჰამით ალთინტოპი, ს. შაჰინი, ინანი, ემრე, არდა თურანი - ბურაკი.

ხორვატია (სავარაუდო): პლეტიკოშა - ჩორლუკა, შიმუნიჩი, ვიდა, პამიჩი - სრნა, მოდრიჩი, ვუკოევიჩი, პერიშიჩი - ედუარდო, ოლიჩი.

საჰასუხო მატჩები 15 ნოემბერს

დღეს, 23:15

ჩეხეთი
ჩერნოგორია

ჩეხეთი (სავარაუდო): ჩეხი (ან დრობნი) - შივოკი, სელასიე, რ. ჰუბნიკი, კადლეცი - მატეიოვსკი, კოლარი - ჟირაჩეკი, როსიცკი, პლაშილი - ბაროშა.

ჩერნოგორია (სავარაუდო): მ. ბოჟოვიჩი - ზვეროტიჩი, ძუდოვიჩი, სავიჩი, ვ. ბოჟოვიჩი - პეკოვიჩი, კასელანი - ვუკჩევიჩი, იოვეტიჩი, ბოშკოვიჩი - ვუჩინიჩი.

დღეს, 23:45

ესტონეთი
ირლანდია

ესტონეთი (სავარაუდო): პარეიკო - იაგერი, ტენისტე, ბარენგრუბი, კლავანი - სტეპანოვი - ვუნკი, დმიტრიევი, პური, კინკი - აჰიუპერა.

ირლანდია (სავარაუდო): გივენი - კელი, დანი, სენტ ლედჯერი, უორდი - მაკგიდი, უელანი, ენდრიუზი, დაფი - კინი, უოლტერსი.

მთავარი კითხვა: იქნება ჩეხი?

ჯეკო VS რონალდო ზენიცაში

პეტრ ჩეხის ახალი ნიღაბი

დღეს ევროპაში ევრო 2012-ის შესარჩევი პლეი ოფის პირველი მატჩები გაიმართება. ბრძოლას შემორჩენილი 8 ნაკრები 4 საგზურისთვის ბრძოლას იწყებს.

თურქეთი და ხორვატია ერთმანეთს ბოლოს 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალში შეხვდნენ. მატჩი 1:1 დასრულდა, პენალტების სერიაში კი თურქებმა იყოჩაღეს. ბოლო ოთხი ევროპის ჩემპიონატიდან თურქებმა მხოლოდ ევრო 2004 ჩააგდეს, სადაც მონაწილეობა ვერ მიიღეს. მათი ფორვარდი **ბურაკ ილმაზი** ბრწყინვალე ფორმაშია, თურქულ სუპერლიგაში 13 გოლი აქვს გატანილი, სწორედ ბურაკმა გაიტანა გადამწყვეტი გოლი აზერბაიჯანის კარში, რომელმაც თურქებს პლეი ოფის საგზური მოუტანა. ხორვატია ორჯერ თამაშობდა პლეი ოფში და ორჯერვე იმარჯვა - უკრაინას ჯამში 3:1 მოუგო და 1998 წლის მუნდიალი დაიბევა, შემდეგ ძლივს მოუგო სლოვენიას და ევრო 2004-ზე გავიდა.

ჩეხეთ-ჩერნოგორიის დაპირისპირებაში მთავარი საკითხია, ითამაშებს თუ არა „ჩელსის" მეკარე **პეტრ ჩეხი**, რომელმაც პრემიერლიგაში ცხვირი გაიტეხა. ექიმებმა უკვე დაუმზადეს მას სპეციალური ნიღაბი, რომელშიც ჩეხი ერთობ საინტერესო სანახავი იქნება, ნიღაბი მისთვის ტრადიციულ ჩაფხუტს დაუმაგრდება. ასე რომ, თუ თამაშს შეძლებს, ჩეხი ყინულის ჰოკეის მეკარეს უფრო ემსგავსება, ვიდრე ფეხბურთელს.

მასპინძლებს დისკვალიფიცირებული ჰყავთ **ტომაშ ჰუბნიკი**, ასე რომ, სასტარტოში გზა მის ძმა **რომანს** გაეხსნა. **მარეკ მატეიოვსკი** კიდევ ერთ დისკვალიფიცირებულს, **ტომაშ ჰუბშმანს** შეცვლის. ჩერნოგორიას დაუბრუნდა **ბრანკო ბოშკოვიჩი**, მაგრამ **მარკო ბაშა** კვლავ ტრავმირებულია. ჩერნოგორია არასოდეს გასულა ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატებზე, თუმცა, აბა როდის მოასწრებდა, საერთაშორისო ასპარეზზე მხოლოდ 2007 წლიდან გამოდის.

ესტონეთსაც არასოდეს უთამაშია მსხვილი ტურნირის ფინალურ ეტაპზე. ახლა კი ისე ახლოა მიზანთან, როგორც არასდროს. **ტარმო რუუტლის** აკლია ტრავმირებული **სერგეი ზეიანოვი**. ირლანდიელთა ვარჯიში გამოტოვა **შეი გივენმა**, თუმცა გოლკიპერი დღეს ტრაპატონის გუნდის კარს მაინც დაიცავს. თითქმის გამორიცხულია ტრავმირებული **ჯონ ოშის** თამაში.

თქმა არ უნდა, ყველაზე ვარსკვლავური შემადგენლობა პორტუგალიას ჰყავს, თუმცა **კრიშტიანო რონალდოსა** და კამპანიას ბოსნიელთა ასევე კარგი ფეხბურთელები დაუპირისპირდებიან, პირველ რიგში კი **ედინ ჯეკო**.

ნიკოლოზ ნეფარიძე

● ევროვრეზენტაცია

ევროპას ევრო 2012-ის მაისურების წარდგენის ეპიდემიამ გადაუარა. ჯერი მსოფლიოს ჩემპიონ ესპანეთზე მიდგა. აი, ამ ფორმებით ითამაშებს „ლა რობა" პოლონეთ-უკრაინაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყვიის სროლა. ქველიაშვილის თასი

ბურნირი პრობლემებზე მსჯელობით დასრულდა

ნინო სალუქვაძის სახელობის ტირში დამთავრდა შოთა ქველიაშვილის თასის გათამაშება პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში

გუშინ ქართველების დღე იყო

გუშინ გოგონები ასპარეზობდნენ, სადაც სამივე საპრიზო ადგილი მასპინძლებს ერგოთ, აზერბაიჯანელები ამჯერად მედალოსანთა შორის ვერ მოხვდნენ. ჩემპიონი სალუქვაძის კლუბის წევრი **ანა გაგილაძე** გახდა 362 ქულით, ვერცხლი ქუთაისელ **მარიამ ჩაგანავას** ერგო, ბრინჯაო - გაგილაძის თანაკლუბელ **მარიამ ბლუაშვილს**. ჩაგანავამ და ბლუაშვილმა თანაბარი ქულა დააგროვეს 359 - 359, მაგრამ ბოლო სერიაში ქუთაისელმა ჩუბინმა უკეთესი შედეგი აჩვენა - 93 ქულა დააგროვა, ბლუაშვილმა კი 88 გაარტყა. ჩაგანავამ სწორედ ამ ოთხქულიანი ჰანდიკაპით გაათანაბრა ანგარიში და მეორე პრიზიორიც გახდა. 358 ქულით დაამთავრა გამოსვლა გოგონების ახალგაზრდული გუნდის ქუთაისელმა ლიდერმა **ნინო ფანჩულიძემ** და მეოთხეზე გავიდა. ამ ნაკრების კიდევ ერთი წევრი **თეონა იაშვილი** კი ამჯერად მეშვიდე იყო. შეგახსენებთ, რომ ფანჩულიძემ რამდენიმე ტურნირში 370-იან მიჯნას გადააბიჯა, მსოფლიოს ახალგაზრდულ პირველობაზე კი მეექვსეზე გავიდა.

ქველიაშვილის ტურნირში უცხოელთაგან მხოლოდ აზერბაიჯანელები მონაწილეობდნენ. ქალთა შორის ოქროს მედალიც მათ დარჩათ - მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონსა და ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსან **ირადა აშუმოვას**. სალუქვაძე მეორეზე გავიდა, მესამე კი აშუმოვას დისშვილი **ნიგიარ ბაგიროვა** იყო. ვაჟებშიც აზერბაიჯანელმა სტუმარმა იმარჯვა. შარშანდელმა ჩემპიონმა **რასულ მამედოვმა, ლევან ქადაგიძემ** ვერცხლი ირგუნა, ბრინჯაო - **დავით ახვლედიანმა**. ბიჭებში, გოგოების გუშინდელი შეჯიბრების არ იყოს, კვარცხლბეკი მთლიანად ქართველებმა შეავსეს - ოქრო თბილისელმა **ომარ სანოძემ** მოიპოვა, ვერცხლი - ქუთაისელმა **შოთა გირგვლიანმა**, ბრინჯაო - დედაქალაქელმა **გიორგი წანალაშვილმა**. მედალოსნები გუშინ დააჯილდოეს, შეჯიბრების დასრულების შემდეგ. მათ დიპლომები და მედლები გადაეცათ, მთავარი პრიზი, საკმაოდ დიდი და ლამაზი თასი კი აშუმოვამ ჩაიბარა, როგორც ქალთა ტურნირის გამარჯვებულმა. დაჯილდოებას არ ესწრებოდნენ მამედოვი და ბაგიროვა - ისინი სტუდენტები არიან და შეჯიბრების დამთავრებისთანავე ლექციებზე გაემგზავრნენ ბაქოში.



შეჯიბრების ორგანიზატორი (ცხადია, შესაბამის სამსახურებთან ერთად) და მასპინძელი ნინო სალუქვაძე კმაყოფილია ტურნირით: *„სპორტსმენებმა საზაფხულო შესვენების შემდეგ ვარჯიში სექტემბერში განაახლეს. თან ყველა სწავლობს, სტუდენტია, სასწავლო წელიც დაეწყოთ და ძნელია, ერთდროულად სწავლასაც მიხედო მაღალ დონეზე და - სპორტსაც. ამის მიუხედავად, ახალგაზრდების გამოსვლით, როგორც გოგონებში, ასევე ბიჭებში კმაყოფილი ვარ, დამაიმედებელი შედეგებია. რამდენიმეს მაჩვენებელი ისეთია, ნაკრებში მათ აყვანაზეც შეიძლება ვიფიქროთ, მაგალითად, სანოძე, გაგილაძე, ფანჩულიძე თუმცა დეკემბერში კიდევ გვექნება შეჯიბრება და ვნახოთ, როგორ გამოვლენ, იქაც შევამოწმებთ მათ და ნაკრები მხოლოდ ამის შემდეგ ჩამოყალიბდება. ფანჩულიძე ამჯერად მეოთხეზე გავიდა. ის სავარჯიშოდ თბილისში გადმოვიყვანეთ, იარაღი შეიცვალა და იყო ობიექტური მიზეზები, ოღონდ მათ შეკრებები თუ არ ჩაუტარეს, მხოლოდ აქ ვარჯიში არ უშველის საქმეს. დეკემბერში ვითხოვთ შეკრებას ერევანში და ვნახოთ, თუ დაგვიფინანსეს. როგორც იქნა, იქაურ ფედერაციაში დალაგდა სიტუაცია და დღესაც დამირეკეს, მოწვევას გამოგიგზავნით და ჩამოდითო“.*

უდესიანის იმედიანი დაპირებები ტყვიის სროლის ბედნიერი მომავლის ფონზე

სამწუხაროდ, სრულფასოვანი შეკრებები და სავარჯიშო ბაზა ჩვენი მსროლელებისთვის კვლავაც გადაუჭრელ პრობლემად რჩება. ამ მხრივ თავად სალუქვაძეს ხელი არ ეშლება, რასაც ვერ ვიტყვით სხვებზე. ამ თემებზე მსჯელობა ფედერაციის პრეზიდენტ **გია უდესიანთან** გაიმართა, რომელიც ტურნირის დახურვაზე მოვიდა. განსაკუთრებული ყურადღება ქუთაისელთა პრობლემებს დაეთმო, თუმცა მანამდე ჩვენ დავინტერესდით, რა მდგომარეობაა ბაზის მშენებლობის თვალსაზრისით, რომელიც ფედერაციისთვის ვარკეთილში გამოყოფილ ტერიტორიაზე აქამდეც უნდა დაწყებულიყო. უდესიანმა საკმაოდ ოპტიმისტური პასუხი გაგვცა: *„ჩვენი გაანგარიშებით, ეს ბაზა 2.5-3 მილიონი დოლარი დაჯდება. უკვე მოიძებნა სპონსორი, რომელიც ამ საქმეში ჩადებს ინვესტიციას, თუმცა ეს საჩუქარი იქნება ფედერაციისთვის და არა ინვესტიცია. ამ ბაზის წინასწარი, ეგრეთ წოდებული შავი პროექტი უკვე გაკეთებულია. ამისთვის ჩვენი სპეციალისტები ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ თამაზ იმნაიშვილთან ერთად ბაქოში მივავლინეთ და ნიმუშად იმათი ბაზის პროექტი ავიღეთ. უბრალოდ, მასში არქიტექტურულად შევიტანთ ცოტა ცვლილებას. ვვარაუდობთ, რომ გაისად, წლის ბოლოს, ეს ბაზა უკვე მზად უნდა იყოს“.*

უდესიანმა ძალზე ოპტიმისტური პასუხი კი გაგვცა, მაგრამ ბოლოს ისიც დაამატა, თუ ვერ მოხერხდა ბაზის აშენება, მაშინ პოსტიდან გადავდგებიო - ეტყობა, მაინც ხედავს რაღაც საშიშროებას, რომ შეიძლება, ეს იმედიანი ფრაზები არ გამართლდეს. ღმერთმანი, ნამდვილად გვირჩევნია მოვლენათა ისეთი განვითარება, მას ფედერაციის პრეზიდენტად დარჩენამ მოუწიოს და არა სიტყვის შესრულებამ, ანუ წასვლამ. მთავარია, სასტენდო და ტყვიის სროლაში ქვეყანამ გამართული სპორტული ინფრასტრუქტურა მიიღოს. კარგი იქნება, იმ სასროლეთის მშენებლობა თუ დაჩქარდება.

დაპირება ქუთაისელებს და არა მხოლოდ...

უდესიანთან ჩვენს საუბარს სპორტსმენები და მწვრთნელები დიდი ინტერესით უსმენდნენ. სწორედ მაშინ ნამოიჭრა ქუთაისელთა პრობლემებიც. იქაური სპორტის ხელმძღვანელმა, ახლო წარსულში ტყვიის მსროლელთა ნაკრების წევრმა, გუნდურში ევროპის ვიცე-ჩემპიონმა და რამდენიმე ოლიმპიადის მონაწილე **ნინო უჩაძემ** პრეზიდენტს იარაღით და ტყვია-წამლით მომარაგებაში დახმარება სთხოვა. მისი თქმით, პისტოლეტები ძალზე ცოტა აქვთ, ვარჯიშის მსურველთა რაოდენობა კი სულ უფრო იზრდება და ვერ აკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს. თუმცა ქუთაისელებს სასიამოვნო სიახლეც ჰქონიათ - დღე-დღეზე მათ სამსახურში ჩადგება ახალგარემონტებული დახურული ბაზა, სადაც 25-მეტრიანი ტირიც ექნებათ და - 10-იანიც. მართალია, ის მოცულობით პატარა იქნება, მაგრამ ამ პირობებში მათთვის ესეც დიდი შენაძენია. სწორედ ამ ბაზის გვერდით შენდება პარლამენტის შენობა და გაფართოება საეჭვო შეიძლება გახდეს, თორემ გვერდით მიწის ფართობი რეალურად არის.

უდესიანი მათ დაჰპირდა, რომ იარაღის შემოტანასთან დაკავშირებულ პრობლემებს მოუგვარებს. საზღვარზე იარაღის თუ საბრძოლო მასალის (იარაღთან ერთად, ამაში მასრები და ტყვია-წამალიც იგულისხმება) გადმოტანა ხომ მთელი პრობლემაა თავისი ტენდერებით და გაჭიანურებული პროცედურებით, ამისგან თავის დასაღწევად კი, უდესიანის თქმით, საგანგებო ფირმა შექმნილა, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე ფედერაციას ამ პროცედურებს თავიდან აცილებს. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ აჯობებს, კანონი გახდეს იმდენად მოქნილი, ეს ბარიერი თავისთავად მოისპოს. ბიუროკრატიული პროცედურები ქუთაისელებთან მიმართებაში სხვა მხრივაც წამოტივტივდა - თურმე იქ „დინამოს“ საკუთრებაში არსებული მეორე სასროლეთიც ყოფილა, დრო-უამისგან გაპარტახებული, რომელიც ზემოაღნიშნულ ახალგარემონტებულ დარბაზზე რამდენჯერმე დიდია, მაგრამ ისევ და ისევ უწყებრივი ბარიერების გამო მისი გარემონტება ვერ მოახერხეს და არჩევანი უფრო პატარაზე შეაჩერეს.

უდესიანს გუშინ დაპირებები მხოლოდ ქუთაისელებისთვის არ მიუცია. მისი თქმით, გაისად ბევრად მეტი შიდა ტურნირი ჩატარდება ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში, რაც სპორტსმენებს გაცილებით მეტ შანსს მისცემს. ამასთან, თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროებთან თანამშრომლობით, გაისად სკოლებშიც იგეგმება სექციების ჩამოყალიბება, რათა ბავშვებმა იარაღის მოხმარება ისწავლონ. ასეთი მიდგომა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია აპრობირებული, სადაც სროლის სახეობები პრიორიტეტულადაა მიჩნეული და არმიასთან, ქვეყნის თავდაცვასა და უშიშროებასთან ასოცირდება.

ირაკლი თავაძე

სამთო ველოსპორტი

მარცხნიდან: გიორგი ნადირაძე, ბესიკ გავაშელი, დიმიტრი ხოსიაური

გავაშელი - მესამედ!

საქართველოს ველოსპორტის ფედერაციამ ამ დღეებში სეზონის ბოლო ასპარეზობა ჩაატარა - თბილისის, აჭარისა და რუსთავის სპორტსმენთა მონაწილეობით. სამთო ველოსპორტში ორ ასაკობრივ ჯგუფში გამოვლინდნენ უძლიერესები.

სპორტის ამ სახეობაში შეჯიბრებები ტარდება არასტანდარტულ გზებსა და სამთო ბილიკებზე, სადაც მრბოლებს უხდებათ ბუნებრივი დაბრკოლებების დაძლევა.

ჭაბუკებისთვის საასპარეზოდ დიდი დიღომი შეირჩა. აქ საპატიო კვარცხლბეკის სამივე საფეხურზე თბილისელები ვიხილეთ. პირველობა წილად ხვდა **დიმიტრი ხოსიაურს,** მეორე იყო **ნიკა გოგიშვილი,** მესამე - **დავით ორგველაძე.**

უფროსი ასაკის მრბოლებისთვის რთული რელიეფი კუს ტბის მიდამოებში გამოინახა. აქ ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენები ჩაებნენ ჩემპიონობისთვის ბრძოლაში. პირველი წრის შემდეგ ინიციატივა ხელთ იგდო საქართველოს შარშანდელმა ჩემპიონმა **ბესიკ გავაშელმა** და საქართველოს ჩემპიონმა საგზატკეცილო ველოსპორტში **გიორგი ნადირაძემ**. დაძაბულ ბრძოლაში გამარჯვება მოიპოვა ბესიკ გავაშელმა და იგი მესამედ გახდა საქართველოს ჩემპიონი ამ დისციპლინაში. მეორე ადგილი წილად ხვდა გიორგი ნადირაძეს, მესამე - **დიმიტრი ხოსიაურს.**

გიორგი ბაბუხადია

სამბო. მსოფლიოს პირველობა

ვილნიუსში მსოფლიოს ჩემპიონობისთვის

დღეს ვილნიუსის „სიმენს არენაზე“ სამბისტთა მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება, რომელშიც საქართველოს ვაჟთა ნაკრები ასეთი შემადგენლობით გამოვა: **ავთანდილ ცინცაძე** (52), **უშანგი კუზანაშვილი** (57), **დავით სვიმონიშვილი** (62), **ლევან ნახუცრიშვილი** (68), **კახა მამულაშვილი** (74), **ნიკოლოზ კუცია** (82), **ლაშა გურული** (90), **ლომერ ჟორჟოლიანი** (100), **დავით ლორიაშვილი** (+100). სამი მონაწილე ქალთა შორისაც გვეყოლება: **შორენა შარაძე** (64), **ნინო ოძელაშვილი** (72), **ირინა ლეონიძე** (80).

დღეს ვაჟთაგან 52, 68 და 90 კილოგრამების წარმომადგენლები იჭიდავებენ, ქალებში - 48, 60, 72-ის. 12-ში ლეიბზე 57, 74 და 100 კილოგრამის მამაკაცებს და 52-64-80-ის ქალებს ვიხილავთ, დანარჩენები კი 13 ნოემბერს იასპარეზებენ. ფინალური ბლოკი პირველ ორ დღეს 17 საათზე დაიწყება, 13-ში - 16 საათზე.

ირაკლი თავაძე

ჭადრაკი

ნინოობა ელადაში

მედლის შანსი ისევ რჩება

ნინო ხურციძე

შვიდი შესაძლებლიდან 6,5 ქულა (!) - ასეთია **ნინო ხურციძის** მონაგარი ბერძნულ პორტო კარასში მიმდინარე მოჭადრაკეთა ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე. თბილისელი დიდოსტატი ერთადერთ ყაიმს სერბ ანჯელა სტოიანოვიჩთან დასჯერდა, ხოლო დანარჩენი მეტოქეები - გულნარ მამადოვა (აზერბაიჯანი), კატარზინა ტომა (პოლონეთი), ლილით გალოიანი (სომხეთი), ანა სრებრნიჩი (სლოვენია) და ემილია ჯინგაროვა (ბულგარეთი) დაამარცხა. გუშინ სწორედ ჯინგაროვას ძლევით მოუტანა მომგებიანი ქულა ჩვენს ნაკრებს, რომელმაც მე-8 ტურში ბულგარელებს 3:1 სძლია. **ნანა ძაგნიძე** და მსოფლიოს ექსჩემპიონი ანტოანეტა სტეფანოვა, ივა ვიდენოვა და **ლელა ჯავახიშვილი** დაზავდნენ. ადრიანა ნიკოლოვას და **სალომე მელიას** პარტიაში მე-40 სვლისთვის, ფაქტობრივად, თანაბარი პოზიცია იყო, მაგრამ ახალგაზრდა ბულგარელი მოჭადრაკე 45-ე და 46-ე სვლებზე ზედიზედ შეცდა და მელიამ 47-ე სვლაზე საათი გააჩერებინა.. ამდენად, საქართველოს ნაკრებმა 16 შესაძლებლიდან 12 ქულას მოუყარა თავი და მესამე-მეოთხე ადგილებს იყოფს. ამ მონაგარში გუნდის დანარჩენ წევრთა წვლილი ასეთია: ძაგნიძე-4 ქულა (შვიდი პარტიიდან), ჯავახიშვილი-4 (7), მელია-4 (6), პაიკიძე-1,5 (5).

ქალებში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურს მიუახლოვდა და ტიტულის შესანარჩუნებლად ცოტაღა აკლია რუსეთის ნაკრებს, რომელმაც გუშინ ფრანგ მოჭადრაკეებს მოუგო (**ნინო მაისურაძე** ტატიანა კოსინცევას დაუზავდა). მეწინავეთა დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: **პოლონეთი-ჩეხეთი 2,5:1,5, უკრაინა-უნგრეთი 3:1, სერბეთი-სომხეთი 1,5:2,5, სლოვენია-რუმინეთი 1:3, გერმანია-ხორვატია 2,5:1,5.** რვა ტურის შემდეგ მედლების მოპოვების შანსი, ფაქტობრივად, ექვს გუნდს შერჩა: რუსეთს-15 (22,5), პოლონეთს-13 (21), უკრაინას-12 (20,5), საქართველოს-12 (20), საფრანგეთს-10 (18), სომხეთს-10 (17).

ვაჟთა ტურნირში საქართველოს ნაკრები გუშინ ავსტრიელებს დაუპირისპირდა. მეტოქეები ოთხივე დაფაზე დაზავდნენ (2:2): **ბაადურ ჯობავა** - მარკუს რაგერი, **ლევან ფანცულაია** - სტეფან კინდერმანი, **მერაბ გაგუნაშვილი** - დავით შენგელია, **დავით ზარქუა** - რობერტ კრისლი.

>> მე-11 გვერდზე

ქართული სპორტი

● ხელბურთი

მარცხნიდან: დავით ნამგალაური, ჯემალ ცერცვაძე, გიორგი გოდაბრელიძე და ზურაბ კაკაბაძე

ქართულ ხელბურთში ახალი თავკაცი მოვიდა

საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი **ზაზა დოლიძე** ამას წინათ თანამდებობიდან საკუთარი ნებით გადადგა. საჭირო გახდა რიგგარეშე საარჩევნო ყრილობის მოწვევა, რომელიც გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში გაიმართა. არჩევნებში, რომელსაც სპორტის მინისტრის მოადგილე **დავით ნამგალაური** და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **გია ნაცვლიშვილიც** ესწრებოდნენ, 16-მა დელეგატმა ახალი პრეზიდენტობის ერთადერთ კანდიდატ **გიორგი გოდაბრელიძეს** ერთხმად დაუჭირა მხარი. ყრილობაზე სამი ვიცე-პრეზიდენტიც აირჩიეს: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან **ვახტანგ მეიფარიანი,** სახელბურთო გუნდ „ბათუმიდან“ **გიორგი კირთაძე** და აგრარული უნივერსიტეტიდან **ირაკლი კენჭაძე**. ერთი წლის შემდეგ ფედერაცია საანგარიშო-საარჩევნო ყრილობაზე ფედერაციისა და აღმასკომის წევრებს ხელახლა აირჩევს.

ქართველ ხელბურთელთა ახალმა თავკაცმა დელეგატებსა და სპორტის მესვეურებს მადლობა გადაუხადა მხარდაჭერისთვის. აღნიშნა, რომ ორგანიზაციის პრიორიტეტი ბავშვთა ხელბურთი იქნება, აქედანვე მოემზადებიან 2012 წლის პლაჟის ხელბურთის ევროპის ჩემპიონატის ბათუმში სამასპინძლოდ. ითქვა ისიც, რომ გამორიცხული არ არის, 2013 წელს საქართველოში ხელბურთელთა მსოფლიოს ან ევროპის უნივერსიადა გაიმართოს, ხელს შეუწყობენ სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციას ტელევიზიის მეშვეობით.

დავით ნამგალაური: *„ქართულ ხელბურთს სასახელო ტრადიციები გააჩნია და მათი აღორძინება აუცილებელია. სპორტის სამინისტრომ პრიორიტეტად სათამაშო სახეობების განვითარება დაისახა. ახლა ხელბურთის ჯერი დადგა. გიორგი გოდაბრელიძე ნიჭიერი, საქმის მცოდნე პიროვნებაა და გვწამს, რომ ხელბურთში არსებული პრობლემების დაძლევას შეძლებს. მნიშვნელოვანია, რომ 2015 წლის ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალის პროგრამაში ხელბურთიცაა შეტანილი. ამ კომპლექსურ ღონისძიებას, მოგეხსენებათ, თბილისი უმასპინძლებს. მეტოქეებს კონკურენტუნარიანი გუნდით უნდა დავხვდეთ, საამისოდ კი აქედანვე უნდა ვემზადოთ“.*

ვაჟა დანელია

● ჭადრაკი

« მე-10 გვერდიდან

მე-8 ტურში ერთგვარად მოულოდნელი იყო ევროპის ჩემპიონ აზერბაიჯანელთა მარცხი გერმანელებთან 1,5:2,5. ეს წაგება ჩვენს მეზობლებს, შესაძლოა, ტიტულის დაკარგვადაც დაუჯდეთ. გათამაშების ცხრილის პირველ საფეხურზე გადაინაცვლა სომხეთის ნაკრებმა, რომელმაც ჰოლანდიას აჯობა 3:1, რუმინელებმა და უნგრელებმა მშვიდობიან ზავს მოაწერეს ხელი 2:2. **ბულგარეთი-იტალია 2,5:1,5, რუსეთი-საფრანგეთი 2,5:1,5, ჩეხეთი-სერბეთი 2,5:1,5, პოლონეთი-საბერძნეთი 2:2** შეჯიბრების დამთავრებამდე ტურით ადრე: სომხეთი-13 (21), გერმანია- 13 (20), აზერბაიჯანი-12 (20),ბულგარეთი-12 (18,5), უნგრეთი-11 (19), რუმინეთი-11 (19), რუსეთი-11 (18,5). საქართველო 8 (19) ქულით მეთვრამეტეა.

დღეს ბოლო ტურში ლიდერები ასე დაწყვილდნენ: **ქალები.** რუსეთი-ავსტრია, სომხეთი-პოლონეთი, საფრანგეთი-უკრაინა, **რუმინეთი-საქართველო,** ისრაელი-გერმანია, ჩეხეთი-ბულგარეთი. **ვაჟები.** გერმანია-სომხეთი, აზერბაიჯანი-რუმინეთი, უნგრეთი-ბულგარეთი, სლოვენია-რუსეთი, ჰოლანდია-ჩეხეთი, **საქართველო-შვედეთი.**

ვაჟა დანელია

სალომე მელია

FM 107,9

ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის“ (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ“ დონ ედოსთან ერთად.

გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო“.

თვვგადასავლები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეატრისა და კინოს მსახიობი სოსო ლაღიძე

გადმოლაგდით...

დღე და თარიღი ზუსტად არ მახსოვს. ის დროა, როცა „დინამო“ დიდების ზენიტში იყო და სტადიონზე შესასვლელი ბილეთები სანთლით საძებნელი. დილიდან სტადიონის კარები ღია იყო. საზეიმო განწყობა მთელ ქალაქში იგრძნობოდა, სტადიონზე ორკესტრი გუგუნებდა. ჩვენ, მაშინდელი თინეიჯერები „დაუბრკოლებლად“ შევდიოდით ტერიტორიაზე და ნინასწარშეგულებულ „კონსპირაციულ“ ორმოებში ვიმალებოდით.

3 საათიდან სტადიონის ჭიშკარი იკეტებოდა და უბილეთოდ ტერიტორიაზე ძეხორციელი ვერ შეაღწევდა.

ჩვენ კი ვიმალებოდით, მაგრამ არც ცხენოსანი მილიცია იყო გულხელდაკრეფილი. გულმოდგინედ ჩხრეკდნენ ტერიტორიის ყოველ კუთხე-კუნჭულს.

იმ დღეს თბილისში ინდოელი ფეხბურთელები იყვნენ ჩამოსული ჩვენებთან სათამაშოდ. საოცარი სანახაობა იყო, რადგანაც ინდოელები... ფეხშიშვლები თამაშობდნენ. მატჩის დაწყებას რომ 10-15 წუთი აკლდა, ცხენოსანმა მილიციამ „აღმოგვაჩინა“ ერთ-ერთ სამალავში. დაგვალეს ხელი და შეგვრეკეს პატიმრებისთვის განკუთვნილ „ჩორნი ვორონაში“. შეგვრეკეს და მანქანაც დაიძრა გაურკვეველი მიმართულებით.

- ნამდვილად გაგვასამართლებენ! - გადამიჩურჩულა ჩემთან ერთად „დაპატიმრებულმა“ მეგობარმა.

- აბა... აბა, - დაემოწმა მეორეც - სახლში მაინც იცოდნენ.

ამ კაეშანში ვართ და მანქანაც გაჩერდა.

- გადმოლაგდით! - გვეუბნება ფორმიანი მილიციელი - ბადრაგი.

ჩამოვლაგდით თუ არა, მანქანა დაიძრა და... ჩვენ დავრჩით.

მივიხედ-მოვიხედეთ და სიხარულის ყიჟინა აღმოგვხდა:

- ვაა, ეს ხომ თბილისის ზღვაა!

გამოვენთეთ და რა გამოვენთეთ უკან, თავდაღმართში მოკლე გზებით და ბილიკებით. მეორე ტაიმს მოვუსწარით სტადიონზე. „აბლავა“ მოხსნილი იყო და არხეინად წამოვსკუპდით ხუთიენი თამაშის საყურებლად.

არ ითვლება, ტავარიშჩ სუდია!!!

რუსთაველის თეატრში, თითქმის საგანგებოდო, უმეტესობა (მამაკაცები) სპორტის ოსტატების დონეზე თამაშობდა ფეხბურთს. შევადგინეთ შესანიშნავი ფეხბურთის გუნდი, რომელშიც შედიოდნენ: ავთო მახარაძე, ვანო გოგიტიძე, გია ფერაძე, დათო კვირცხალია, ჯემალ ღაღანიძე... სხვებსაც თხრობის დროს გავიხსენებ.

გასაოცარი იყო ჩემი და გია ფერაძის სწორუპოვარი ტანდემი. ტრაბახში თუ არ ჩამომართმევთ, ვიტყვი, რომ ჩვენი თითქმის ყველა კოლეგა მოწინააღმდეგეს ეშინოდა. რა დასამალია და სიყვარულით მე რიველინოს მეძახდნენ, ცხონებულ გია ფერაძეს - კრუიფს.

ჰოოო და�ა, ასეთი უძლიერესი შემადგენლობით გავემგზავრეთ საგასტროლოდ ბათუმში. გასტროლები - გასტროლებად, მაგრამ ჩვენ ეს კეკლუცი ქალაქი ფეხბურთის კუთხითაც გვიზიდავდა, რადგანაც მაშინდელ ბათუმის თეატრსაც შესანიშნავი ფეხბურთის გუნდი ჰყავდა და ძალს ისინი იყვნენ, ძალს ჩვენ. აქედან გამომდინარე მატჩისადმი ინტერესიც დიდი იყო. მსახიობები ხომ იყვნენ და იყვნენ იარუსებზე, მაგრამ არც რიგითი ბათუმელები აკლდნენ ჩვენი შეხვედრების დროს სტადიონს.

იმ დღეს და იმ მატჩში - ქვემოთ რომ უნდა მოგახსენოთ - ბათუმელები რატომღაც ძალიან უღიმღამოდ და დაბნეულად თამაშობდნ,ნ (ხდება ხოლმე). პირველი ტაიმი რომ დასრულდა, 4:0-ს ვი;ებდით. დაიწყო მეორე ტაიმი და ისევ ვეკვეთეთ მთელი მონდომებით ბათუმელ კოლეგებს. მე და გიამ, ახლა როგორც იტყვიან, შანსი არ დავუტოვეთ იმათ მეკარეს. თამაშის დამთავრეპას 10-15 წუთი უკლია, 7:0-ს ვიგებთ. მატჩმა რომ ინ.ტერესი დაკარგა ჩვენც დაგვეტყო და მაყურებელსაც. წაგვიხდა ხასიათი. რაღაცა უნდა მოვიფიქროთ. არ გვინდა ბათუმელი მაყურებელი გაწბილებული წავიდეს სტადიონიდან და... ამ დროს გონება გამინათდა, მივიღე თუ არა ბურთი, გავიჭერი წინ, მოვატყუე რამდენიმე ბათუმელი ფეხბურთელი, გავიჭერი ბურთით გიასკენ, გიამაც ელვის სისწრაფით გამიყვანა ხელსაყრელ პოზიციაზე. მერვე გოლი გარდაუვალია და გამახსენდა ფეხბურთის რაინდი ბორის პაიჭაძე... შემოვბრუნდი ჩვენი ნახევრისკენ „მოვატყუე“ რამდენიმე ჩვენი ფეხბურთელი, დავარტყი და... ბურთი ჩვენს კარებში გავიტანე - 7:1.

მოულოდნელობისგან მთელი სტადიონი გაოცდა და გაიტრუნა. სწორედ ამ სიჩუმეში გაისმა ჩვენი მსახიობის - ზეიკო ბოცვაძის ხმა ტრიბუნებიდან:

- არ ითვლება! არ ითვლება, ტავარიშჩ სუდია, სოსოს მხარი მოექცა, მხარიიი!

ამის თქმა და მთელი სტადიონი ახარხარდა.

ასე მაჟორულ ნოტზე დამთავრდა ის დაუვიწყარი მატჩი ჩვენს ბათუმელ კოლეგებთან...

დარტყმა! - არ არის!

რა შეედრებოდა ფეხბურთის მატჩის დროს ორი უშესანიშნავესი მსახიობის და პიროვნების ხილვას, როგორებიც იყვნენ იპოლიტე ხვიჩია და ეროსი მანჯგალაძე. ეროსი ხომ ფეხბურთის „ჩამწვარი“ მოყვარული იყო და არცთუ ურიგოდ თამაშობდა.

როდესაც სტადიონზე ეროსი და იპოლიტე გამოჩნდებოდნენ, მაყურებელი სულ ივიწყებდა, რისთვის იყო მოსული. ფეხბურთის მატჩი მხიარულ კომედიად გადაიქცეოდა ხოლმე და თამამად შეიძლება ითქვას, რომ (ფეხბურთის) სანახავად მოსული ფანები ერთბაშად თეატრალური, მხიარული წარმოდგენის მოწმე ხდებოდა. უფრო გასაგებად რომ ვთქვა, ეს იყო სპორტულ-თეატრალური სანახაობა, რაც მერე „შოუდ“ მონათლეს მომავალმა თაობებმა.

იმ ბედნიერ დღეს ქუთაისში ვეთამაშებით იქაური თეატრის სახელგანთქმულ გუნდს. მაშინ ჩვენი შეხვედრები მოედანზე ისეთივე ინტერესს ინვევდა, როგორსაც „არარატი“,-დინამოს“ შერკინება.

ქუთაისელებს „კედლები“ ეხმარებათ. მოგეხსენებათ ქუთათური ფანების თავგამოდებული მხარდაჭერა: „მიდი, ბიჭო, ხიე კარებში, ვინ კითხავს სუდიას, აგერ ვარ მეეე!“

მოკლედ, მაგარი მატჩი გამოდგა. თამაში მთავრდება და ფრეა - 4:4. დარჩენილ ორ წუთში მთელი ძალებით გადავედით გადამწყვეტ შეტევაზე. როგორც იტყვიან, ქუთაისელთა კართან „ქარიშხალი“ დავატრიალეთ, საქმე პენალტამდეც მივიდა ჩვენს სასარგებლოდ. ასეთ გადამწყვეტ მომენტში დარტყმას ყველა მოერიდა. ისევ ეროსიმ ივაუკაცა - მე დავარტყამო და ჩვენც სიამოვნებით დავთანხმდით.

დადო ეროსიმ ბურთი პენალტის ნიშნულზე. მსაჯმაც მისცა ნება და...

ეროსი „რაზგონის“ ასაღებად განეწყო. მობრუნდა და მოდის ჩვენი კარის მიმართულებით. ერთი ნაბიჯი, ორი, სამი, ოთხი... ხუთი, ექვსი, რვა... ათი...

- კაცო, - გადამიჩურჩულა ჩემმა თანაგუნდელმა - რას შვრება ეს კაცი... სად მიდის?.. ხომ არ დაავიწყდა პენალტი რომ აქვს დასარტყმელი?!

არა... ეროსი ისევ მიდის... აჰა... ოცდაოთხი ნაბიჯი გადადგა და მოულოდნელად შემობრუნდა ბურთისკენ. შემობრუნებასაც გააჩნია, ისეთი ჟინით გამოენთო ბურთისკენ, რომ ქუთაისელთა მეკარეს კინაღამ ნინასნარ გაუსკდა გული. ჯერ სად ხარ?! კაცმა არ იცის, რატომ და გზადაგზა რაღაც სასწაულად დაიგრიხა, აბანცალდა (ტრიუკებს ატარებს), ალბათ მეკარე რომ დააბნიოს და დათრგუნოს.

ამ ხვანცალ-ხვანცალში მიაღწია ბურთამდე, დაარტყა და რა დაარტყაააა! ფეხიდან გატყორცნილი ბურთი პირდაპირ კუთხურის ალმისკენ გაფრინდა. კუთხურის ალამთან მდგარ ფოტოკორესპონდენტს ოდნავ ასცდა. სასტვენი... მატჩი 4:4 დამთავრდა მაინც. „პაბედილა დრუჟბა“.

ეროსის თავი არ აუწევია ისე დავტოვეთ მოედანი. არც ხმა ამოუღია, მაგრამ რომ ჩავიცვით და გამოვედით ქუჩაში მხოლოდ მაშინ ამოიღო ხმა:

- არა, სოსო, არა... მე ამის შემდეგ ფეხბურთელს როგორ გავამტყუნებ! რა ვქენი, კაცო, ეს, ა?!

მას შემდეგ სტადიონზე სათამაშოდ აღარც გამოსულა. მხოლოდ კომენტატორობით იოკებდა ფეხბურთისადმი მიდრეკილ ჟინს და ხვაშიადს.

სამთა თათბირი.
შუაში სოსო ლაღიძე

რა დროს სპექტაკლია!

ქუთაისში, თბილისის „დინამო“ ქუთაისის „ტორპედოს“ ეთამაშება. მატჩისადმი ინტერესი უსაზღვროა. იპოლიტე ხვიჩია მაშინ ქუთაისის თეატრში მოღვაწეობდა და მაინცდამაინც იმ დღეს აქვს სპექტაკლი დღის 12.00 საათზე. თამაში 2.00 საათზე იწყება. რა ქნას ახლა იპომ? თეატრის ადმინისტრაციას ვერ გაანაწყენებს, არადა ფეხბურთს რომ არ დაესწროს, ხომ წავწყდით.

იპოლიტე რის იპოლიტე იყო, რაიმე ვერ მოეფიქრებინა. მოიფიქრა კიდევაც და მთელ დასს უთხრა - ჩქარა ვითამაშოთ რაც შეიძლება, იქნებ მოვასწროთო. ყველამ მხარი დაუჭირა და მიდის სპექტაკლი უჩქარეს ტემპში (მუნჯურ, ძველ კინოებში როა, ისე).

ერთი სტაჟიორი მსახიობი ჰყავდათ რ-აძე, რომელსაც წარმოდგენის ბოლოს ორადორი სიტყვა უნდა ეთქვა სცენაზე შემოვარდნილს: „გახვალ, თუ გაგიყვანო“! იმ სტაჟიორმა თავისი შემოსვლის ზუსტი დრო იცოდა და მანამდე თავისი საქმეებით იყო გართული (ხოლმე!).

აი, დადგა რ-ძე-ს შემოსვლის დროც და შემოვარდა კიდევაც ფრაზით: „გახვალ, თუ - გაგიყვანო“! და რას ხედავს... მუშები უკვე დეკორაციებს შლიან. იპო კი გაფაციცებით ეძებდა თავის სკამს სტადიონზე, ხუმრობა ხომ არ იყო: „დინამო“ - „ტორპედო!..“

ვისაც „ბურთი და მოედანი“ (კ/ფ) უნახავს იპოლიტეს ეს საქციელი არ გაუკვირდება.

ჰოდა, ნურც თქვენ გაგიკვირდებათ ამ მოგონებებსაც თუ აქ დავამთავრებთ:

სოსო ლაღიძე - მურმან მერკვილიშვილი - 1:1...

კალათბურთი

ქართველები ევროლიგაზე

„ლელოს“ გუშინდელ ნომერში მოგითხრეთ, როგორ მოაგებინეს ქართველებმა „კანტუს“ ევროლიგაზე პირეოსის „ოლიმპიაკოსთან“. დღეს მოგახსენებთ, რა გამოხმაურება მოჰყვა **გიორგი შერმადინისა** და **მანუჩარ მარკოიშვილის** გუნდის გამარჯვებას. რეზონანსი მართლაც დიდი იყო, შერმადინის გვარი არაერთი იტალიური სპორტული გამოცემის სათაურში მოხვდა, მიმოხილვას ყველა ქართული გვარით იწყებდა, ისე როგორც **კარლო პეროტი** გაზეთ „ვორდპრესში“:

„გიორგი შერმადინმა (8 ქულა, 4 მოხსნა, 2 დაფარება) „კანტუს“ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოაპოვებინა და ევროლიგის ტოპ-16-ში მოსახვედრად დიდი ნაბიჯი გადადგა. „პანათინაიკოსიდან“ გადმოსულმა ქართულმა „ფლამინგომ“ საფინალო საყვირამდე 7 წამით ერთი ჯარიმა ჩააგდო და „კანტუ“ 64:63 დააწინაურა. გიორგიმ მეორე საჯარიმო ააცილა, ბურთი ოლიმპიაკოსელმა **კაილ ჰაინსმა** მოხსნა და იტალიელთა კალათისკენ ხარივით გახელებული გაქანდა, თუმცა დიდი G (გიორგი - ვ.ს.) ტორეადორივით დააცხრა და ეფექტური დაფარებით დარბაზში შეკრებილ გულშემატკივარს დიდი სიხარული მიანიჭა.“

დიდი G

შერმადინი: ვერ წარმოიდგენთ, რაოდენ რთულია გადამწყვეტ მომენტში საჯარიმოს ხაზზე დადგომა

გადამწყვეტი ეპიზოდის გახსენება ვთხოვეთ გიორგი შერმადინს, რომელსაც გუშინ იტალიაში დავუკავშირდით.

- ვერ წარმოიდგენთ, რამდენად რთულია საჯარიმოს ხაზზე დადგომა მატჩის დასრულებამდე წამებით ადრე. თან, თანაბარ ანგარიშზე, საშინაო მატჩში, სავსე ტრიბუნების წინაშე. თუმცა, წამიერად ყველა წინააღმდეგობა დავძლიე და პირველი ტყორცნის შემდეგ ბურთი კალათში ჩაეშვა...

თუმცა ეს გამარჯვებას არ ნიშნავდა, რადგან „ოლიმპიაკოსს“ შეტევისთვის 7 წამი რჩებოდა.

- მეორე ტყორცნა რომ ავაცილე, ჰაინსი თვალის დახამხამებაში გადავიდა ჩვენს ნახევარზე, მეც გავეკიდე, მეგონა თანაგუნდელს პასს მისცემდა, მაგრამ თავად სცადა გამარჯვების ბურთის ჩაგდება. საბედნიეროდ, იმ მომენტში მე და მარკოიშვილი საჭირო ადგილას აღმოვჩნდით და „ოლიმპიაკოსს“ მოგება არ დავანებეთ, - ეს ეპიზოდი გიორგი შერმადინის „ტკბილ მოგონებებში“ სამუდამოდ დაიდებს ადგილს.

გაყინული ოლიმპიაკოსი

ახლა იტალიური პრესა გადავფურცლოთ. „კორიერე დელო სპორტში“ ასეთი სათაური გვხვდება: „შერმადინის დიდებული ფინალი, „კანტუმ“ „ოლიმპიაკოსი“ დაამარცხა“.

„ილპანორალოს“ სათაურშიც ჩვენთვის ნაცნობი გვარია: „შერმადინმა „ოლიმპიაკოსი“ ადგილზე გაყინა, „კანტუ“ აფრინდა“. მიმოხილვაში გიორგის გვარის გასწვრივ „მოკრძალებული“ ეპითეტი გვხვდება: „მატჩის გმირი“.

„ლა რეპუბლიკა“: „შერმადინმა „ოლიმპიაკოსი“ შინ გაუშვა!“ სათაურის ქვემოთ საინტერესოდაა ახსნილი ოქროს დაფარების ეპიზოდი: „ჰაინსი მაღალი სისწრაფით დაიძრა მასპინძელთა კალათისკენ, თუმცა მას არ ჩამორჩა მანუჩარ მარკოიშვილი. ქართველმა ბერძენთა ლეგიონერი სათანადოდ შეაფერხა. ამასობაში მატარებელივით ჩამოიქროლა შერმადინმა, დაუფარა და „კანტუს“ ფანტასტიკური გამარჯვება მოაპოვებინა“.

გადამწყვეტ მომენტში მანუჩარმაც დამაჯერებლად ითამაშა. სირენამდე 3 წუთით ადრე ჩვეულად აიწია და თანაგუნდელები 59:57 დააწინაურა. საბოლოოდ მანაც 8 ქულა მიითვალა.

ტოპ-ბილეთი

ბოლოს და ბოლოს, „კანტუს“ მთავარმა მწვრთნელმა კომენტარში კონკრეტულ კალათბურთელებზე ილაპარაკა:

- „ბენეტონთან“ საკვირაო წაგების შემდეგ დიდი შრომა გავწიეთ და მოხარული ვარ, რომ ლეუნენმა, მარკოიშვილმა და მაზარინომ შესანიშნავად ითამაშეს. გამოცდილმა მეფარე მარკონატომ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა მაღალ კლასში. სპანულისმა ბოლოს წარმოუდგენელი სამქულიანი ჩაგვიგდო, მაგრამ გადამწყვეტ ეპიზოდში ყველაფერი სწორად გავაკეთეთ (ეს მიმდინარე სეზონში პირველად მოვახერხეთ)... ბოლოს კი „დიდი G-ს“ გარჯა ტოპ-16-ის ბილეთის ტოლფასი იყო“.

მართალია, „კანტუს“ ევროლიგის მეორე ეტაპის საგზური ჯერ არ მოუპოვებია, მაგრამ მიზნის მიღწევამდე ბევრი აღარ უკლია: 4 ტურის შემდეგ 3 მოგება აქვს და ექვსგუნდიან ჯგუფში მეორე ადგილზეა. მომდევნო ეტაპზე ოთხი კლუბი გადის. დარჩენილია ექვსი მატჩი.

ვაჟა სიმონიშვილი

სუპერლიგა

კიდევ ორი ამერიკელი შსს-ში

შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდი ორი ამერიკელი ლეგიონერით, **ტრეისი სმიტითა** და **ლარი ბლერით** გაძლიერდა. ამის შესახებ შსს-ს კლუბის სპორტულმა დირექტორმა **ლევან მიქაბერიძემ** განაცხადა.

22 წლის ცენტრ-ფორვარდი (205 სმ და 117 კგ), ტრეისი სმიტი 2007 წელს ამერიკის 19-წლამდელთა ნაკრებში თამაშობდა; იყო ჩრდილო კაროლინის უნივერსიტეტის კლუბის ძირითადი ცენტრი, რომელიც NCAA-ს ტოპ-ათეულში შედიოდა.

სმიტს კონტრაქტი თელ-ავივის „ჰაპოელთან“ აკავშირებდა, სადაც გუნდის ძირითად ხუთეულში მოიაზრებოდა, თუმცა კლუბმა პირობები ვერ უზრუნველყო, რაც მისი გუნდიდან წამოსვლის მიზეზი გახდა.

მიქაბერიძის განცხადებით, ტრეისის შეთავაზება მექსიკის უმაღლესი ლიგის გუნდ „სოლესიდანაც“ ჰქონდა, თუმცა შსს-მ მას უკეთესი პირობები შესთავაზა და ტრეისიმაც საქართველოში ჩამოსვლა გადაწყვიტა.

შსს-ს მეორე ამერიკელი ლეგიონერი ლარი ბლერი NCAA-ის, ფინეთის, უნგრეთისა და საფრანგეთის გუნდებში ასპარეზობდა. 183 სანტიმეტრი სიმაღლის უკანახაზელი ბოლოს საფრანგეთის პირველ დივიზიონში გამოდიოდა, სადაც მისი საშუალო მონაგარი 24 ქულა, 4.5 მოხსნა, 2.5 პასი და ამდენივე ჩაჭრა იყო, ხოლო კარიერის მანძილზე ლარი ბლერის საშუალო მონაგარი 22.5 ქულას, 4.5 მოხსნას, 3.5 პასსა და 1.8 ჩაჭრას შეადგენს.

სმიტი და ბლერი შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდს, კვირას, 13 ნოემბერს შეუერთდებიან.

www.superleague.ge

ინტერვიუ გიორგი შერმადინთან

მოედანზე მანუს გვერდით თავს კომფორტულად ვგრძნობ

ტეო პაპალუკასი, ტერენს კინსი, ანდრეი კირილენკო, გიორგი შერმადინი... ასეთი თანამიმდევრობით გამოქვეყნდა ინტერვიუები ევროლიგის ოფიციალურ საიტზე. გადავიდეთ პირდაპირ საქმეზე და გავეცნოთ **ხავიერ განჩედოს** მიერ ჩაწერილ ინტერვიუს, რომელიც „კანტუ“ - „ოლიმპიაკოსის“ მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე გამოქვეყნდა.

„გიორგი შერმადინი ერთი თვე არ არის, რაც „კანტუს“ შეუერთდა, თუმცა გუნდის ღირებულ კალათბურთელად იქცა. 22 წლის ქართველი ცენტრი სამი მატჩის შემდეგ წუთების მონაგართან შეფარდების კოეფიციენტით (1,03) მხოლოდ ანდრეი კირილენკოს ჩამორჩებოდა.

- ევროლიგა „კანტუთან“ ერთად კარგად დაიწყე...

- სამი კვირაა, რაც აქ ჩამოვედი. დიდებული სიტუაცია დამხვდა. ეს თამაშზეც ისახება: ყველა საშინაო მატჩი მოვიგეთ, მხოლოდ სტუმრად „კახა ლაბორალთან“ დავმარცხდით. მომდევნო ეტაპის საგზურის მოპოვება თუ გვინდა, შინ ქულები არ უნდა დავკარგოთ. თუმცა, ისიც ვიცით, რომ მატჩების მოგება ნელ-ნელა უფრო გართულდება.

- „კანტუს“ დაგვიანებით შეუერთდი. როგორ შეეწყვე გუნდს?

- იტალიაში ჩამოსვლისთანავე საკმარისი სათამაშო დრო მივიღე. თანაგუნდელები და მწვრთნელი ყოველმხრივ მეხმარებიან. გუნდის თავკაცმა ანდრეა ტრინჩიერიმ დიდი ნდობა გამომიცხადა და მოედანზე ყოველი შებიჯებისას ვცდილობ იმედები გავუმართლო.

- წუთების დროსთან შეფარდებით შარშანდელ სეზონშიც ერთ-ერთი საუკეთესო იყავი. გაგვიმხილე საიდუმლო, ამას როგორ ახერხებ?

- ნამდვილად არ ვიცოდი მიმდინარე სეზონში ამ მაჩვენებლით საუკეთესოთა შორის თუ გახლდით. სტატისტიკისთვის ნამდვილად არ ვთამაშობ, ვცდილობ გუნდს რაც შეიძლება მეტ მატჩში გამოვადგე. „კანტუში“ თავს კომფორტულად ვგრძნობ და გუნდიც მეხმარება საკუთარი შესაძლებლობების სათანადოდ რეალიზებაში.

- „ნანსისთან“ სადებიუტო მატჩი „კანტუს“ ქომაგებისთვის პირველი იყო ევროლიგაზე დიდი ხნის შესვენების შემდეგ. როგორ დაგეხმარნენ გულშემატკივრები გამარჯვებაში?

- სავსე ტრიბუნები მხოლოდ „ნანსისთან“ როდი დაგვეხმარა, ყველა მატჩში დიდ როლს თამაშობს. კანტუ პატარა ქალაქია, აქ კალათბურთი ყველას უყვარს და ქომაგები ასეთ მნიშვნელოვან მატჩებზე ყოველთვის ჩვენს გვერდში დგანან.

- ესპანეთში „კახა ლაბორალთან“ კი წააგეთ, მაგრამ გამოჩნდა, რომ „კანტუ“ ბრძოლისუნარიანი გუნდია...

- მეც ასე ვფიქრობ. დაცვაში სათანადოდ ვერ გავისარჯეთ და შინ წაგებულები ამიტომაც დავბრუნდით. დაცვაში ვერც მე ვითამაშე კარგად. „კახა ლაბორალი“ დიდებული გუნდია, მაღალი კლასის კალათბურთელებით დაკომპლექტებული. ისინი წლების განმავლობაში თამაშობენ ევროლიგაზე და გამოცდილებას ტოპ-16-სა და პლეი ოფებში იღებენ... ჩვენთან გამარჯვებაშიც სწორედ გამოცდილება დაეხმარათ.

- მესამე შეხვედრაში შინ „ბილბაოს“ სძლიეთ. რამ განაპირობა თქვენი მოგება?

- მომდევნო ეტაპზე გასასვლელად აუცილებელი იყო ბილბაოელთა დამარცხება. წინა შეხვედრისგან განსხვავებით დაცვაში ძალიან კარგად გავისარჯეთ, წარმატებაც ამან განაპირობა. გულით გავიხარეთ ისეთი სახიფათო გუნდის დამარცხებით, როგორიც „ბილბაოა“, თუმცა ისიც გვესმის, რომ მთავარი ბრძოლები წინაა.

- ყველა მოგებულ მატჩში მეტოქემ 70-ზე ნაკლები ქულა ჩააგდო...

- დაცვა ყველა გუნდისთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ „კანტუ“ მაინც გამორჩეულია - დაცვაზე ორიენტირებული გუნდია. ეს მომწონს. ჩვენი მეტოქეების მონაწილეობით უამრავ ვიდეოჩანაწერს განვიხილავთ. ვარკვევთ, ვის რა შეტევით იარაღი აქვს და ვინაა მთავარი მექულე... ჩვენს თამაშს ყოველი მატჩის შემდეგ ვხვეწთ, ბევრს ვცვლით, რაც ნამდვილად საინტერესოა. „კახა ლაბორალთან“ განხორციელებულმა ცვლილებებმა „ბილბაოსთან“ გამარჯვება განაპირობა.

- „პანათინაიკოსის“ შემდეგ „ოლიმპიასა“ და „კანტუში“ სათამაშო დრო მოგემატა. კმაყოფილი ხარ?

- „ოლიმპიას“ რომ შევუერთდი, თავიდან შეზღუდული დრო მქონდა, თუმცა შემდეგ წუთებმა იმატა. ახალგაზრდა კალათბურთელისთვის ყოველთვის მნიშვნელოვანია სათამაშო დრო. რამდენსაც ვიმსახურებდი, მწვრთნელები იმდენს მათამაშებდნენ. ვცდილობ, ბოძებულ დროში მაქსიმუმი გავაკეთო.

- გასულ სეზონში“ ოლიმპიაში“ ითამაშე. რა შეგმატა სლოვენიურმა კლუბმა?

- კარგი გუნდი გვყავდა, მაღალი დონის კალათბურთელებით დაკომპლექტებული. წლეულს „ოლიმპია“ შედარებით ახალგაზრდა გუნდია. შარშან შედეგიანი სეზონი გვქონდა - ევროლიგის ტოპ-16-ში გავედით, ადრიატიკის თასის ფინალში ვითამაშეთ და მოვიგეთ სლოვენიის თასი. დიდი გამოცდილება მივიღე.

- „კანტუში“ გადასვლა მანუჩარ მარკოიშვილმა ხომ არ გირჩია, რომელთან ერთადაც ევრობასკეტზე ითამაშე?

- იყო მანუს ფაქტორიც. იგი მხარში ამომიდგა და მზადაა ყოველთვის დამეხმაროს. მასთან ერთად, დიდი ხანია, საქართველოს ნაკრებში ვთამაშობ, ძლიერი კალათბურთელია. მანუჩარი აქ ყველაფერს იცნობს და ჩამოსვლისთანავე დამათვალიერებინა ქალაქი. არის კიდევ ორი სასიამოვნო დეტალი: იტალიაშიც საშუალება მაქვს ქართულად ვილაპარაკო და მეორე - მოედანზე მარკოიშვილის გვერდით თავს მეტად კომფორტულად ვგრძნობ.

- მომავალში რას უნდა ველოდეთ გიორგი შერმადინისგან?

- რთული სათქმელია. ევროლიგის წლევანდელ სეზონზე ვარ კონცენტრირებული, გვინდა ტოპ-16-ში ვითამაშოთ. ასე რომ, მომავალი მიზანი უახლოესი მატჩის მოგებაა.

ვაჟა სიმონიშვილი



ოჯახის წევრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ვიქტორ სანიკიძის ბაბუა - **ვიქტორ ტომარაძე.**

ერთვნული ბიბლიოთეკა

ევროპის თასები

ევროვარსკვლავები

ბურთით მამუკა გორგოძე

ამ უქმეებზე ევროთასების გათამაშება იწყება. ახალ ზელანდიაში გამართული მსოფლიოს თასის გათამაშების დასრულების შემდეგ ვარსკვლავები თავიანთ კლუბებს დაუბრუნდნენ და „ჰეინეკენის თასისა“ და „ემლინ ჩელენჯ კაპისთვის“ იბრძოლებენ. ევროსარბიელზე მართლაც საკმაოდ ბევრი ვარსკვლავი გაიბრწყინებს და მათ შორის ქართველი მორაგბეებიც იქნებიან.

ფრანგული „ტულონის“ ძირითად შემადგენლობაში აქამდე მხოლოდ ერთი ქართველი **დავით ქუბრიაშვილი** თამაშობდა. ამჯერად „ემლინ ჩელენჯ კაპის“ გათამაშების პირველ ტურში იტალიურ „პადოვასთან“ ტულონელთა თავკაცმა, საფრანგეთის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა **ბერნარ ლაპორტმა** ძირითად შემადგენლობაში ერთბაშად ორი ქართველი, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრები **ლევან ჩილაჩავა** და **კონსტანტინე მიქაუტაძე** დააყენა. ჩვენებურთათვის ტულონელთა მთავარ გუნდში ეს სადებიუტო მატჩია.

ახლა კი იმ ვარსკვლავებზე გიამბობთ, რომლებსაც ევროთასების გათამაშებაში ვიხილავთ.

ჯონ აფოა
(ახალი ზელანდია, ალსტერი)

ახალზელანდიელი შერკინების ბურჯი წლეულს „ოლ ბლექსის“ შემადგენლობაში მსოფლიოს თასის მფლობელი გახდა. აფოა ირლანდიურ კლუბში დათქმულ დროზე ადრე ჩავიდა, რადგან მისმა დუბლიორმა ტრავმა მიიღო და შეცვლა სჭირდებოდა. ის საგანგაშო სიგნალს გულისხმიერად მოეკიდა და უკვე გასულ უქმეებზე „ქონოთის“ წინააღმდეგ ითამაშა.

„ალსტერი“ ხვალ შინ ფრანგულ „კლერმონს“ უმასპინძლებს და ირლანდიელთა მწვრთნელს, **ბრაიან მაკლაფლინს** იმედი აქვს, რომ აფოა სათანადო წინააღმდეგობას გაუწევს „ვულკანების“ ბურჯებს **დავით ზირაქაშვილსა** და **ტომა დომინგოს**.

ჯონ აფოა ირლანდიურ კლუბს ვერაფრით დაეხმარება, რადგან მისი მეგობრის, მსოფლიოს თასის კიდევ ერთი გამარჯვებულის **ჯერომ კაინოს** ქორწილში მეჯვარედ არის მიწვეული.

მამუკა გორგოძე
(საქართველო, მონპელიე)

სასიხარულოა, რომ საქართველოს ნაკრების მესამეხაზელმა მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი მოთამაშის სახელი მოიხვეჭა. მამუკა გორგოძეს ოვალური ბურთით თამაშის დიდოსტატებიც უფრთხიან. მისი „მონპელიე“ „ჰეინეკენის თასის“ გათამაშებაში შინ მიიღებს ირლანდიურ „ლენსტერს“.

ირლანდიელებს დღესაც მწარედ ახსოვთ 2007 წლის მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრებთან შეხვედრა. აი, რას წერს გორგოძეზე და ჩვენს ნაკრებზე ირლანდიური „ინდეპენდენტი“: *„2007 წლის მსოფლიოს თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრებთან მატჩის შემდეგ, მეორე დილას ირლანდიელი მორაგბეები, ალბათ, საშინელმა სიზმარმა გამოაღვიძა. ეჭვს გარეშეა, მათ მამუკა გორგოძე ელანდებოდათ. „მონპელიეს“ ქართველი მესამეხაზელი ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო მორაგბეა ევროპულ რაგბიში და ის ბევრს საშინელებად გადაექცა. როცა უზარმაზარი მთაკაცი თქვენსკენ მთელი სიჩქარით მოჰქრის, ძნელია მისი სახე დაივიწყო.*

ვინც 2011 წლის მსოფლიოს თასს თვალყური ადევნა, კარგად ემახსოვრება, როგორ გარღვევებს აკეთებდა ის შოტლანდიის ნაკრებთან მატჩში, როგორი საშიში იყო ინგლისელებისთვის,

კონსტანტინე მიქაუტაძე

როგორ გაუტანა ლელო რუმინეთის ეროვნულ გუნდს და რა მამაცურად იბრძოდა არგენტინის წინააღმდეგ.

საქართველოს ნაკრებმა ახალ ზელანდიაში მხოლოდ ერთი თამაში მოიგო, მაგრამ ვინც მათ წინააღმდეგ თამაშობდა, კარგად იცოდა, რომ გამარჯვებას იოლად ვერ მოიპოვებდა. ქართველებს რომ უკეთესი უკანა ხაზის მოთამაშეები ჰყავდეთ, ჩვენ მათ ნაკრებს უფრო ხშირად ვნახავდით და არა ოთხ წელიწადში ერთხელ.“

ლუკ ბარჯესი
(ავსტრალია, ტულუზი)

ავსტრალიელი მგეზავი ბოლო წლებში **ვილი გენიას** ჩრდილის ქვეშ იმყოფებოდა. თუმცა ამას ხელი არ შეუშლია ბარჯესისთვის, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მგეზავის სახელი მოეხვეჭა, 28 წლის ლუკი მსოფლიოს თასის გათამაშების წინ ტრავმებმა დატანჯეს, თუმცა გამოჯანმრთელება მოასწრო და „ვოლაბებთან“ ერთად ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა.

ფრანგული რაგბის გრანდმა „ტულუზმა“ მასთან ერთად წლეულს ისეთი ვარსკვლავები მიიწვია, **ლუკ მაკალისტერი, ხუთრო სტენკამპი** და **ნიკოლას ვერგალო** რომ არიან. ეს უკანასკნელი სწორედ ბარჯესის კონკურენტია, თუმცა თუ ავსტრალიელს შანსს მისცემენ, ის აუცილებლად გაიბრწყინებს.

სტივენ დონალდი
(ახალი ზელანდია, ბასი)

„ჩიფსის“ ყოფილი მგეზავი „ოლ ბლექსში“ ამ პოზიციაზე მეოთხე ნომერი იყო. მაგრამ სტივენი უსაზღვროდ იღბლიანი ყოფილა. მას შემდეგ, რაც ერთმანეთის მიყოლებით დაშავდნენ **დენ კარტერი, კოლინ სლედი** და **აარონ კრადენი**, ნაკრების თავკაცმა გრემ ჰენრიმ საშველად მას უხმო. დონალდს გაუმართლა და თვითონაც გაამართლა. ახალზელანდიელებს მსოფლიოს თასი, ფაქტობრივად, მის მიერ ფინალში გატანილმა საჯარიმომ მოუტანა.

27 წლის მგეზავი ინგლისურ „ბასში“ გადაბარგდა და თავის კარიერაში ახალი წიგნის წერას იწყებს. „ჰეინეკენის“ თასის გათამაშების ჯგუფურ ტურნირში სტივენ დონალდისა და „ბასის“ მეტოქეები შოტლანდიური „გლაზგო“, თასის ამჟამინდელი მფლობელი ირლანდიური „ლენსტერი“ და **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტის, მიხეილ ნარიაშვილისა** და **გოდერძი შველიძის** „მონპელიეა“. დონალდს მათ დაძლევაში **ბუჩ ჯეიმზი, ოლი ბარკლი** და **მეთ ბანაჰანი** დაეხმარებათ.

სიტივენი სივივატუ
(ახალი ზელანდია, კლერმონი)

„ოლ ბლექსის“ ყოფილი გარემარბი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ თავდამსხმელად მიიჩნევა. მიუხედავად ამისა, სიტივენი სივივატუ ახალი ზელანდიის ნაკრებში ვერ მოხვდა. წარმოშობით ფიჯელმა 2010-2011 წლების სეზონი შესანიშნავად ჩაატარა, თუმცა „ოლ ბლექსის“ თავკაცმა **გრემ ჰენრიმ** ის ნაკრებს ჩამოაშორა.

სივივატუმ სამხრეთ ნახევარსფერო დატოვა და საფრანგეთს მიაშურა, სადაც დავით ზირაქაშვილის „კლერმონის“ ღირსებას დაიცავს. „ვულკანებისთვის“ ეს უდიდესი შენაძენია. კლერმონელებს სივივატუს იმედი ნამდვილად უნდა ჰქონდეთ.

ლევან ჩილაჩავა და ტანა უმაგა

მსოფლიოს თასის ექო

ლუის მუდი

მუდი ჯონსონს მხარს უჭერს

ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტანი **ლუის მუდი** „პომების“ თავკაცად **მარტინ ჯონსონის** დარჩენას ითხოვს. მომავალი მსოფლიოს თასის გათამაშება 2015 წელს ინგლისში გაიმართება, ამიტომ მუდის მიაჩნია, რომ ახლა ნაკრებში კარდინალური ცვლილებების დრო არ არის. უმჯობესია სტაბილურობის შენარჩუნება, რაც განვითარების უმთავრესი წინაპირობაა.

„ჯონომ გუნდში ახალგაზრდა მოთამაშეები მოიყვანა და ყველაფერი გააკეთა, რომ მათ თავიანთი პოტენციალი ბოლომდე გამოემჟღავნებინათ. ისეთი მოთამაშეები, როგორებიც არიან ბენ იანგ ზი, დენ კოლი, კორტნი ლოუ, კრის ეშტონი და ბენ ფოდენი, საერთაშორისო არენაზე პოპულარულები გახდნენ.

ცხადია, ყველაფერი მარტინ ჯონსონზეა დამოკიდებული. იმედი მაქვს, რომ მას ნაკრებში მუშაობის გაგრძელება უნდა. ახლა მისი თანამდებობიდან გაშვება არაფრით შეიძლება. ამის მაგალითად ახალი ზელანდიის მწვრთნელი გრემ ჰენრი გამოდგება. „ოლ ბლექსმა“ 2007 წელს მეოთხედფინალში წააგო, მაგრამ მწვრთნელი არ მოუხსნიათ. შედეგად აგერ ოთხი წლის შემდეგ „ვებ ელისის“ თასი მოიგეს.

ივივენაირად მოხდა ინგლისშიც. კლაივ ვუდვორდის ხელმძღვანელობით ინგლისის ნაკრებმა წარმატებას ვერ მიაღწია. ოთხი წლის შემდეგ კი ვუდვორდმა და კომპანიამ ავსტრალიაში ფინალში მასპინძლები დაამარცხა.

2015 წელს მსოფლიოს თასის გათამაშება ინგლისში გაიმართება. კარგი შანსი გვაქვს „ვებ ელისი“ ჩვენს სამშობლოში დავტოვოთ. ამ შანსის ხელიდან გაშვება არაფრით შეიძლება“ - თქვა ლუის მუდიმ.

ინგლისმა კალენდარი დაამტკიცა

ინგლისის რაგბის კავშირმა ოფიციალურად განაცხადა, რომ 2012 წელს სამხრეთ აფრიკის ეროვნულ გუნდს ოთხჯერ დაუპირისპირდება. „პომები“ ივნისის ტესტებისას „ბოკესთან“ სამჯერ ითამაშებენ. მეოთხედ კი 10 ნოემბერს, „თვიქნემზე“ უმასპინძლებენ.

ნოემბრის ტესტებს ინგლისელები 10 ნოემბერს ფიჯისთან თამაშით გახსნიან, ამას „ვოლაბებთან“ ბრძოლა მოჰყვება, ერთი კვირის თავზე კი მეტოქე სამხრეთ აფრიკის ნაკრები იქნება. პირველ დეკემბერს „პომებს“ მსოფლიოს თასის მფლობელი „ოლ ბლექსი“ გაუწევს მეტოქეობას.

მანამდე კი ინგლისელები ექვსი ერის გათამაშებაში ჩაებმებიან. პირველ თამაშს ისინი სტუმრად „მერიფილდზე“ შოტლანდიის ეროვნულ გუნდთან გამართავენ, ერთი კვირის მერე კი რომში, „სტადიო ოლიმპიკოზე“ იტალიის ნაკრებს დაუპირისპირდებიან. 2012 წლის პირველ საშინაო მატჩს ინგლისის ეროვნული გუნდი 25 თებერვალს გამართავს „თვიქნემზე“ უელსის ნაკრებთან.

„თუ გინდა, რომ ყველას აჯობო, მართლაც საუკეთესო უნდა იყო. ეს სწორედ ისაა, რისკენაც ინგლისის ნაკრები ისწრაფვის. სამხრეთ ნახევარსფეროს ქვეყნების რაგბი ეტალონია მრავალი წლების განმავლობაში. ვიცით, რომ პლანეტაზე ისინი ბატონობენ. ამიტომ მათთან დაპირისპირება ყოველთვის საინტერესოა. ქომაგები მოუთმენლად ელიან ტესტების დადგომას. ძალიან სასიამოვნოა უცქირო როგორ ხარობენ ისინი „თვიქნემზე, ეს ნამდვილი ზეიმია“ - თქვა ინგლისის ნაკრების მესამეხაზელმა ნიკ ისთერმა.

„ვოლაბების“ კაპიტანი **ჯეიმს ჰორვილი**, რომელმაც ახალ ზელანდიაში გუნდთან ერთად ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ასევე მოუთმენლად ელის „თვიქნემზე“ დაბრუნებას.

„საერთაშორისო არენაზე ცოტა რამ თუ შეედრება ინგლისის ნაკრების წინააღმდეგ „თვიქნემზე“ თამაშს. ეს შესანიშნავი სტადიონია, რომელზეც საოცარი აურა იქმნება. ბოლოს აქ „პომებთან“ 2009 წელს ვითამაშე. მაშინ ჩვენ გავიმარჯვეთ. ერთი წლის შემდეგ კი ინგლისელებმა რაგბის შესანიშნავი გაკვეთილი ჩაგვიტარეს. ასე რომ, ამ გუნდთან თამაშით მუდმივად შეიძლება ისწავლო, განვითარდე.“ - თქვა მან.

ნოემბრის ტესტები

10 ნოემბერი
ინგლისი-ფიჯი

17 ნოემბერი
ინგლისი-სამხრეთ აფრიკა

24 ნოემბერი
ინგლისი-ავსტრალია

1 დეკემბერი
ინგლისი-ახალი ზელანდია

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

ტამპა ბეი-ფილადელფია

რეინჯერებს ვერ აჩერებენ

არც ისე წარმატებული გამოვიდა „ფილადელფიას“ კაპიტნის **კრის პრონგერის** დაბრუნება. მისმა გუნდმა გუშინ სტუმრად წააგო „ტამპა ბეისთან“. მთელი მატჩის განმავლობაში გუნდები მკაცრ დაცვით ჰოკეის თამაშობდნენ და შეტევისთვის ერთმანეთს სივრცეებს არ უტოვებდნენ. ამიტომაც იყო, რომ „ფილადელფიამ“ მთელი მატჩის განმავლობაში მხოლოდ 15 ზუსტი დარტყმა შეასრულა.

პირველი 30 წუთი საკმაოდ თანაბარი იყო. განსაკუთრებულ ყურადღებას მეკარეები - **ილია ბრიზგალოვი** და **დუეინ როლოსონი** იმსახურებდნენ, რომლებმაც რამდენჯერმე აშკარა გოლისგან იხსნეს თავიანთი გუნდები. „ფილადელფიას“ კარის დარაჯი მუდმივ ზენოლას გრძნობდა **ვენსან ლეკავალიესა** და **მარტინ სან ლუის** მხრიდან, რომლებსაც მინიმუმ ოთხჯერ შეეძლოთ თავის გამოჩენა. სტუმრების მხრიდან ორი მომენტი ჰქონდა **კლოდ ჟირუს**, მაგრამ როლოსონმა ორივე შემთხვევაში იყოჩაღა.

ამ მატჩში გადამწყვეტი როლი გაძევებებმა ითამაშეს, რომელიც საკმაოდ ბევრი იყო და სამიდან ორი შაიბა სწორედ რიცხობრივი უპირატესობის დროს გავიდა. პირველებმა თავი სტუმრებმა გამოიჩინეს მეორე პერიოდის შუაში. „ტამპას“ ზონაში მოგებული ჩაგდების შემდეგ **ვორაჩეკმა** შორიდან გაისროლა, შაიბა გზად **სკოტ ჰარტნელის** ყვანჯს შეეხო და ასე აღმოჩნდა როლოსონის კარში.

ამის შემდეგ „ფილადელფიამ“ დაცვაში ჩადგომა გადაწყვიტა და უნარიანი მოქმედებით ინარჩუნებდა სასურველ ანგარიშს, მაგრამ სტუმრები უხეშობამ დააღალატა. 47-ე წუთზე ვორაჩეკის გაძევების შემდეგ **მარკ-ანდრე ბერჟერონმა** ცისფერი ხაზიდან ძლიერი გასროლით გაათანაბრა ანგარიში. „ტამპას“ წინ გასვლაც შეეძლო, მაგრამ საბოლოოდ, საქმე ოვერტაიმამდე მივიდა. აქ კი ყველაფერი **ბრეტ კონოლიმ** გადაწყვიტა, რომელმაც **დომინიკ მურის** გარღვევის შემდეგ დამატებაზე ივარგა - 2:1. „ტამპამ“ ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო.

■ ■ ■

„ნიუ იორკ რეინჯერსის“ შეჩერება შეუძლებელი ხდება. გუშინ, **ჯო ტორტორელას** შეგირდებმა „ოტავა“ დაამარცხეს და ზედიზედ მეხუთე გამარჯვება გაიფორმეს. შესანიშნავი შეთამაშება გამოავლინეს **გაბორიკის**, **სტეპანისა** და **ანისიმოვის** დუეტმა - სწორედ ამ ტრიომ გაიტანა „რეინჯერსის“ სამივე შაიბა. განსაკუთრებით გამორჩეოდა 21 წლის ამერიკელი დერეკ სტეპანი, რომლის ანგარიშზე იყო გოლი და ორი საგოლე პასი. გაბორიკმა კი გულშემატკივრები ზედიზედ მეორე დუბლით გაახარა. ამ მოგებით „რეინჯერები“ ძალიან მიუახლოვდნენ აღმოსავლეთი კონფერენციის ლიდერებს და მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩებიან „პიტსბურგს“, თან ერთი თამაშით ნაკლები აქვთ.

„ოტავას“ საქმე კი ცუდად მიდის. სეზონის ბრწყინვალე დასაწყისისა და მოგებათა სერიის შემდეგ, „სენატორებმა“ ბოლო კვირანახევარში ოთხი მატჩის წაგება მოასწრეს და მხოლოდ ერთი ქულა აიღეს „ბაფალოსთან“ მატჩში.

ოთხმატჩიან გასვლით ტურნეს აგრძელებს „ნეშვილი“, რომელიც ამჯერად „ანაჰაიმს“ ეწვია. ამ გუნდების მატჩი ყოველთვის საინტერესო და უხვგოლიანი გამოდის. ახლაც, მაყურებელმა ექვსი შაიბა იხილა. კარგად იმუშავა **ჰორნკვისტის**, **სმიტისა** და **უილსონის** ტრიომ - სტუმრების ყველა ქულა სწორედ ამ ბიჭების ანგარიშზეა, კრეიგ სმიტმა კი კარიერაში პირველი დუბლი ჩაიწერა აქტივში, რასაც ერთი შედეგიანი პასიც დაუმატა.

კარგად ითამაშა მეკარე **პეკა რინემ**, რომელმაც ცოტა ხნის წინ კლუბთან მრავალწლიანი კონტრაქტი გააფორმა „ნეშვილთან“. „ანაჰაიმმა“ კი უკვე ზედიზედ მეექვსე მატჩი წააგო.

ტამპა ბეი-ფილადელფია 2:1 (ოვ)

0:0, 0:1, 1:0, 1:0

გოლები: 0:1 ჰარტნელი-6 (ვორაჩეკი-6, ტიმონენი-11), 1:1 მ-ა. ბერჟერონი-3 (სტემკოსი-6, ლეკავალიე-6), 2:1 ბ. კონოლი-3 (მური-4, კუბინა-2).

ოტავა-რეინჯერსი 2:3

0:0, 1:2, 1:1

გოლები: 1:0 მ. მიხალეკი-10 (სპეკი-10, ე. კარლსონი-13), 1:1 გაბორიკი-8 (სტეპანი-6), 1:2 სტეპანი-3 (ანისიმოვი-8), 1:3 გაბორიკი-9 (სტეპანი-7, ანისიმოვი-9), 2:3 ფოლნინო-4 (და კოსტა-2, ბატლერი-2).

ანაჰაიმი-ნეშვილი 2:4

1:2, 1:1, 0:1

გოლები: 0:1 კ. სმიტი-6 (ჰორნკვისტი-2), 0:2 კ. უილსონი-3 (კ. სმიტი-7, ჰორნკვისტი-3), 1:2 სმიტ-პელი-1 (ფაულერი-6, მაკმილანი-3), 1:3 ერატი-2 (ბულიტი), 2:3 ბოშემენი-2 (პერი-5, რაიანი-2), 2:4 კ. სმიტი-7 (კ. უილსონი-6, ჰორნკვისტი-4).

ქრივი

რაპმანი პრეზენდენტი გახდა

მძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, 39 წლის ამერიკელი **ჰასიმ რაჰმანი** WBA-ის საჩემპიონო ტიტულის ოფიციალური პრეტენდენტი გახდა. დღეს ამ ვერსიით ჩემპიონი გახლავთ რუსი **ალექსანდრ პოვეტკინი**, ხოლო სუპერჩემპიონის ტიტულს უკრაინელი **ვლადიმერ კლიჩკო** ფლობს.

შეგახსენებთ, რომ პოვეტკინმა 3 დეკემბერს ჭელსინკიში უნდა გამართოს თავისი ტიტულის ნებაყოფლობითი დაცვა 42 წლის ამერიკელთან **სედრიკ ბოსველთან**. გამარჯვების შემთხვევაში, WBA-ის დირექტივის თანახმად, პოვეტკინის გუნდი ვალდებული იქნება მოლაპარაკებები გამართოს რაჰმანის წარმომადგენლებთან.

კალათბურთი

არაფერი არ არის ცნობილი



ნიუ იორკში გრძელდება მოლაპარაკებები კლუბების მფლობელებსა და მოთამაშეთა პროფკავშირს შორის. მორიგი შეხვედრა დაახლოებით 12 საათი მიმდინარეობდა და დაპირისპირებულმა მხარეებმა ისევ ვერ მიაღწიეს კომპრომისს. მოლაპარაკების დასრულების შემდეგ კი შეხვედრის მონაწილეები ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს აკეთებდნენ.

მაგალითად, ერთ-ერთი კლუბის გენერალურმა მენეჯერმა განაცხადა, რომ პროფკავშირი და კლუბების მფლობელები ახლოს არიან შეთანხმებასთან. *„დღეს მხარეებმა რეალურ პროგრესს მიაღწიეს. ეს საკმარისი უნდა იყოს იმისთვის, რომ ხვალ მოლაპარაკებები გაგრძელდეს“*, - განაცხადა მან და ისიც დაამატა, რომ შეხვედრაზე სამ სისტემურ საკითზე მიაღწიეს შეთანხმებას.

უფრო ზოგადი განცხადებებით შემოიფარგლნენ ლოკაუტის მთავარი მოქმედი პირები. მოკლე კომენტარი ჰქონდა NBA-ის კომისარს **დევიდ სტერნს**. მისი თქმით, მხარეებმა უარი თქვეს ულტიმატუმზე და მოლაპარაკებები მომდევნო დღისთვის გადაიტანეს.

„დღეს ჩვენ ვერ შევძელით შეთანხმებამდე მისვლა“, - ამბობს სტერნი.

„ვერ ვიტყვი, რომ მოლაპარაკებებში შესამჩნევ პროგრესს მივაღწიეთ, მაგრამ მომდევნო შეხვედრას 10 ნოემბერს შუადღე ზე გავმართავთ. იმედია, ამჯერად შევძლებთ ახალი კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმებას. თუმცა კომპრომისამდე მისასვლელად მხარეებმა კეთილი ნება უნდა გამოიჩინონ“, - ამბობს პროფკავშირების პრეზიდენტი **დერეკ ფიშერი**.

ამავე ორგანიზაციის აღმასრულებელმა დირექტორმა **ბილი ჰანტერმა** არ გაამხილა 12-საათიანი მოლაპარაკებების დეტალები. თუმცა აღნიშნა, რომ მხარეებს არც კი განუხილავთ საერთო შემოსავლის გაყოფის საკითხი, რომელიც ადრე მთავარ პრობლემად მიიჩნეოდა.

ჰანტერის თქმით, ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებაზე მოლაპარაკებები კიდევ რამდენიმე დღე გაგრძელდება.

პროკომს ოთხი წაგება აქვს

ბილბაოს დასანანი მარცხი

ევროლიგის ჯგუფური მეოთხე ტურირ ხუთი მატჩით გაიხსნა და, რა თქმა უნდა, ქართველი გულშემატკივრების ყურადღება იტალიის „კანტუსა“ და საბერძნეთის „ოლიმპიაკოსის“ მატჩისკენ იყო მიპყრობილი, რადგან „კანტუს“ რიგებში ორი ქართველი - **მანუჩარ მარკოიშვილი** და **გიორგი შერმადინი** გამოდიან. ამ უკანასკნელმა დიდი როლი ითამაშა მატჩის საბოლოო შედეგზე.

თითქმის მთელი მატჩი ქულა-ქულაში თამაში მიდიოდა. „კანტუს“ კრიტიკული მომენტი მეოთხე მეოთხედში ჰქონდა, როცა ხუთი ქულით გაუშვა წინ მეტოქე, მაგრამ შეძლო დაწევა და ყველაფერი ბოლო წამებზე გადაწყდა. 63:63-ზე ბერძნები შერმადინზე დაჯარიმდნენ. საფინალო სირენამდე 7.8 წამით ადრე ქართველმა ორიდან ერთი საჯარიმო ჩააგდო და „ოლიმპიაკოსს“ საკმარისი დრო ჰქონდა გამარჯვების ტყორცნის შესასრულებლად, მაგრამ „კანტუს“ გაუმართლა, რადგან ფარქვეშ შესულმა **კაილ ჰაინსმა** ააცილა და იტალიურმა კლუბმა 64:63 მოიგო.

შერმადინმა და მარკოიშვილმა ამ მატჩში 8-8 ქულა დააგროვეს. ოთხი ტურის შემდეგ „კანტუს“ სამი მოგება აქვს და A ჯგუფში მეორე ადგილზე იმყოფება.

ამავე ჯგუფში „ფენებაჰჩემ“ სეზონის სტარტზე ორი წაგების შემდეგ ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო - თურქებმა ბილბაოში ადგილობრივი კლუბი დაამარცხეს. ბასკებისთვის ეს იყო ზედიზედ მესამე წაგება.

აქაც მაყურებელმა დაძაბული ბრძოლა იხილა. „ბილბაო“ ბოლო მეოთხედის წინ ხუთი ქულით იგებდა, მაგრამ მეტოქემ შეძლო გათანაბრება - **კერტის ჯერელსმა** 67:67 გახადა ანგარიში. შემდეგ კი თურქები წინ გავიდნენ. ბოლო შეტევაში „ბილბაო“ შეეცადა სამქულიანის სროლას და შეხვედრის ოვერტაიმში გადაყვანას, მაგრამ ბურთი დაკარგა და „ფენერბაჰჩემ“ 73:70 გაიმარჯვა. მის რიგებში 19 და 15 ქულით საუკეთესოები იყვნენ **ბოგდანოვიჩი** და ჯერელსი.

■ ■ ■

„ბილბაოსგან“ განსხვავებით, გაუმართლა მეორე ესპანურ კლუბს - „უნიკახას“, რომელმაც საკუთარ არენაზე მოუგო ხორვატიის ზაგრებს.

მასპინძლებს ერთადერთხელ გაუჭირდათ, როცა „ზაგრებმა“ 9:0 გაქცევით დაიწყო შეხვედრა და პირველი მეოთხედი 8 ქულით მოიგო. „უნიკახამ“ მეტოქეს საპასუხო დარტყმა მომდევნო მეოთხედშივე მიაყენა, როცა 30:14 მოიგო მატჩის ეს მონაკვეთი. ამას დაემატა მესამე 10-წუთეულში რვაქულიანი უპირატესობა და ბოლო მეოთხედი პრაქტიკულად ფორმალობად იქცა.

საბოლოოდ, „უნიკახამ“ 99:85 გაიმარჯვა. ეს ესპანელთა მესამე მოგებაა და ისინი მიუახლოვდნენ ჯგუფის ლიდერებს - ცსკა-სა და „პანათინაიკოსს“.

■ ■ ■

ორი მატჩი გაიმართა D ჯგუფში და ორივეში სტუმრებმა შეძლეს გამარჯვების მოპოვება.

„გალათასარაიმ“, რომელიც კვლავაც **ზაზა ფაჩულიას** გარეშე თამაშობს, გასვლაზე სლოვენიის „ოლიმპიას“ დამარცხება შეძლო. პირველი ტაიმის შვიდი ქულით მოგების შემდეგ, თურქებმა ეს უპირატესობა მესამე მეოთხედში გაანავეს და ბოლო 10-წუთეულში ყველაფრის თავიდან დაწყებამ მოუწიათ.

„გალათასარაიმ“ 20 წლის დებიუტანტის **ფურქან ალდემირის** მონდომებით მაინც მიაღწია სასურველ შედეგს და მოიგო მატჩი 79:70. ალდემირი მატჩის გმირი გახდა - თავის სადებიუტო შეხვედრაში მან ცხრიდან შვიდი ორქულიანი ჩააგდო, 18 ქულა დააგროვა და ამას 11 მოხსნა დაუმატა.

„გალათასარაის“ მსგავსად ასევე ორი მოგება აქვს რუსეთის „უნიქსს“, რომელიც სტუმრად თამაშობდა პოლონეთის

A ჯგუფი

კანტუ-ოლიმპიაკოსი 64:63

12:16, 19:18, 14:15, 19:14

კ: ლუუნენი (12+6 მოხსნა), მარკონატო (10+6 მოხსნა), მარკოიშვილი (8), შერმადინი (8).

ო: სპანულისი (23), კეშელი (11), გეერვეიზენი (8+5 მოხსნა).

ბილბაო-ფენერბაჰჩე 70:73

21:26, 15:6, 22:21, 12:20

ბ: ბანჩი (17+5 მოხსნა), ვასილიადისი (15), ლოპეზი (9), მუმბრუ (8+5 მოხსნა).

ფ: ბოგდანოვიჩი (19), ჯერელსი (15), გისტი (10+5 მოხსნა), ონანი (8).

	მ	ნ	+/-
1. კ. ლაბორალი	3	0	17
2. კანტუ	3	1	9
3. ფენერბაჰჩე	2	2	-3
4. ნანსი	1	2	-1
5. ბილბაო	1	3	-11
6. ოლიმპიაკოსი	1	3	-11

B ჯგუფი

უნიკახა-ზაგრები 99:85

19:27, 30:14, 24:16, 26:28

უ: ზორირი (14), ფრილენდი (13+6 მოხსნა), გარბაოსა (12), როდრიგესი (11), ბლანკო (10), სინანოვიჩი (8).

ზ: კასუნი (23+7 მოხსნა), მულაომეროვიჩი (13+10 პასი), სიმონი (10), მეი (10), მაშიჩი (8).

	მ	ნ	+/-
1. ცსკა	3	0	75
2. პანათინაიკოსი	3	0	57
3. უნიკახა	3	1	1
4. ბამბერგი	1	2	10
5. ულბირისი	0	3	-37
6. ზაგრები	0	4	-106

D ჯგუფი

ოლიმპია-გალათასარაი 70:79

23:27, 14:17, 19:13, 14:22

ო: ჩაპინი (15+3 ჩაჭრა), ვარდა (14), მარკოტა (8+9 მოხსნა).

გ: ალდემირი (18+11 მოხსნა), შიპი (17), შუმპერტი (11), სონგა�ა (10), არსლანი (8).

პროკომი-უნიქსი 68:72

12:17, 18:12, 16:16, 22:27

პ: მოტეიუნასი (19+9 მოხსნა), კუბელერი (15), ლაფაიეტი (14+5 პასი), სვეერინი (8).

უ: დომერკანტი (23), მაკარტი (13), სავრასენკო (10+7 მოხსნა), ლაიდეი (9).

	მ	ნ	+/-
1. ბარსელონა	3	0	77
2. მონტეპასკი	3	0	56
3. გალათასარაი	2	2	-17
4. უნიქსი	2	2	-28
5. ოლიმპია	1	3	-45
6. პროკომი	0	4	-43

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ჩოგბურთი

ლონდონი დაკომპლექტდა

პარიზის მასტერსზე გუშინდელი სათამაშო დღის შემდეგ წლის შემაჯამებელი ჩემპიონატის ყველა მონაწილე გაირკვა. რვა ჩოგბურთელი 20-27 ნოემბერს ლონდონში წლის მთავარ ტიტულს გაითამაშებს.

დარჩენილ ერთადერთ ვაკანსიაზე პრეტენზიას ორი ჩოგბურთელი აცხადებდა - ჩეხი **ტომაშ ბერდიხი** და სერბი **იანკო ტიპსარევიჩი**. გუშინ, პარიზის მასტერსის ერთ-ერთ მერვედფინალში სწორედ ეს ჩოგბურთელები შეხვდნენ ერთმანეთს და ჩეხმა ორ სეტში შეძლო გამარჯვება - 7:5, 6:4. ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ბერდიხს ლონდონის საგზური გაენაღდებინა. ტიპსარევიჩის წაგებამ ასევე გზა გაუხსნა **ჟო-ვილფრიდ ცონგასა** და **მერდი ფიშს**.

მაშ ასე, სეზონის დასკვნით ტურნირში შემდეგი ჩოგბურთელები ითამაშებენ:



ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი)
რაფაელ ნადალი (ესპანეთი)
ენდი მიურეი (ბრიტანეთი)
როჯერ ფედერერი (შვეიცარია)

დავიდ ფერერი (ესპანეთი)
ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი)
ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფრანგეთი)
მერდი ფიში (აშშ)

მიურეის 17 გაელვება

პარიზში მასტერსის სერიის ბოლო ტურნირი საინტერესო ფაზაში შევიდა - ბრძოლაში ჩაებნენ პირველ რვა ნომრად განთესილი ჩოგბურთელები.

ტურნირის მეოთხე ნომერმა **დავიდ ფერერმა** ერთნაირი ანგარიშით - 6:4 მოუგო ორი სეტი ფრანგ **ნიკოლა მაუს**. ესპანელმა ჩოგბურთელმა თითო პარტიაში თითო ბრეიკი გააკეთა, თავად კი მეტოქის ორივე ბრეიკ-პოინტი მოიგერია და საათსა და 27 წუთში დაასრულა შეხვედრა.

კიდევ უფრო იოლად გაიმარჯვა მეორე ნომრად განთესილმა ბრიტანელმა ენდი მიურეიმ. მას საათი და 19 წუთი დასჭირდა ფრანგი **ჟერემი შარდის** დასამარცხებლად. მიურეიმ პირველ სეტში ორი ბრეიკი გააკეთა, მეორეში ერთი და 6:2, 6:4 მოიგო. რაც შეეხება ფრანგ ჩოგბურთელს, მას მთელი მატჩის განმავლობაში ერთი ბრეიკ-პოინტიც არ ჰქონია.



ენდი მიურეი

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** შანსი არ დაუტოვა ხორვატ **ივან დოდიგს**. ბოლო მომენტამდე უცნობი იყო, შეძლებდა თუ არა სერბი ჩოგბურთელი კორტზე გასვლას, რადგან მას ტრავმა აწუხებდა. მაგრამ ჯოკოვიჩმა გარისკა და ტრავმის არანაირი კვალი არ ეტყობოდა. ნოვაკმა თითო სეტში თითო ბრეიკი გააკეთა და ამის ხარჯზე 6:4, 6:3 მოიგო.

მესამე ფრანგი, რომელმაც იმ დღეს კორტი დამარცხებულმა დატოვა, 23 წლის **ადგიან მანარინო** იყო, რომელმაც უშანსოდ წააგო **როჯერ ფედერერთან**. შვეიცარიელი ბრნყინვალედ თამაშობდა საკუთარ მოწოდებაზე და მანარინომ მიღებაზე მხოლოდ ოთხი ქულის აღება შეძლო. როჯერმა სამი ბრეიკის წყალობით საბოლოოდ ასეთი ანგარიში დააფიქსირა - 6:2, 6:3 და მერვედფინალში კიდევ ერთ ფრანგზე - **რიშარ გასკეზე** გავიდა.

ამ დღეს ერთი მოულოდნელი შედეგიც დაფიქსირდა - იტალიელმა **ანდრეას სეპიმ** ტურნირს გამოთიშა მე-11 ნომერი, ესპანელი **ნიკოლას ალმაგრო**. ეს უკანასკნელი ცუდად თამაშობდა საკუთარ მოწოდებაზე და ოთხი ბრეიკი დაუთმო მეტოქეს, თავად კი ორჯერ აიღო სეპის გეიმი, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა გამარჯვებისთვის. იტალიელმა 6:3, 7:5 გაიმარჯვა.

ფრანგი ჩოგბურთელების უიღბლობა დღის ბოლოს გაგრძელდა, როცა ადგილობრივი პუბლიკის ერთ-ერთმა მთავარმა იმედმა **გაელ მონფილსმა** ორ სეტში წააგო **ფელისიანო ლოპესთან**. ესპანელმა თითო სეტში თითო ბრეიკი გააკეთა, ფრანგმა კი რამდენიმე ბრეიკ-პოინტი ვერ გამოიყენა და 3:6, 4:6 დამარცხდა. მონფილსს ამ მატჩში ვერც 12-მა ეისმა უშველა.

ყველაზე იოლ გამარჯვებას ამერიკელმა **მერდი ფიშმა** მიაღწია, რომელმაც მხოლოდ სამი გეიმი გაიმეტა გერმანელი **ფლორიან მაიერისთვის**. ფიშმა ოთხი ბრეიკი გააკეთა და ერთი ბრეიკ-პოინტიც არ მისცა მეტოქეს. ჩოგბურთელებმა მხოლოდ 56 წუთი დაჰყვეს მოედანზე და ამერიკელმა 6:1, 6:2 მოიგო.

■ ■ ■

გუშინ, მერვედფინალების ჯერი დადგა და დადასტურდა ნოვაკ ჯოკოვიჩის პრობლემები. სერბი თანამემამულე **ვიქტორ ტროიცკის** ხვდებოდა და მოულოდნელად წააგო პირველი სეტი - 4:6. 25 წლის ტროიცკიმ ერთადერთი ბრეიკის წყალობით აიღო სანყისი პარტია, მაგრამ შემდეგ ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგა. ჯოკოვიჩმა თამაშზე სრული კონტროლი დაიწესა და გამარჯვებულის საკითხი დღის წესრიგში აღარ დამდგარა. მომდევნო ორ პარტიაში ჯოკოვიჩმა მხოლოდ ოთხი გეიმი გაიმეტა მეტოქისთვის და 11-დან მეათედ დაამარცხა ტროიცკი.

აგრძელებს ბრნყინვალე ფორმის დემონსტრირებას ბრიტანელი **ენდი მიურეი**, რომელმაც ერთნაირი ანგარიშით - 6:2 მოუგო ორი სეტი **ენდი როდიკს**. ამ ჩოგბურთელთა რიგით მე-11 შეხვედრა მხოლოდ ერთ საათს გაგრძელდა და ბრიტანელმა მერვედ მოუგო ამერიკელს.

ამერიკის ღია პირველობის შემდეგ მიურეის 17-დან 17 მოგება აქვს, აგვისტოს შუა რიცხვებიდან მოყოლებული ენდიმ 28 მატჩიდან 27 თავის სასარგებლოდ დაასრულა. როდიკმა კი აშკარად ჩააგდო წლევანდელი სეზონი - პირველად 2001 წლის შემდეგ, ამერიკელმა წელი რეიტინგის საუკეთესო ათეულის მიღმა დაასრულა.

ოლიმპიზმი

ესტაფეტა 19 მაისს დაიწყება

ბრიტანეთში ოფიციალურად წარადგინეს 2012 წლის ზაფხულის თამაშების ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტის მარშრუტი.

მარშრუტი ისეა შედგენილი, რომ ქვეყნის მოსახლეობის 95 პროცენტს ოლიმპიური ცეცხლის საკუთარი თვალით სანახავად არა უმეტეს 16 კილომეტრის გავლა მოუწევს. ოლიმპიური ესტაფეტა 1018 ქალაქსა და სოფელს მოიცავს. მარშრუტში შეტანილია საქვეყნოდ ცნობილი ობიექტები - სტოუნჰენჯის კომპლექსი, ლოხ-ნესის ტბა, უელსის უმაღლესი მნვერვალი სნოუდონი, ბელფასტში სტრომონტის ციხე და ა. შ.

ლონდონის თამაშებისთვის ცეცხლი 2012 წლის მაისში საბერძნეთში ოლიმპოს მთაზე დაინთება და მას ბრიტანეთში თვითმფრინავით ჩაიტანენ. 70-დღიანი ესტაფეტა 19 მაისს, დილით ლენდს-ენდის კონცხიდან (ინგლისის უკიდურესი დასავლეთი, კორნუელის ნახევარკუნძული) დაიწყება. ესტაფეტის რვა ათასი მონაწილე ოლიმპიურ ჩირაღდანს ჩაიტანს ბრისტოლში, კარდიფში, ლივერპულში, ბელფასტში, გლაზგოში, ნიუკასლში, მანჩესტერში, შეფილდში, ნოტინგემში, ოქსფორდსა და სხვა მსხვილ ქალაქებში, ხოლო დანიშნულების ბოლო ადგილი იქნება ლონდონის ოლიმპიური სტადიონი, სადაც 2012 წლის ზაფხულის თამაშების მთავარი ცეცხლი დაინთება. ოლიმპიური ესტაფეტის საერთო სიგრძე დაახლოებით 12.8 ათასი კილომეტრი იქნება.

ცხელი ხაზი

ერთვნული ჩემპიონატები

ფეხბურთი

ევრო 2012

UNDER 21

სლოვენია-ლიტვა	2:0
ესპანეთი-ესტონეთი	6:0
ალბანეთი-რუსეთი	0:1
თურქეთი-იტალია	0:2
ნორვეგია-ბელგია	2:2
ინგლისი-ისლანდია	5:0
საფრანგეთი-რუმინეთი	3:0
ავსტრია-ბულგარეთი	0:2

ევრო 2012

UNDER 19

ხორვატია-ფინეთი	4:2
ჰოლანდია-მოლდოვა	3:0
სერბეთი-ისრაელი	1:0
ლიტვა-ჩეხეთი	0:1
უკრაინა-ყაზახეთი	2:0
შვეიცარია-მაკედონია	3:0

ამხანაგური მატჩი

გაბონი-ბრაზილია	0:2

კლუბები

ლილესტრიომი-სიოგნდალი	0:0
ჰერენვეენი-ალმერი	4:1
ბრედა-ვარეგემი	0:3
ზამალეკი-ატლეტიკო	1:4
კოგლენცი-დუისბურგი	1:1
სტ. ეტიენი-კლერმონი	2:1

ლიგის თასი

პეჩი-ფერენცვაროში	2:1

კალათბურთი

ევროლიგა

კაცები

ჟალგირისი-ბამბერგი	81:70
ეფესი-მაკაბი	72:79
შარლეროა-მილანი	76:81
ბარსელონა-მონტეპასკი	90:75
ნანსი-კახა ლაბორალი	90:85
პარტიზანი-რეალი	80:79
პანათინაიკოსი-ცსკა	76:78 (ო)

ფოლი

ევროპური

ფინეთი-რუსეთი	1:2 (ბ)
შვედეთი-ჩეხეთი	2:5

ჩოგბურთი

ATP. პარიზი

როდიკი-მიურეი	2:6, 2:6
ბერდიხი-ტიპსარევიჩი	7:5, 6:4
ჯოკოვიჩი-ტროიცკი	4:6, 6:3, 6:1
ფერერი-დოლგოპოლოვი	6:3, 6:2
სეპი-ცონგა	3:6, 4:6
ფედერერი-გასკე	6:2, 6:4

TV პროგრამა

11 ნოემბერი. პარასკევი

GMG-ფეხბურთი

10:00 არგენტინის ჩემპიონატი. XIV ტურის მიმოხილვა.
11:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XXXIII ტურის მიმოხილვა.
11:30 ყოველკვირეული ტელეფურნალი - WORLD OF FOOTBALL.
12:00 გადაცემა - საფეხბურთო ღამე.
13:30 იტალიის შოუ.
14:00 იტალიის ჩემპიონატი. XI ტური. ლაციო-პარმა.
16:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XII ტური. უტრეხტი-აიაქსი.
18:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. XIII ტურის მიმოხილვა.
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. XI ტური. ნიუკასლი-ეფერტონი.
21:00 გადაცემა - გოლი.
22:30 ინგლისის ჩემპიონატი. XI ტურის მიმოხილვა.
23:45 ამხანაგური მატჩი. უკრაინა-გერმანია (LIVE).
01:45 ყოველკვირეული ტელეფურნალი - FOOTBALL MONDIAL.

GMG-სპორტი 1

10:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. აუსბურგი-ბაიერნი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. ყველა ვარსკვლავის მატჩი.
14:30 ყოველკვირეული ტელეფურნალი - მსოფლიო მძღოლობა.
15:00 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-პსჟ.
17:00 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. 2010-11. ფინალი. ტულუზა-მონპელიე.
19:30 სპორტ-NEWS.
19:50 ცურვა. მსოფლიოს თასი. პეკინი. ჩინეთი.
21:50 კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. ყველა ვარსკვლავის მატჩი.
23:55 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. არლეკინსი(ინგლისი)-კონახტი(ირლანდია) (LIVE).

GMG-სპორტი 2

10:00 ყოველკვირეული ტელეფურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
10:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/8 ფინალი. პარიზი. საფრანგეთი.
12:30 სპორტ-NEWS.
13:00 საკალათბურთო მიმოხილვა.
13:45 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ლევანტე-ვალენსია.
15:45 ყოველკვირეული ტელეფურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
16:30 ჩოგბურთი. პარიზი ATP მასტერსი. მიმოხილვა
17:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/4 ფინალი. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
21:00 ყოველკვირეული ტელეფურნალი - WORLD OF FOOTBALL.
21:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
22:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/4 ფინალი. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

23:40 ამხანაგური მატჩი. უკრიანა-გერმანია (LIVE).

HTB-პლუსი (ონლაინი)

22:00 ძალოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. 85 კგ. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).

HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

17:00 ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/4 ფინალი. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
22:30 ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/4 ფინალი. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).

EUROSPORT

11:45 ფიგურული სრიალი. გრან-პრი. საპორო. იაპონია (LIVE).
14:15 ფიგურული სრიალი. გრან-პრი. საპორო. იაპონია (LIVE).
15:45 სნუკერი. PTC-ის სერია. I დღე. ანტვერპენი. ბელგია (LIVE).
20:15 სნუკერი. PTC-ის სერია. I დღე. ანტვერპენი. ბელგია (LIVE).
22:00 ძალოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. 85 კგ. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
00:00 სნუკერი. PTC-ის სერია. I დღე. ანტვერპენი. ბელგია (LIVE).

EUROSPORT-2

10:00 ფიგურული სრიალი. გრან-პრი. საპორო. იაპონია (LIVE).
12:30 სნუკერი. PTC-ის სერია. I დღე. ანტვერპენი. ბელგია (LIVE).
17:00 ბოულინგი. შოტლანდიის ღია პირველობა. VII დღე. პერტი (LIVE).

ამბები

ველოსპორტი

პირობითი ერთი წელი

საფრანგეთის სასამართლომ დამნაშავედ ცნო ამერიკელი ველომრბოლი **ფლოიდ ლენდისი**. ტურ დე ფრანსის ყოფილი ჩემპიონი ეჭვმიტანილი იყო საფრანგეთის ანტისადოპინგო სააგენტოს კომპიუტერული ცენტრის მონაცემების მოპარვაში. ამისთვის ლენდისმა უკანონოდ შეაღწია სააგენტოს კომპიუტერებში. სპორტსმენს ერთწლიანი პირობითი პატიმრობა მიუსაჯეს, რაც ექვსი თვით ნაკლებია იმ ვადაზე, რომელსაც ბრალდების მხარე ითხოვდა.

შეგახსენებთ, რომ ლენდისს 2006 წელს ტურ დე ფრანსზე მოპოვებული ტიტული ჩამოართვეს, რადგან ამერიკელი აკრძალული პრეპარატის მიღებაში იქნა შემჩნეული. ფლოიდის სისხლში ტესტოსტერონის მაღალი დონე დაფიქსირეს.

სასამართლოზე ლენდისი დანაშაულს უარყოფდა - მისი თქმით, მას არანაირი კავშირი არ ჰქონდა კომპიუტერულ სისტემაში შეღწევასთან.

ზამთრის სახეობები

ავსტრიელი ლაურეატები

ავსტრიაში 2011 წლის სპორტული შედეგები შეაჯამეს და საუკეთესო სპორტსმენები გამოავლინეს. მამაკაცებს შორის საუკეთესო გახდა ტრამპლინიდან მხტომელი **ტომას მორგენშტერნი**, ქალებში კი გამოკითხვა მოიგო სამთო მოთხილამურე **ელიზაბეტ გიორგლმა**.

25 წლის მორგენშტერნი კიდევ ერთ ნომინაციაში გახდა საუკეთესო. მან თავის პარტნიორებთან - **მარტიან კოხთან, ანდრეას კოფლერთან** და **გრეგორ შლირენცაუერთან** ერთად მოიგო „წლის გუნდის“ ნომინაცია.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტოსპორტი

სარბოლო უქმეები

ფორმულა 1-ში სეზონის დასრულებამდე ორი ეტაპია დარჩენილი და ერთ-ერთი ამ უქმეებზე გაიმართება. აბუ-დაბის გრანპრიზე ბრიტანელმა **ჯენსონ ბატონმა**, შესაძლოა, მეორე ადგილი გაინაღდოს საერთო ჩათვლაში, ხოლო **ნიკო როსბერგი** და **მიხაელ შუმახერი** გააგრძელებენ შიდაგუნდურ დაპირისპირებას. მათ შორის სხვაობა მხოლოდ ხუთ ქულას შეადგენს.

უფრო მნიშვნელოვანია რალის მსოფლიოს ჩემპიონატზე დასკვნითი ეტაპი, რომელიც უელსში გაიმართება. წარმატების შემთხვევაში **სებასტიან ლოები** მერვე საჩემპიონო ვარსკვლავს მიახატავს თავის „სიტროენს". თუმცა ფინელი **მიკო ჰირვონენი** ყველანაირად ეცდება ხელი შეუშალოს ლეგენდარული ფრანგის გეგმებს.

ფორმულა 1

აბუ-დაბის ჯრანპრი

ჩატარების ადგილი - იას-მარინა, საამიროები
წრის სიგრძე - 5 554 მ
საუკეთესო წრე - 1:40,279 (ფეტელი, 2009)

საერთო ჩათვლა

1. **ფეტელი (რედ ბული) - 374 ქულა**
2. **ბატონი (მაკლარენი) - 240**
3. ალონსო (ფერარი) - 227
4. უებერი (რედ ბული) - 221
5. ჰემილტონი (მაკლარენი) - 202
6. მასა (ფერარი) - 98
7. როსბერგი (მერსედესი) - 75
8. შუმახერი (მერსედესი) - 70

მანრიგი

11 ნოემბერი, 12:00 - I პრაქტიკა
11 ნოემბერი, 16:00 - II პრაქტიკა
12 ნოემბერი, 13:00 - III პრაქტიკა
12 ნოემბერი, 16:00 - კვალიფიკაცია
13 ნოემბერი, 16:00 - რბოლა

რალი

ბრიტანეთი

შტაბი - კარდიფი
საფარი - ღორღი და ასფალტი
სპეცმონაკვეთების რაოდენობა - 23
ბოლო გამარჯვებული - სებასტიან ლოები

საერთო ჩათვლა

1. **ლოები (სიტროენი) - 222 ქულა**
2. **ჰირვონენი (ფორდი) - 214**
3. **ოჟიე (სიტროენი) - 193**
4. **ლატვალა (ფორდი) - 146**
5. **პ. სოლბერგი (სიტროენი) - 110**
6. **ოსტბერგი (ფორდი) - 70**

ფეხბურთი რბოლის წინ

უახლოეს უიქ ენდზე არაბთა გაერთიანებული საამიროების ქალაქ აბუ დაბიში ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატის მორიგი ეტაპი გაიმართება, მაგრამ სანამ პილოტები თავიანთი ბოლიდების საჭეებს მიუსხდებოდნენ, მათ საფეხბურთო ფორმები მოირგეს და მინდორზე გავიდნენ საქველმოქმედო მატჩის ჩასატარებლად. ფორმულა 1-ის პილოტთა გუნდი მსოფლიოს სპორტის ვარსკვლავებისგან დაკომპლექტებულ ნაკრებს შეხვდა.

მოედნის ერთ მხარეს მაყურებელმა იხილა **ფელიპე მასა** (გუნდის კაპიტანი), **ვიტანტონიო ლიუცი**, **სერხიო პერესი**, **ჟერომ დ'ამბროზიო**... მეორეს მხარეს წარსულში ცნობილი ვეტერანი ფეხბურთელები - **ვალტერ ძენგა**, **ფაბიო კანავარო**, **ჰიდეტოში ნაკატა**, მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატზე არაბთა გაერთიანებული საამიროების ნაკრების რამდენიმე წევრი. ვარსკვლავების მწვრთნელი გახლდათ ლეგენდარული იტალიელი **მარჩელო ლიპი**.

მიუხედავად იმისა, რომ პილოტებს პროფესიონალი ფეხბურთელების წინააღმდეგ უწევდათ თამაში, მათ ლიპის გუნდს სერიოზული წინააღმდეგობა გაუნიეს და მინიმალური ანგარიშით ნააგეს - 4:5. დუბლი შეასრულა „ფერარის" სარეზერვო პილოტმა **ჟიულ ბიანკიმ**. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ვარსკვლავების გუნდში ჰეთ-თრიკი შეასრულა ინგლისის პრემიერლიგის ლიდერის - „მანჩესტერ სიტის" მფლობელმა **ხალდუნ ალ მუბარაქმა**.

პილოტების ნაკრები

ფორმულა 1. სატრანსფერო ამბები

ნიკო როსბერგი

როსბერგი ოფიციალურად მერსედესში

გუშინდელ ნომერში დავწერეთ იმის შესახებ, რომ „მერსედესის" ლეგენდარული ნევრი **მიხაელ შუმახერი** მზად არის 2013 წლის ბოლომდე გაახანგრძლივოს კონტრაქტი თავის ამჟამინდელ გუნდთან. ოფიციალური გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის, თუმცა გერმანული პრესის ცნობით, ახალი ხელშეკრულების გაფორმება დროის საკითხია.

გუშინ კი ცნობილი გახდა, რომ „მერსედესის" მეორე პილოტმა **ნიკო როსბერგმა** ახალი მრავალწლიანი კონტრაქტი გააფორმა გერმანულ საჯინიბოსთან. ხელშეკრულების დეტალები არ გახმაურებულა. გუნდის პრესცენტრის განცხადებით, როსბერგი „მერსედესში" „2013 წლის ბოლომდე და შემდეგაც დარჩება".

„აღელვებული ვარ „მერსედესთან" კონტრაქტის გახანგრძლივებით, - განაცხადა გერმანელმა პილოტმა. - *დარწმუნებული ვარ, რომ გუნდი ჩემთვის შექმნის ბოლიდს, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება და გააგრძელებს „მერსედესის" სახელოვან ისტორიას".*

ასე რომ, „მერსედესთან" კონტრაქტის გაფორმებით როსბერგმა ბოლო მოუღო ჭორებს, რომლის მიხედვითაც მას 2012 წელს „ფერარიში" **ფელიპე მასას** ადგილს უწინასწარმეტყველებდნენ.

იტყობინებოდნენ, რომ იტალიური საჯინიბო სერიოზულად განიხილავდა გერმანელი პილოტის კანდიდატურას. მაგრამ მოგვიანებით „ფერარის" შეფმა **სტეფანო დომენიკალიმ** განაცხადა, რომ მომავალ სეზონში მასას იმედი აქვს.

„მომწონს მასას მისწრაფება, დაუბრუნდეს ბრძოლას, რადგან მან იცის, რომ მომდევნო წელი გადამწყვეტი იქნება მის კარიერაში. ამიტომაც დარწმუნებული ვარ - ფელიპე თავის ნამდვილ შესაძლებლობებს დაგვანახებს, - განაცხადა დომენიკალიმ. - *რაც შეეხება ჭორებს იმ პილოტების შესახებ, რომლებიც თითქოს მარანელოში უნდა მოვიდნენ, მე მხოლოდ ჩვენი პრეზიდენტის სიტყვების გამეორება შემიძლია: ფელიპე 2012 წელს ჩვენთან იქნება, რადგან მისი გვჯერა".*

ასე რომ, მომავალი სეზონისთვის ტოპ-გუნდებში - „რედ ბულში", „მაკლარენში", „ფერარიში" და „მერსედესში" ცვლილებები არ იგეგმება.

■ ■ ■

სამაგიეროდ, სხვა საჯინიბოებში შეიძლება ვიხილოთ ტრანსფერები. მთავარი საკითხი, რომელიც „სამეფო რბოლების" თაყვანისმცემლებს აღელვებთ, მსოფლიოს 2007 წლის ჩემპიონის **კიმი რაიკონენის** „უილიამსში" საგარაუდო გადასვლაა. თავიდან პილოტის მენეჯერები და თავად კიმი უარყოფდნენ ბრიტანულ საჯინიბოსთან მოლაპარაკების ფაქტს, მაგრამ გუშინ კიმიმ დაადასტურა „უილიამსთან" კავშირი.

„ჩვენ ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს „უილიამსთან", მაგრამ შეთანხმებამდე არ მივსულვართ. ჯერჯერობით არაფერი შეცვლილა", - განაცხადა რაიკონენმა.

შესაძლოა, ცვლილება განიცადოს რუსული გუნდის - „მარუსია-ვირჯინის" შემადგენლობამ. ფრანგული პრესის ცნობით, ახალგაზრდა პილოტმა **შარლ პიკმა** უკვე გააფორმა კონტრაქტი ამ საჯინიბოსთან. GP2-ის სერიის ყოფილმა წევრმა „ვირჯინში" ბელგიელი **ჟერომ დ'ამბროზიო** უნდა შეცვალოს. როგორც იტყობინებიან, პიკი გუნდში 5 მილიონი ევროს ოდენობის სასპონსორო მხარდაჭერით მიდის, რაც ხელს აძლევს „ვირჯინის" ხელმძღვანელ **ჯონ ბუტს**. ოფიციალურად პიკის კონტრაქტი ჯერ არც ერთ მხარეს არ დაუდასტურებია.

ჩოგბურთი

დაკომპლექსებული ბულგარელი

უხერხულ სიტუაციაში იმყოფება ახალგაზრდა და პერსპექტიული ბულგარელი ჩოგბურთელი **ნადია უბჩევა**. პრესამ ეს მოთამაშე იქამდე მიიყვანა, რომ უბჩევას კომპლექსი აქვს თავისი დიდი მკერდის გამო და ისე იცვამს, რომ თავისი ღირსება სხვებს თვალში არ მოხვდეთ.

ბულგარეთის ბულვარული პრესა ათასგვარად აშუქებს ჩოგბურთელის პირად ცხოვრებას, მაგრამ განსახილველი არც არაფერია, რადგან 20 წლის სპორტსმენს ჯერ შეყვარებულიც არ ჰყავს. ჟურნალისტები იმასაც კი წერენ, რომ ნადიამ თვითპიარისთვის დაიწყო ჩოგბურთის თამაში - აქაოდა, ამით თავისი უზარმაზარი ბიუსტის რეკლამირებას ეწევა.

„ეს ტყუილია! ასეთი პოპულარობა არ მსურს, - ამბობს ჩოგბურთელი. - *და სულაც არ ვბაძავ იმ გოგონებს, რომლებმაც სახელი საკუთარი მკერდის გაშიშვლებით გაითქვეს".*

„ვცდილობ, ჭორებს ყურადღება არ მივაქციო. დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ადამიანებმა, რომლებიც ჩემთვის ძვირფასი არიან, იციან ჩემ შესახებ სიმართლე. ეს არის ჩემთვის მთავარი", - განაცხადა უბჩევამ.

სპორტსმენის თქმით, მას ჩოგბურთის გარდა სპორტის სხვა სახეობებიც მოსწონს. მაგალითად, კალათბურთი და ფრენბურთი. *„ხშირად ვესწრები შეხვედრებს. მაგრამ, როგორც კი ტრიბუნებზე ვჩნდები, მამაკაცები მაშინვე მე მომაჩერდებიან ხოლმე, უფრო სწორად, ჩემს მკერდს. ზოგიერთი მოახლოებას ბედავს და ჩემს გაცნობას ლამობს. ახლა, ვცდილობ ისეთი ტანსაცმელი ჩავიცვა, რომელიც ჩემს დიდ ბიუსტს დაფარავს".*

ნადია უბჩევა

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა